გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 3 დეკემბერი, 2005 წელი.

№№280-281 (5313-5314)

იმისთანა ჩმინდა საქმეში, ტოგოტიც ბეჭდვეტი სიფცვაა, ფცუიოებით და ჭოტებით ბუტთის გაფანა ყვეოა უკადტისფბაზე უსაბაგლესია.

საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

როლიდან პილეგს მისეილ მაკედონელი 38-ლარიან პენსიას?

პარლამენტის განათლების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ გრიგალაშვილმა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს გუშინ ალექსანდრე მაკედონელი უწოდა.

ნოდარ გრიგალაშვილს ეს ასოციაცია მას შემდეგ გაუჩნდა, რაც საქართველოს პრეზიდენტმა გააკეთა პოლიტიკური განცხადება, რომლის მიხედვით, იგი თანახმაა, საქართველოს პრეზიდენტს 38-ლარიანი პენსია დაენიშნოს, რითაც იგი რიგით პენსიონერს გაუთანაბრდება.

როგორც გუშინ გრიგალაშვილმა თქვა, ეს არის ალექსანდრე მაკედონელის მსგავსი საქციელი, რომელმაც უდაბნოში წყალი არ დალია, რადგან სასმელი ყველა ჯარისკაცს არ შეხვდებოდა.

ნოდარ გრიგალაშვილს სწამს, რომ ქვეყანაში, რომელსაც ასეთი პრეზიდენტი ჰყავს, პენსიების საკითხი აუცილებლად მოგვარდება.

მე პრეზიდენტის განცხადებიდან დავინახე, რომ იგი მზად არის, მინიმალური პენსია აიღოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში ყველაფერზე პასუხისმგებელი პირი პრეზიდენტია, — დასძინა გრიგალაშვილმა.

გაჩნდება ლოზუნგი „საქართველო საკაშვილის გარეშე“?

იხ. მე-2 გვ.

კახი კავსაძე:

„საქართველოს რესპუბლიკა“ ძალიან გადასხვაფერდა, უკეთესი გახდა...

იხ. მე-7 გვ.

რა სიახლეები იქნება წლევანდელ მისალებ გამოცდებზე?

იხ. მე-6-8 გვ.

ჩვენი სტუმარია სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“

იხ. 23-ე გვ.

მეაწიეთ სიტყვა რიგით სახელმწიფო მოხელეს!..

იხ. მე-4 გვ.

◎ კვირის თვალსაწიერი

პენსიონერებო, მუხათგვერდისკენ ნაბიჯით იარ!

დილას ლოგინიდან წელის წამოწევა რომ დაგეზარება და ინატრებ, ნეტა ახლა გარეთ არ გამიყვანაო, წასულია შენი საქმე. ე. ი. წლებმა თავისი გაიტანა, ჩემო მაშვრალი ძმაო თუ დაო, და ის დროა, ფაჩუჩები ჩაიცვა და პენსიის ღუმელს მიეფიცხო.

ოღონდ...

ამას წინათ ჩვენმა მეგობარმა და კოლეგამ ლია ჭიღლაძემ წერილი დაბეჭდა საფრანგეთში მცხოვრებ ერთ ემიგრანტ ქართველზე. მშვენიერი, შინაარსიანი წერილი. ჩემი ცოდვა უნდა გავამხილო: ერთი აბზაცი ამოვუღე „ხელმძღვანელის“ უფლებით — იმის შესახებ, თუ რა ლაღად, ახლებურად ცხოვრობს ის კაცი პენსიაზე გასვლის შემდეგ, იმ პენსიით მოგზაურობს ქვეყნიერების ოთხივ კუთხით, სამშობლოშიც ხშირად ჩამოდის...

ალბათ მიხვდი ხომ, მკითხველო, რისთვის წამიცდა ხელი წერილის საამპუტაციოდ! შენ მოგერიდე, საყვარელო, შენს 28 ლარი პენსიით მოჭიმულ და დაწყვეტილ ნერვებს, შენც, ჩემო კეთილო, ახლა რომ ამზადებ საბუთებს საპენსიოდ და ხვალიდან მოგიწევს ეზოში ჩაფლატუნება დომინოს ბატალიებში ჩასაბმელად.

რაც თავი მახსოვს, სულ ასე იყო: სულ სხვისი — დასავლეთის გვეხარბებოდა, როგორც ახლა ვხვდები, თურმე ცუდიც კი. დავანგრიეთ, მოვსპეთ, მოვიცილეთ საძულველი სოციალიზმი, დავუბრუნდით კაპიტალიზმის ნათელ საწყისებს, და მივხვდით, რომ ნაბან წყალს ბავშვიც გადავაყოლეთ.

ამ საზიზღარმა კომუნისტებმა ისიც კი დაგვიმალეს, თურმე კომუნიზმში რომ ვცხოვრობდითო, მითხრა ამას წინათ ერთმა დამსახურებულმა პედაგოგმა, რომელსაც ოცი წლის წინანდელ გამოხუნებულ ლაბადაზე ცელოფნის პარკიდან მორცხვად გამომზირალი პური მიეხუტებინა და სასოებით მიაცუხცუხებდა.

ეს მწარედ ნათქვამი „თურმე კომუნიზმში ვცხოვრობდითო“, ადრეც გამიგონია. ვერ გაამტყუნებ ბერიკაცს. იმას მისტირის, იმ საგინებელი სოციალიზმის დროს, სოციალურად დაცული რომ იყო და თავისი 120-150 მანეთი პენსია (მით უფრო, თუ ეს პენსია პერსონალური იყო) საბანსაც სწვდებოდა და ლეიბსაც, ხვალინდელი მშიერი დღის და უექიმობის მოლოდინი არ აკანკალებდა. ეს შიში ათქმევინებს დღეს 800 ათას პენსიონერს (მთელი ერის მეოთხედს თუ მეხუთედს!), 28 ლარი რომ უნთია ილიჩის ნათურად და სულაც არ ეტყობა დიდი აღფრთოვანება შევარდნაძისეული 14 ლარი რომ „გაურმაგდა“ და გაისად თუმანი კიდევ მოემატება — ალია და ოსმანა ორივე თათარიაო. თორემ, ეს 800 ათასი კაციც აღფრთოვანებით მიესალმა საქართველოს გათავისუფლებასაც იმ დროში (15 წლის წინათ) და „ვარდების რევოლუციასაც“ — ამ დროში (შარშანწინ).

ყველაზე მეტად ეს ოხერი გათანაბრება უკლავს გულს უმრავლესობას, 30-40-50 წელი პატიოსნად რომ უშრომია და იმ ვიგინდარებთან აიგივებენ, მის დღეში ჩხირი რომ არ გადაუბრუნებიათ. ამათაც და იმათაც თანაბრად — 28 ლარი!

2003 წლის ივნისში პარლამენტმა მიიღო კანონი სტაჟისა და დამსახურების მიხედვით პენსიების დანიშვნის შესახებ. იგი 2006 წლის პირველ იანვრიდან უნდა ამოქმედებულიყო, მაგრამ მას წინასაახალწლოდ პანღური ამოარტყა ამ ჩვენმა ძვირფასმა, სწორედ ხალხისთვის და ხალხის სახელით მომხდარმა „ვარდების ხელისუფლებამ“. ყველას ერთნაირადო!

ახლა არ იტყვით, რითი ამართლებენ ამ ერთნაირობას? მაგალითად, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილე ვახტანგ მეგრელიშვილი პირდაპირ გენიალურ ახსნას იძლევა: ამ ბოლო 15 წლის განმავლობაში იმის აღრიცხვა გაჭირდა, ვინ რა წვლილი შეიტანა ქვეყნის აღმშენებლობაში, ყველას შეუძლია წიგნაკი პირდაპირ ბაზარზე იყიდოს და რაც უნდა, ის ჩაწეროს შიგო.

> **წლები ველში მწვდა მგელივით,**
> **ავ ფიქრად შემომესია:**
> **თუ დროზე არ დამინიშნეს,**
> **რა შავ ქვად მინდა ჰენსია.**
>
> *ხალხური*

დოქსოპულო, შენ დედა გყავს? ვითომ ასე ჭირს ნამდვილის და ყალბის გარჩევა? ეგეც არ იყოს, შრომის წიგნაკთან ერთად დამსახურებული მასწავლებლის, ექიმის, აგრონომის, კულტურის მუშაკის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის დიპლომებს, ორდენებსა და მედლების საბუთებს წარმოგიდგენენ, ვითომ ვერ შეატყობთ, ბაზარში რომ არ არის ნაყიდი?

არა, აქ უბრალო არითმეტიკაა: „ვარდების რევოლუციამდე“ მოღვაწე ყველა ადამიანი ზედმეტი და უსარგებლო ტვირთია ახალი საქართველოსთვის, რომლის ისტორიის ათვლაც თურმე მხოლოდ 2003 წლის 23 ნოემბერს დაიწყო (ის, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა სწორედ „ვარდების რევოლუციით“ იწყება, ეს თვით პრეზიდენტმა ბრძანა) და რაც დროულად გაიხვეტება იმქვეყნად, მით უფრო სწრაფად ააშენებენ აღთქმულ სამშობლოს მისი მშენებელი უმწიფარი გოგო-ბიჭები.

იმავე ბატონმა ვახტანგ მეგრელიშვილმა კიდევ ერთი შესანიშნავი აღმოჩენა გააკეთა. ის ფაქტი, რომ მანდილოსანთა საპენსიო ასაკი მამაკაცებისას — 65 წელს გაუთანაბრდა... ქალბატონებში დადებით ემოციებს უნდა იწვევდესო. ალბათ, რაკი „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“, არა, ბატონო ვახტანგ?

ეს პირდაპირ საგინესო მიგნება, როგორც ჩანს, ჯერ ვერ გაისიგრძეგანეს ჩვენმა ასაკოვანმა ქალბატონებმა, თორემ მათს მოძალებულ ემოციებს (უთუოდ დადებითს გულისხმობს ეს სიტყვამარილიანი კაცი) რა გაუძლებს. არ გამოვრიცხავ, რომ ეს ემოციები და აღტაცება უშუალოდ თვით ბატონ ვახტანგსაც

იხ. მე-3 გვ.

◎ სიტუაცია

ნინო ბურჯანაძე აკაკი ბობოხიძის გადაწყვეტილებას გაგებით შეხვდა

აკაკი ბობოხიძის გადაწყვეტილებას იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ გაგებით შეხვდა პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, რომელიც ქუთაისში ერთი დღით იმყოფებოდა.

როგორც ნინო ბურჯანაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, გუბერნატორი არ უნდა სცემდეს ჟურნალისტს, თუმცა მასმედიის წარმომადგენლებს ზომიერებისკენ მოუწოდა.

ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი გიგა ჩოგოვაძე და იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე ზურაბ ქაჯაია მომხდარ ფაქტს სამწუხაროს უწოდებენ და აცხადებენ, რომ აკაკი ბობოხიძე, „როგორც კაცი და პიროვნება“, სწორად მოიქცა.

ინტერპრესნიუსი

◎ აქცია

გაჩნდება ლოზუნგი „საქართველო სააკაშვილის გარეშე“?

უკიდურესობის ხალხი ვართ ქართველები. 10 წელიწადი გვძიძგნა, გვწეწა, გვაოხრა და გვაშიმშილა შევარდნაძის ხელისუფლებამ. ბოლოს ცარიელ-ტარიელი და მარტო ძვალი და ტყავი რომ დავრჩით, მაშინ შემოვიკარით თავზე ხელები და ვარდების რევოლუცია მოვახდინეთ.

მერე საარჩევნო ურნებთან სულ ღიღინ-ღიღინითა და ხტუნვა-ხტუნვით მივედით და ჩვენი ძვირფასი ხმების აბსოლუტური უმრავლესობა ამ რევოლუციის პირველკაცს ვარგუნეთ.

შედეგად — ხელვარდიანმა ბიჭებმა ხელთ ძალაუფლება იგდეს, მზიან კაბინეტებში თბილ სავარძლებში მოკალათდნენ, უკანონოდ გამდიდრებულ ბობოლებს დიდი ქონება ჩამოართვეს, მეწველი ბიზნესმენები ბოლომდე გამოღეჭეს და როგორც თავად ბრძანებენ, ბიუჯეტი 5-ჯერ გაზარდეს. ხალხს კი კიტრიდან მხოლოდ ნაფცქვენები მიუყარეს და ყურები გაუხედნეს — ქვეყანა აშენდა და აყვავდაო.

თუმცა პიარმენობა და ხალხის მოტყუება დღევანდელ ხელისუფალთ არც მაშინ ეშლებოდათ, როცა ძალაუფლება ჯერ კიდევ არ ჰქონიათ და ედუარდ ამბროსოვიჩის ხელისუფლებას კრიტიკით ტყავს აძრობდნენ.

2003 წლის საპარლამენტო არჩევნებისას „ნაციონალურ მოძრაობას ისეთი წინასაარჩევნო პროგრამა ჰქონდა დაწერილი, როგორც იტყვიან, ქვას გახეთქავდა.

მართალია, ამგვარი დაპირებებისა და ბროლის კოშკების ჭეშმარიტი ფასი გათვითცნობიერებულმა ამომრჩეველმა მანამდეც კარგად იცოდა, მაგრამ იმ იმედით, აქედან ცოტას მაინც შეგვისრულებენო, საარჩევნო ბიულეტენში „5“ ნომერი უყოყმანოდ შემოხაზა.

ნაციონალური მოძრაობის დაპირებათა გრძელი სიიდან ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი სტაჟისა და დამსახურების მიხედვით პენსიების დანიშვნა იყო და 14-ლარიანი პენსიის ამარა დარჩენილმა ამომრჩეველთა უმრავლესობამ იფიქრა, ახლა მაინც გვეშველება, ცოტას ამოვისუნთქავთო.

თუმც ქვეყნის სათავეში მოქცეულმა ნაცმოძრაობამ ხალხისთვის მიცემული დაპირებები ცუდად გაზეპირებული ლექსივით მიივიწყა და საარსებო მინიმუმის გაზრდის მომლოდინე პენსიონერებს ოდენ 28-ლარიანი პენსია უფეშქაშა (გაორმაგდა, მეტი რა გინდა, ძმაო!).

კანონპროექტს „პენსიების შესახებ“ პარლამენტი უკვე განიხილავს და იგი ბევრ სხვასთან ერთად (რომელზეც ქვემოთ ვიტყვით), სტაჟისა და დამსახურების მიხედვით პენსიას საბოლოოდ აუქმებს.

პარადოქსული და საგანგაშო კი ისაა, რომ ეს გაუქმება მხოლოდ ჩვეულებრივ პენსიონერებს შეეხებათ, ხოლო მთავრობისა და პარლამენტის წევრებს, აგრეთვე სხვა მაღალჩინოსნებს პენსიას ნამსახურობის მიხედვით დაუნიშნავენ.

მკითხველისთვის უფრო ნათელი და გასაგები რომ იყოს, მაგალითისთვის მარტივად ვიტყვი.

თუ პარლამენტი „პენსიების შესახებ“ კანონპროექტს დაამტკიცებს (რისი ალბათობაც ძალიან დიდია), საქმე ამგვარად იქნება:

პარლამენტის წევრს, რომელმაც საკანონმდებლო ორგანოში რამდენიმე თვე (7 ან 8) იმუშავა, მთელი ამ ხნის მანძილზე მიკროფონთან ერთი-ორჯერ თუ მივიდა, საკანონმდებლო ინიციატივის გამოჩენაზე და სხვა აქტიურ ნაბიჯებზე რომ არაფერი ვთქვათ, მაღალ პენსიას, სიტყვაზე 560 ლარს მაინც დაუნიშნავენ.

პროფესორსა თუ აკადემიკოსს კი, რომელმაც 25-30 წელი შეალია თაობების სწავლასა და აღზრდა-განათლებას, შექმნა უამრავი შრომა და დიდად წაადგა ქართულ მეცნიერებას, პენსია მაქსიმუმ 95 ლარი ექნება.

ან კიდევ უფრო მარტივად რომ ვთქვათ: დავით კირკიტაძეს და კობა ბექაურს 560-ლარიან პენსიას მისცემენ, მარიკა ლორთქიფანიძეს და თამაზ გამყრელიძეს კი 95-ლარიანს. ან საერთოდ თავი დავანებოთ მაღალჩინოსნებს.

გარდა ნამსახურობის მიხედვით პენსიების საბოლოოდ გაუქმებისა, მთავრობის ახალი კანონპროექტი საპენსიო კომპენსაციების მოხსნასა და მინიმალური და მაქსიმალური პენსიების დაახლოებასაც ითვალისწინებს. ოღონდ არა მინიმალური პენსიის გაზრდის, არამედ მაქსიმალური პენსიის შემცირების ხარჯზე.

საქმე ასეა: როგორც ჩანს, ხელისუფლება შესანიშნავად ხედავს და გრძნობს 28-ლარიანი პენსიის მქონე ადამიანების პროტესტსა და გულისწყრომას და იცის, რომ მათ ერთობ აღზიანებთ ჩინოვნიკთა კოლოსალური პენსიები. ქვეყნის მესვეურებმა ისიც კარგად იციან, თუ რაოდენ საშიშია გაჭირვებული, გაბრაზებული და უკმაყოფილო ხალხი და ახალი კანონის მიღებით ამ გულისწყრომის ჩაცხრობას ლამობენ.

ერთი სიტყვით, მთავრობის მიერ მომზადებული კანონპროექტი „პენსიების შესახებ“ ისეთივე უსუსურია, როგორც ის პენსიონერი, რომლის მდგომარეობაც ამ კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში კიდევ უფრო დამძიმდება.

კანონპროექტს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომიტეტი პარლამენტში, 2 დეკემბერს პარლამენტის წინ გამართული საპროტესტო აქციის ფონზე იხილავდა, რომლის ინიციატორებიც კობა დავითაშვილი და ზვიად ძიძიგური, მთლიანად კონსერვატიული პარტია და „დემოკრატიული ფრონტი“ იყვნენ.

მართალია, აქცია გამაფრთხილებელი გახლდათ, მაგრამ ოპოზიციონერთა მოწოდებას ყური 2 ათასზე მეტმა ადამიანმა ათხოვა და პარლამენტის წინ შეიკრიბა.

გამოჩნდა ტრანსპარანტები: „მოვითხოვთ პენსიას სტაჟისა და დამსახურების მიხედვით“, „ბიუჯეტი — ხალხს“, „მე-17 გამარჯვება — გისურვებთ საპენსიო ასაკს“.

სანამ აქციის ორგანიზატორები შეკრებილთ მიმართავდნენ, მთავრობის ახალი კანონპროექტის თაობაზე კომენტარი „დემოკრატიული ფრონტის“ თავმჯდომარეს, დავით ზურაბიშვილს ვთხოვეთ:

— ეს არის კანონპროექტი, რომელიც აუარესებს ათეულ-ათასობით ადამიანის მდგომარეობას. ყველა ადამიანს სტაჟისა და დამსახურების მიხედვით უნდა ჰქონდეს დიფერენცირებული პენსია.

სახელმწიფო ვალდებულია, პირველ რიგში, პენსიონერები დააკმაყოფილოს, მინისტრებსა და პარლამენტარებს რომ პენსია შეუმცირდეს, ეს მათ არაფერს დააკლებს. პირიქით, მე ვფიქრობ, რომ მათთვის 560 ლარი პენსიაც ზედმეტია, — განაცხადა ზურაბიშვილმა.

ერთობ მწვავე და ხმამაღალი იყო ზვიად ძიძიგურის გამოსვლა. მან განაცხადა, რომ ხელისუფლება და პრეზიდენტი ხალხის უფროსი კი არა, მსახური უნდა იყოს.

— საქართველოში არავის არ სჭირდება სამღერლად რუსლანას ჩამოყვანა, მოცეკვავე შადრევნების გახსნა და პრეზიდენტის გაუთავებელი ფრენა. ხალხს მიხედვა და დაპირებების შესრულება სჭირდება, — კატეგორიული იყო ზვიად ძიძიგური.

განსაკუთრებით მწვავე კი რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის დავით ბერძენიშვილის გამოსვლა იყო, რომელმაც ხელისუფლება ნაირგვარი „ეპითეტებით“ შეამკო.

— ეს არის შევარდნაძისგან შობილი მშიშარა ხელისუფლება. სააკაშვილი შევარდნაძის ღვიძლი შვილია, რომელმაც ქვეყანაში კარიკატურული რეჟიმი დაამყარა.

ჩვენ, ორი წლის წინათ, წამოვაყენეთ ლოზუნგი „საქართველო შევარდნაძის გარეშე“ და თქვენთან ერთად მივაღწიეთ კიდეც ამას. თუ სააკაშვილი ჭკუით არ იქნება, შევქმნით ლოზუნგს „საქართველო — სააკაშვილის გარეშე“ და თქვენ ამას მიაღწევთ, ჩვენ კი თქვენთან ერთად ვიქნებით, — მიმართა ხალხს ბერძენიშვილმა.

კობა დავითაშვილი აქციის მონაწილეებს სააკაშვილისა და მისი პარტიის წინასაარჩევნო დაპირებებს ახსენებდა და შესრულებულსაც და შეუსრულებელსაც კრიტიკულად აფასებდა.

აქციის მომწყობები კმაყოფილებას ვერ მალავდნენ, რომ პირველივე დაძახილზე ხალხმა ბლომად მოიყარა თავი და შემდგომ მოსვლაც აღუთქვა.

ვინც 2 დეკემბერს პარლამენტის წინ იდგა, აუცილებლად დაინახავდა საერთოს 2003 წლის ნოემბრის აქციების საწყის ეტაპთან. გვინდა თუ არ გვინდა, წაადგება თუ არ წაადგება ქვეყანას, ჰაერში რაღაც რევოლუციისმაგვარი სუნი მაინც დატრიალდა.

ქართველები ხომ უკიდურესობის ხალხი ვართ. ამ უკიდურესობამდე რომ მივეყვანეთ, შევარდნაძის ხელისუფლებას 10 წელი დასჭირდა.

დააცლის კი აღტკინებული ხალხი ამდენივეს სააკაშვილის ხელისუფლებას?

ჯაბა ხუბუა

◎ კვირის თვალსაწიერი

პენსიონერებო, მუხათგვერდისკენ ნაბიჯით იარ!

(მეორე გვერდიდან)

დაუდასტურონ მასთან სამინისტროში „ბალეტკებითა“ და მინიქვედაბოლოებით მიბრძანებით, სიხარულით ენადაბმულმა და ანცად მოკისკისე ჭაღარა მანდილოსანთა მასებმა. მათს ადგილზე მე პირადად სწორედ ასე მოვიქცეოდი, მერე კი კუნტრუშით მივაშურებდი სპორტულ მოედნებს მოძალებული ენერგიის დასახარჯავად და შურიანად მოღოღიალე მამაკაცების გამოსაჯავრებლად.

ცოტაა, მაგრამ სამაგიეროდ სამართლიანობაა დაცული, ყველა ერთნაირად — 38 ლარს პენსიას მიიღებს, თვით პრეზიდენტიც კი, — ვუთხარი ჩემს მეზობელ ბატონ შალიკოს, რომელიც ჯერ კიდევ ახერხებს მიტინგებზე სიარულს.

— ის ქვეყანა, რომლის პრეზიდენტსაც 38 ლარი დაენიშნება პენსიად, უნდა მოწვა და მოასწორო. რას ქვია პრეზიდენტს 38 ლარი პენსია! მას სწორედაც ყველასგან განსხვავებული და სიბერის ყოველმხრივ უზრუნველმყოფელი პენსია უნდა მიეცეს. მისთვის 38 ლარის მიცემა ქვეყნის სირცხვილი და თავისმოჭრაა. არც მისგან ასეთი თავმდაბლობა და არც ხელისუფლებისგან ასეთი თვალსაჩინოება არავის სჭირდება! მაგრამ რაშია იცით საქმე, ბატონო? ჩვენს პრეზიდენტს, ღმერთმა დიდი დღე მისცეს, პენსიამდე ჯერ 26 წელი უკლია. ამ 26 წელიწადში კი, როგორც იტყვიან, ან ვირი მოკვდება ან ვირის პატრონი, რა იცი, რა მოხდება. მე ვიკითხო, ორი პარასკევი რომ მაქვს

დარჩენილი! შეღავათები მხოლოდ პარლამენტარებზე და მაღალი რანგის ჩინოვნიკებზე გავრცელდება. მე რომ ბოლო 15 წლის მანძილზე, იმ დღიდან ამ დღემდე, პარლამენტში დამთხვეული, ბრიყვი და სამარცხვინო კაცი და ქალი ვნახე, შეღავათები კი არა, სახლში უნდა ჩაკეტო და გარეთ არ გამოახედო. მაგრამ ვინაა გამკითხავი, გადაუდიათ ფეხი ფეხზე და ხალხს ნერვებს უშლიან უსაშველოდ მაღალი პენსიით.

არ იყო ბატონი შალიკო ასეთი სამართებელი, მაგრამ მომეტებულად ბოლო ხანს აელესა ენა.

ასეთი შალიკო 800 ათასია საქართველოში. 800 ათასი მშიერი, უიმედო, ღატაკი ხანდაზმული კაცი და ქალი. იშრომეს, იჯახირეს, შვილები და შვილიშვილები დაზარდეს, ეს ქვეყანა აქამდე მოიტანეს და...

ბიუჯეტი კი გაიზარდა ხუთჯერ, მაგრამ მათთვის, თითქმის ვერაფერი შეცვლილა. გაისად რომ 10 ლარი მოემატებათ, ესეც ვერაფერი ნუგეშია, ფასები უფრო სწრაფად და ველურად იზრდება!

თუ წამალს გამოიგონებენ, რომელიც 10 კიბოთი დაავადებულიდან ერთს მოარჩენს და ცხრას ვერა, ჩათვალე, რომ იმ ცხრისთვის არაფერი შეიცვალა, ის წამალი თითქოს არც გამოუგონიათ!..

მოკლედ, ახალი საპენსიო კანონის პროექტი დიდ ვნებათაღელვას იწვევს. გუშინ კონსერვატორებმა მრავალათასიანი აქციით პირველი მასობრივი იერიში მიიტანეს ხელისუფლებაზე, რომელსაც პირდაპირ გენიალური ნიჭი აღმოაჩნდა იმისა, რომ რაღაც დაუოკებელი სულსწრაფობით გადადგას არაპოპულარული ნაბიჯები და კიდევ ერთხელ დასცხოს ნაჯახი იმ ტოტს, რომელზეც ზის.

ამასობაში მოსკოვიდან ჯემალ გოგიტიძის სახით პერსონიფიცირებული ახალი პოლიტიკური მოწინააღმდეგე ვიხილეთ. როგორც ცნობილ ლექსში იყო: „ვამბობთ — პარტიას და ვგულისხმობთ — ვლადიმერ ლენინს“, ლაპარაკობდა ჯემალ გოგიტიძე და იგულისხმებოდა იგორ გიორგაძე და ასლან აბაშიძე. ამას ჰქვია, მგლის წინააღმდეგ ძაღლების გაერთიანება, თორემ ასლანის და იგორის ერთად ყოფნას ვინ წარმოიდგენდა. ამიტომ ჰქონდა, ალბათ, იგორ გიორგაძის ადრინდელი გამოსვლებისგან განსხვავებით, ჯემალ გოგიტიძით გახმოვანებულ მის ამ გამოსვლას მეტი მუხტი — იქ ჩრდილოეთში, რაღაც ახალი, სერიოზული მზადდება.

როგორც ვხედავთ, გასული კვირა მაინცდამაინც დადებითი მოვლენებით ვერ იყო დამუხტული, თუ ზემოთქმულს არ ჩავთვლით, აი, ჩვენი ასაკოვანი ქალები რომ გავახარეთ მათი საპენსიო ასაკის მამაკაცებთან გათანაბრებით.

ალეკო ასლანიშვილი

◎ ინფორმაცია

საგიზო პრობლემები ერთ კვირაში მოწესრიგდება

საქართველოში რუსეთის საელჩოს მიერ ვიზების გაცემასთან დაწესებული შეზღუდვები ერთ კვირაში მოიხსნება.

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მერაბ ანთაძემ ჟურნალისტებს სახელმწიფო კანცელარიაში განუცხადა, ტექნიკური პრობლემების გამო, უკვე ორი კვირაა, კერძო მოწვევის პირებისთვის რუსეთის ვიზების გაცემა შეზღუდულია, თუმცა ეს პრობლემები ერთ კვირაში მოიხსნება.

„მართალია, კერძო მოწვევის პირებისთვის შეზღუდვები არის დაწესებული, მაგრამ ოფიციალურ პირებს ვიზების მიღებასთან დაკავშირებით პრობლემები არ შექმნიათ“, - აღნიშნა ანთაძემ.

ჩხრეკა ბათუმის საპყრობილეში

როგორც „ინტერპრესნიუსს“ იუსტიციის სამინისტროში განუცხადეს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ბათუმის №3 საპყრობილის თანამშრომლებთან ერთად, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ჩხრეკა ჩაატარეს, საიდანაც ამოღებულია სხვადასხვა აკრძალული ნივთი.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ინფორმაციით, საკნებისა და პატიმრების ჩხრეკისას ამოღებულია 10 ცალი მობილური ტელეფონი სამუხტებით, ასევე, 4 ცალი დანა და სხვა აკრძალული ნივთები.

ბათუმის №3 საპყრობილეში ამჟამად 555 პატიმარი იმყოფება.

„ქართული ხარისხი“ გაევროპელდა

ფონდი „ქართული ხარისხი“ ევროპის ხარისხის ორგანიზაციის წევრი გახდა.

როგორც ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციაში გამართულ მიღებაზე ფონდ „ქართული ხარისხის“ ხელმძღვანელმა გიგლა კუნჭულიამ განაცხადა, ევროპის ხარისხის ორგანიზაციაში გაწევრიანება საკმაოდ რთული პროცედურა იყო. საქართველოსთან ერთად, ორგანიზაციის წევრები გახდნენ ლატვია და ესტონეთი.

ამასთანავე, ფონდ „ქართულ ხარისხს“ მიენიჭა ექსკლუზიური უფლება, საქართველოში ყოველწლიურად ჩაატაროს ხარისხის მინიჭების ცერემონიალი და გამარჯვებული კომპანია ევროპის ხარისხის ორგანიზაციაში წარადგინოს.

ევროპის ხარისხის ორგანიზაცია 1956 წელს შეიქმნა და ის ევროპის 34 სახელმწიფოს ხარისხის ნაციონალურ ორგანიზაციას აერთიანებს.

„ოპიზა“ მისამართს იცვლის

საბაჟო „აღმოსავლეთის“ ადმინისტრაციული ჯგუფი შპს ტერმინალ „ოპიზიდან“ უახლოეს მომავალში ნაძალადევის რაიონში მდებარე ერთ-ერთ შენობაში გადავა.

ეს განცხადება ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გიორგი გოდაბრელიძემ გუშინ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე საბაჟო კოდექსის განხილვისას გააკეთა.

ინტერპრესნიუსი

◎ ჟურდული მენტალიტეტი არმიაში

ქართული ჯარდაბა

საქართველოს ახალი ხელისუფლება ქართული არმიის გაძლიერებას საგანგებო ყურადღებას უთმობს და უკვე მომკილ შედეგებსაც ურიგო ნამდვილად არ ეთქმის.

მიუხედავად ამისა, ქართულ ჯარში იდეალურ დისციპლინას, თავდაცვის სფეროს მესვეურებმა ჯერაც ვერ მიაღწიეს. სამხედრო ნაწილებში ჩვეული დავიდარაბა, ქურდული გარჩევა და „დედოვშინა“ კვლავაც მაღალ დონეზეა.

ამაზე ის ჩხუბი და აყალმაყალიც მიუთითებს, რომელიც ბოლო თვეების მანძილზე სხვადასხვა სამხედრო ნაწილში მრავალჯერ მოხდა.

თავდაცვის სამინისტრო კი უფრო ხშირად სირაქლემას პოზიციას იჭერს და მომხდარი ინციდენტების მიჩუმათებას ცდილობს.

15 ნოემბერს მორიგი ფართომასშტაბიანი აყალმაყალი თბილისის მე-4 ქვეითი ბრიგადის ყაზარმებში ატყდა, სადაც გორიდან და ახალციხიდან მე-3 ქვეითი ბრიგადის 600-მდე ჯარისკაცი გადაიყვანეს... ისინი მუხროვანის და თბილისის სამხედრო ნაწილებში გაანაწილეს.

აღსანიშნავია, რომ ხელჩართული ჩხუბი მუხროვანისა და თბილისის ნაწილებში ერთსა და იმავე დღეს (15 ნოემბერს) რამდენიმე საათის განსხვავებით მოხდა, — მუხროვანის ყაზარმებში ჯარისკაცებმა ერთმანეთის თავპირის მტრევა საღამოს 7 საათზე დაიწყეს, თბილისში კი იგივე სამი საათის შემდეგ, ღამის 10 საათზე გააგრძელეს.

ეს კი საკმაოდ საფუძვლიან ეჭვს ბადებს იმისა, რომ ჩხუბი ორივე ადგილას ორგანიზებულად მოხდა. ვინ იყო ამის ინიციატორი, თავად რიგითი ჯარისკაცები თუ მათი ზემდგომი პირები? ეს ის მთავარი კითხვაა, რომელზეც პასუხის გაცემა გამოძიებას პირველყოვლისა მართებს.

15 ნოემბერს ჩხუბი მე-4 ქვეითი ბრიგადის თბილისის №16164 სამხედრო ნაწილშიც მოხდა, სადაც ახალციხიდან გადმოყვანილი 136 ჯარისკაცი ჩაირიცხა.

სამხედრო ყაზარმის მე-4 სართულზე ჩხუბი ახალციხიდან გადმოყვანილმა და იქ დამხვედრმა ჯარისკაცებმა დაიწყეს. შეხლა-შემოხლა იყო გაჩაღებული ყაზარმის გარეთ, ბრიგადის ტერიტორიაზეც.

სავალალო კი ისაა, რომ ეს რიგითები ერთმანეთს თითქმის ერთი საათის განმავლობაში უბაგუნებდნენ, ამ დროის მანძილზე კი არც ერთი „უფროსი“ (ოფიცერი) ადგილზე არ აღმოჩნდა. თითი ვერ (ან არ) გაანძრია სამხედრო პოლიციამაც, რომელიც ჩხუბის ადგილიდან ოდენ 50 მეტრით იყო დაშორებული.

ის იყო, ოფიცრებმა ატეხილი დავიდარაბა ერთი საათის შემდეგ ძლივს ჩააწყნარეს, ბრიგადას თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილიც ეწვია. ისედაც მკაცრი მინისტრი, შექმნილ სიტუაციას იმდენად განურისხებია, რომ ოფიცრების მიმართ უწმაწურ სიტყვებსაც არ მორიდებია.

— ამ ბრიგადას პატრონი არ ჰყავს და აუცილებლად მოვუძებნიო, — დაუქადნია მაშინ ირაკლი ოქრუაშვილს და ოფიცრებისთვის დამნაშავის სასწრაფოდ გამოვლენა და დასჯა უბრძანებია.

მინისტრისგან შეფუცხუნებულმა ოფიცრებმა კი ნამდვილ დამნაშავეთა დასჯის ნაცვლად განტევების ვაცთა ძებნა და რიგით ჯარისკაცებზე ხელს შეხოცვა დაიწყეს.

მიზეზი მარტივია: მთავარი დამნაშავეები ხომ თავად ის ოფიცრები არიან, რომლებიც არეულობის ჟამს თავის ადგილზე არ იმყოფებოდნენ? აბა, უფროსობა საკუთარ თავს ხომ არ დასჯის და მათაც ჯარისკაცებს სტაცეს ხელი...

№16164 და №1663 სამხედრო ნაწილების მეთაურები, ვეფხია ჩალაბაშვილი და დავით რობაქიძე ჩხუბის ადგილას მხოლოდ მაშინ მივიდნენ, როცა აყალმაყალი უკვე ჩამცხრალი იყო.

სამხედრო პოლიციამ ჩხუბში მონაწილე ოთხი რიგითი, რომანოზ ქარდავა, ირაკლი სულაქველიძე, ჯაბა ჭუმბაძე და ნესტორ ნაკანი დააკავა. თურმე მათ, როგორც ბრალდების სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილებაში გამომძიებელი მ. ბუსხრიკიძე ასკვნის, ჯგუფურად დაარღვიეს ურთიერთდაუქვემდებარებელ სამხედრო მოსამსახურეთა შორის დამოკიდებულების წესი, რასაც თან ახლდა ერთმანეთის პატივისა და ღირსების შელახვა.

გამოძიების მასალების თანახმად, ჯარისკაცების ბრალეულობაზე თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ იმსჯელა და ოთხივე დაკავებულ ჯარისკაცს სამი თვით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

ბრალდებულთა ადვოკატები მიიჩნევენ, რომ სასამართლოს აღმკვეთი ღონისძიების შესაფარდებლად სათანადო მტკიცებულებები არ გააჩნდა და არაობიექტური გადაწყვეტილება გამოიტანა, მაგრამ მათი საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ არ დააკმაყოფილა.

ჩვენ ვესაუბრეთ ერთ-ერთი ბრალდებულის, ჯაბა ჭუმბაძის ადვოკატს ჯანო ივანიშვილს, რომელიც თავისი დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობაში დარწმუნებულია და მთავარ დამნაშავეებად არა რიგითებს, არამედ მათ მეთაურებს მიიჩნევს.

— ჯაბა ჭუმბაძე ჩხუბის მომენტში საერთოდ არ იმყოფებოდა იქ. როცა სამხედრო ყაზარმის მე-4 სართულზე მუშტი-კრივი დაიწყო, იგი ბრიგადის ეზოში სიგარეტს ეწეოდა, — ამბობს ჯანო ივანიშვილი.

ჭუმბაძეს ამის მოწმეებიც ჰყავს, რომლებსაც მისმა ადვოკატმა, დაკავებულის ალიბის დადასტურება სასამართლოში სთხოვა. თუმცა ამაზე ჯარისკაცებმა მას უარი უთხრეს, მიზეზი მარტივია: სასამართლოზე გამოსვლის შემდეგ მათ სერიოზული პრობლემები შეექმნებათ!

— მეთაურებმა ჯარისკაცები დააშინეს, რომ თუ ხმას ამოიღებენ, კარგი დღე არ დაადგებათ, — ამტკიცებს ჯანო ივანიშვილი.

ბრიგადის მეთაურებს და ოფიცრებს რომ აურზაურის მიჩუმათება სურთ, ამაზე ესეც მიუთითებს: 15 ნოემბერს თბილისის მე-4 ქვეით ბრიგადაში მთელი ბატალიონი (დაახლოებით 500 ჯარისკაცი) ჩხუბობდა, ციხეში კი მხოლოდ ოთხი ბრალდებული მოათავსეს. თან, ოთხივე რიგითი და არც ერთი ოფიცერი!

15 ნოემბერს თბილისში მომხდარი ჩხუბის მიზეზის მიხვედრა ძნელი არ უნდა იყოს.

აყალმაყალის გამომწვევი არ შეიძლებოდა ე. წ. „დედოვშინა“ ყოფილიყო, ვინაიდან ახალციხიდან გადმოყვანილ და თბილისის ნაწილში მყოფ ჯარისკაცებსაც თანაბარი პერიოდი (9 თვე) ჰქონდათ ნამსახურები.

მაშ რა?

„პალაჟენიის დაყენება “ და ძალაუფლების ხელში ჩაგდება. როგორც ამბობენ, ქურდული მენტალიტეტი ქართულ ჯარში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

კი თქვა, ირაკლი ოქრუაშვილმა, ამ მენტალიტეტს დაუნდობლად უნდა ვებრძოლოთო, მაგრამ რეალური ნაბიჯები ჯერ არ ჩანს. ბრძოლა ერთობ ძნელი გამოდგა!..

ჯაბა ხუბუა

◎ განსჯა

მთვარის უკანა მხარე

შეაწიეთ სიტყვა რიგით სახელმწიფო მოხელეს!..

2003 წლის ნოემბრის შემდეგ იმდენი დაიწერა „ვარდების რევოლუციამდელ“ სახელმწიფო მოხელეთა კორუმპირებულობაზე, რომ საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს აშკარად ჩამოუყალიბდა ნეგატიური დამოკიდებულება ამ კატეგორიის ადამიანებისადმი. მართალია, იქ, სადაც ხდება საზოგადოების მიერ რომელიმე პირზე ან პირთა ჯგუფზე განკარგვის უფლებების დელეგირების ფაქტები, ყოველთვის არსებობს კორუფციის საფრთხე, მაგრამ „რევოლუციამდელ საქართველოში“ კორუფციაში ჩაბმული იყო არა ყველა სახელმწიფო მოხელე — სახელმწიფო მოხელეები არიან არა მარტო სამთავრობო დაწესებულებების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, არამედ ამ დაწესებულებათა შტატში მყოფი პროფესიონალი საჯარო მოსამსახურენი, რომლებიც ქმნიდნენ (და ქმნიან) იმ ხერხემალს, რომელსაც ყოველთვის ეყრდნობა შესაბამისი ინსტიტუტების ფუნქციონირება.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ცოდნა, პროფესიული და საქმიანი თვისებები **ადამიანურ კაპიტალს** ეროვნული სიმდიდრის სულ უფრო მნიშვნელოვან და წონად კატეგორიად ხდიან; მასზე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში ხსენებული სიმდიდრის თითქმის ორი მესამედი მოდის (ჩვენთან — თითქმის მეოთხედი). ადამიანურ კაპიტალში კი ერთ-ერთი განმსაზღვრელი ადგილი სწორედ *სახელმწიფო მოხელეებს*, მათ *პროფესიონალიზმსა* და *უნარ-ჩვევებს* უკავიათ.

ის, რომ სახელმწიფო მოხელეს შრომის ანაზღაურება საარსებო მინიმუმზე მეტი უნდა ჰქონდეს, საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა, თანაც, თანამდებობრივ ზრდასთან ერთად, იგი სულ უფრო მეტად ჯერადი უნდა იყოს. მაგრამ სინამდვილეში, „ვარდების რევოლუციის“ წინ შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმზე მაღალი ხელფასი საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში (ძალოვნების გარდა) ორასიოდე კაცს თუ ჰქონდა — სამთავრობო დაწესებულებების ხელმძღვანელებს და მათ მოადგილეებს, ანუ მოხელეთა საერთო რიცხვის დაახლოებით 0,2 პროცენტს. 1995 წელს (უფრო ადრინდელ დროზე — ჰიპერინფლაციისა და კუპონიზაციის პერიოდზე — საუბარს აზრიც არა აქვს, რადგან მაშინდელი ხელფასები წმინდა სიმბოლურ ხასიათს ატარებდა და შინამეურნეობები მთლიანად დამოკიდებული იყვნენ არსებობის სხვა საშუალებებზე) მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმის მეოთხედზე ნაკლები იყო, 2003 წელს — 87 პროცენტი და მხოლოდ 2004 წელს მოხერხდა (პირველად 1990-იანი წლების დასაწყისიდან) საშუალო ხელფასით საარსებო მინიმუმის გადაფარვა. **1996-2003 წლებში მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასით იფარებოდა შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმის მხოლოდ სამი მეხუთედი, რის გამოც, დასაქმებულთა შესაბამისი რიცხვის გათვალისწინებით, საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულებზე სახელმწიფომ მათზე ხელფასის გაცემისას ამ წლებში „დაზოგა“, სულ ცოტა, 1,6 მილიარდი ლარი.** სხვაგვარად რომ ვთქვათ, საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულებმა, მათ შორის სახელმწიფო მოხელეებმა, სახელმწიფოს გაუწიეს სუბსიდირება, დაახლოებით 1,6 მილიარდი ლარით. დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი ცამეტი წლის მანძილზე, განსაკუთრებით კი 1992-1996 წლებში, უტრანსპორტობის, დენის ქრონიკული გათიშვების პერიოდში სწორედ სახელმწიფო მოხელეთა უმრავლესობა პროფესიული თავდადებით და საქმიანობით უზრუნველყოფდა სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირებას — იმ დროს, როდესაც ამის გაკეთება თავად სახელმწიფოს არ ხელეწიფებოდა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტის შესახებ.

რიგითი მოხელეების სახელმწიფო სამსახურებისადმი ერთგულებას, ზოგადად, პატრიოტიზმის, *მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესებისა და უკეთესი მომავლის იმედის გარდა*, განაპირობებდა მათზე განხორციელებული ინვესტიციები (ძირითადად, საზღვარგარეთული) ნოუ-ჰაუს, ცოდნის გადმოცემის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების სახით, რომელიც ღირებულებითი ფორმით დიდი ხნის განმავლობაში მნიშვნელოვნად აღემატებოდა სახელმწიფო მოხელეთა ხელფასების სიდიდეს და დინამიკას. შეიძლება ითქვას, რომ 2003 წლის ნოემბრისათვის ცალკეული უწყებებისა და თანამდებობების მიხედვით სახელმწიფო მოხელეებში ჩადებული საქმიანი ცოდნის ღირებულება რამდენიმე ათეულჯერ და მეტადაც კი აღემატებოდა ამ უკანასკნელთა ხელფასს. მოკლედ, ინვესტიცია ადამიანურ კაპიტალში უკვე არსებობდა, საჭირო იყო მისგან მაქსიმალურ უკუგებაზე ზრუნვა.

„ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში ცალკეულ სახელმწიფო მოხელეთა მიმართ გამოხატული უნდობლობა მათი წარსული კორუმპირებულობის გამო, სამწუხაროდ, პროექტირებულ იქნა თითქმის მთელს სამოხელეო კონტინგენტზე — მასობრივი ხასიათი მიიღო ძველი კადრების, განსაკუთრებით 40 წელს გადაცილებულთა, ანუ იმათმა დათხოვნამ, რომლებშიც ბოლო 10-12 წლის მანძილზე ძირითადად ჩაიდო საზღვარგარეთული დახმარებები *ინტელექტუალური, პროფესიული* და *კვალიფიკაციის ასამაღლებელი* ინვესტიციების სახით. ვაწყდებით პარადოქსულ სიტუაციას: **გაძლიერებულია საჯარო მოსამსახურეთა პასუხისმგებლობა სახელმწიფოსათვის ზარალის მიყენებისა და სამსახურებრივი უფლებათა გადამეტებისათვის, მაგრამ ჯერაც არ არსებობს ხელმძღვანელ პირთა მიერ საჯარო მოხელეებში განივთებული ცოდნისა და გამოცდილების ტრანჟირებისა და უგულებელყოფის არდაშვების და მონიტორინგის რაიმე ქმედითი მექანიზმი.** კანონი *ავალდებულებს თანამდებობის პირს — უპასუხოს შემოსულ ნებისმიერ შეკითხვას*, მაგრამ იგი „დუმს“ შემთხვევებისადმი, როდესაც თანამდებობის პირი სახელმწიფოს ზარალს აყენებს კვალიფიციური, კომპეტენტური კადრების ერთპიროვნული, საკუთარი შეხედულებისამებრ „ჩამოწერით“. მართალია, სისხლის სამართლის კოდექსში არის 333-ე მუხლი პასუხისმგებლობის შესახებ სახელმწიფო მოხელის უფლებამოსილებათა გადამეტების შემთხვევაში, მაგრამ იგი, „როგორც წესი“, არასასურველ თანამდებობის პირთა რეპრესირებისთვის უფროა გამიზნული (როგორც შორეულ, გასული საუკუნის 30-იან წლებში სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლი...). **ჩვენთან ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ კვალიფიციურ თანამშრომელთა მასობრივი დათხოვნისათვის** (მნიშვნელობა არა აქვს — ახალი ხელმძღვანელის თანამშრომლებისათვის *„ნებაყოფლობითი“, „პირადი სურვილით სამსახურიდან განთავისუფლების“* შესახებ განცხადების დაწერის დირექტივის თუ ტესტირების შემდეგ ჩატარებული „ობიექტური“ გასაუბრების საფუძველზე) **დადგეს შესაბამისი თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი ქვეყნისათვის მიყენებული ზარალის ფორმულირებით**.

კვალიფიციური კადრების სამსახურიდან დათხოვნა მხოლოდ ერთი მხარისათვის — *სახელმწიფოსათვის* — მიყენებული ზარალით არ ამოიწურება. — ჩვენ აქ საერთოდ არ გაგვიმახვილებია ყურადღება ზარალის მეორე ასპექტზე, რომელიც ჯან-ღონით აღსავსე, საპენსიომდე ჯერ კიდევ საკმაოდ დაშორებული ასაკის, მასობრივად ქუჩაში გამოყრილი სპეციალისტების ოჯახებისათვის უმწვავეს ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ დარტყმაში გამოიხატება. — ჩვენთან ხომ ისტორიულად ისე „აეწყო“, რომ არა მარტო ადამიანში განივთებული ცოდნა და გამოცდილება, არამედ ზოგადად ადამიანის სიცოცხლე და მისი ღირსება ყოველთვის „დემპინგური ფასებით“ იზომებოდა და, მიუხედავად საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლისა, ამ სტერეოტიპს არსებითად ძალიან არ გასცილებია...

რა თქმა უნდა, **საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, მით უფრო, სახელმწიფო მოხელეს, უნდა უყვარდეს თავისი სამშობლო, თავისი ქვეყნის პატრიოტი იყოს. მაგრამ ქვეყანასაც უნდა უყვარდეს თავისი მოხელე და შესაბამის ყურადღებას და თანადგომას უნდა ამჟღავნებდეს მის მიმართ, ხელფასი იქნება ეს, სოციალური დაცვა (მათ შორის, შრომის კანონთა კოდექსის მიხედვით) თუ ელემენტარული ადამიანური ყურადღება**.

სახელმწიფო სამსახურში კადრების ცვლა უნდა მიმდინარეობდეს, მაგრამ არა ხელოვნურად დაჩქარებული სახით. იგი მეტნაკლებად უნდა უკავშირდებოდეს თაობათა ცვლის ბუნებრივ პროცესს. ამასთან, ხელმძღვანელობის „გუნდური პრინციპი“, როდესაც მოდის ახალი ხელმძღვანელი კოლექტივში „თავის გუნდთან“ ერთად, არ უნდა სცილდებოდეს სწორედ *ხელმძღვანელ* მოხელეთა კონტინგენტს. დანარჩენთა სამსახურში ყოფნა-არყოფნის საკითხი **დადგენილი წესით** მათმა **ობიექტურმა** *ატესტაციამ* და *ტესტირებამ* უნდა გადაწყვიტოს. თანამდებობებზე კადრები არ უნდა ინიშნებოდნენ ისეთი (და, ხშირად, ერთადერთი) „უპირატესობის“ გამო, როგორიცაა „პატრონის“ (მეგობრის, ნაცნობის...) მიმართ ერთგულება. ასეთ დროს საზოგადოებრივ ცნობიერებაში ადრე თუ გვიან აუცილებლად გაჩნდება რეციდივი თითქმის უკვე დაძლეული სქოლასტიკური კითხვისა: *„რა სჯობია — არაკორუმპირებული არაკომპეტენტური თუ კორუმპირებული კომპეტენტური მოხელე?!“*, ნაცვლად იმისა, რომ ვიმსჯელოთ, თუ როგორ გადავუკეტოთ *„გზა კორუფციისაკენ“* საჯარო მოსამსახურეს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი კონტროლის მეშვეობით.

წინა ხელისუფლებისას *სისტემურ კორუფციას განაპირობებდა* თვით მაშინდელი დაბალი სამოხელეო ხელფასები. მაგალითად, მინისტრს ხელფასი ჰქონდა 160 ლარი, ანტიკორუფციული სამსახურის მდივანს (ფაქტობრივად, ხელმძღვანელს) კი — 4000 ლარი...

2003 წლის ნოემბრის შემდეგ განვლილ პერიოდში კორუფციამაც გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა. დღეს უკვე ლაპარაკობენ ე.წ. *ხარჯვით, ინსტიტუციურ კორუფციაზე*, ანუ როდესაც სახელმწიფო მოხელე ოფიციალურად ხარჯავს იმაზე მეტ სახელმწიფო რესურსებს, ვიდრე საჭიროა მის მიერ კანონითა და დებულებით მისთვის განსაზღვრული სტატუსის, მინიჭებული ფუნქციების შესასრულებლად; ღებულობს მისი საქმიანობის სირთულის, მნიშვნელობის შესატყვისზე გაცილებით მეტ გასამრჯელოს. რესურსების ყბადაღებულ და მედიაში აჟიტირებულ უკონტროლო ხარჯვაზეც კი რომ არაფერი ვთქვათ, **საქართველოში, დღეისათვის, სახელმწიფო სექტორში არის დანიშვნითი თანამდებობები, რომელთა ხელფასი ლარისა და დოლარის მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად აღემატება, მაგალითად, გაეროს ნებისმიერი დეპარტამენტის, განიარაღების იქნება თუ სტატისტიკის, უფროსის, ხელფასს.**

ზემოხსენებული მდგომარეობა და მაგალითები დასაქმებისა თუ ანაზღაურების სფეროში ხელს უშლის სახელმწიფო სამსახურში მყოფი ადამიანების *„სახელმწიფო მოხელეობრივი პოტენციალის“* სრულად გამოყენებას, აკნინებს *„მმართველობითი აპარატის ოპტიმიზაციის მიზნით“* განხორციელებული კამპანიების შედეგიანობას. იგი, „უკეთეს შემთხვევაში“, აყალიბებს და კრავს კორპორაციულ, კლანურ ინტერესს, მის „ოპერატიულ დაქვემდებარებაში“ გადაყავს სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობა, ქმნის და აძლიერებს შესაბამის სახელისუფლებო ვერტიკალს, მნიშვნელოვნად ზრდის იმის ალბათობას, რომ დანიშნული პირი გაატარებს არა იმდენად *სახელმწიფოებრივ*, რამდენადაც მისი *დამნიშვნელის* ინტერესის შესატყვის პოლიტიკას... ეს კი რეალურ საფრთხეს უქმნის დემოკრატიულობისა და სამართლიანობის პრინციპებს, ხელს უშლის სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას, აძლიერებს სოციალურ ძალთა პოლარიზაციას და, მთლიანობაში, სერიოზულად აფერხებს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას...

არჩილ იოსებიძე,
2005 წლის ნოემბერი

◎ ინფორმაცია

არუთინიანის პროცესი 5 დეკემბერს დაიწყება

თბილისის საქალაქო სასამართლომ განსახილველად მიიღო 10 მაისს თავისუფლების მოედანზე აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის გამოსვლისას მომხდარ ინციდენტში ბრალდებულ ვლადიმერ არუთინიანის სისხლის სამართლის საქმე.

გუშინ მოსამართლე დავით ჯულელმა საქმის პირველი განხილვის ვადაც დანიშნა, არუთინიანის საქმის განხილვა 5 დეკემბერს, 12.00 საათზე დაიწყება.

ყველამ ერთად მოვინდომოთ!

საქართველოს ნატოში გაწევრიანების ვადები ქართულ მხარეზეა დამოკიდებული. ამის შესახებ განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა დღეს მთავრობის სხდომაზე გააკეთა.

„ნატოში ინტეგრაციის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ჩვენზეა დამოკიდებული ნატოში გაწევრიანების ვადები, თუ რამდენად აქტიურად წარიმართება ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის განხორციელება“, — განაცხადა ნოღაიდელმა.

საქართველომ მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა მიიღოს მონწვევა წევრობის სამოქმედო პროგრამაში, 2008-2009 წლებში კი დაიწყოს მოლაპარაკება საქართველოს ნატოში გაწევრიანებაზე.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, საქართველოსთვის მთავარი ამოცანაა, რაც შეიძლება სწრაფად განახორციელოს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა, რომელსაც თან უნდა სდევდეს ეკონომიკური და სამხედრო რეფორმების წარმატებით განხორციელება.

ვის სჭირდება შადრევნები, როცა ხალხს უჭირს!

„კონსერვატიული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ზვიად ძიძიგური ხელისუფლებას მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუარესებაში ადანაშაულებს.

როგორც პარლამენტის შენობასთან მიმდინარე პენსიონერთა აქციაზე ძიძიგურმა განაცხადა, მართალია, პენსიები 28 ლარამდე გაიზარდა, თუმცა, შესაბამისად ქვეყანაში პროდუქტზე ფასებიც გაძვირდა და პენსიების გაზრდით მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა.

„მიხეილ სააკაშვილმა ხალხი პენსიების გაზრდას გადააყოლა, თუმცა, ამ 28 ლარით მოსახლეობა ვერაფერს ყიდულობს. ვის სჭირდება რუსლანას და ბალერინების გამოყვანა, ვის სჭირდება მოცეკვავე შადრევნები, როცა ხალხს პურის ფული არ აქვს“, — განაცხადა ძიძიგურმა.

ოპოზიციური პარტია საპარლამენტო უმრავლესობას მოუწოდებს, არ მიიღონ პარლამენტში წარმოდგენილი საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ კანონპროექტის ვარიანტი, წინაღმდეგ შემთხვევაში ისინი უფრო ფართომასშტაბიანი აქციების ორგანიზებით იმუქრებიან.

ინტერპრესნიუსი

◎ მთავრობის სხდომა

ბენდუქიძე სოციალური სფეროს რეფორმირებას გეგმავს

მთავრობის გუშინდელმა სხდომამ 43 საკითხი განიხილა, მათ შორის იყო საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი „რუსეთის ფედერაციის 62-ე სამხედრო ბაზის (ქ. ახალქალაქი) შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის საქართველოს ტერიტორიიდან გატანის ხელშეწყობის შესახებ“, აგრეთვე, სს ზესტაფონის გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის აქციათა საკონტროლო პაკეტის (51 პროცენტი) ავსტრიის კომპანია „დიესემისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 29 ივნისის ბრძანებულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე; „საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის მიერ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსებისათვის თანხების გამოყოფის შესახებ“...

პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა მთავრობის წევრებს აცნობა, რომ ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო გეგმამ მხარდაჭერა ჰპოვა, როგორც ნატოში, აგრეთვე, ევროკავშირში. იგი მოიწონა ბელგიის მთავრობამაც, რომელიც მომავალი წლიდან ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე იქნება.

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ ილაპარაკა მთავრობის მიერ განხილულ უახლესი პერიოდის სამოქმედო გეგმაზე. ერთ-ერთი საკითხი საბიუჯეტო-საგადასახადო სფეროს შეეხებოდა. სახელმწიფო მინისტრმა ჟურნალისტებს განუმარტა, როგორი უნდა იყოს გრძელვადიანი საბიუჯეტო პარამეტრები და რა ცვლილებებია აუცილებელი საგადასახადო თვალსაზრისით.

სამოქმედო გეგმის მეორე ნაწილი საბანკო-საფინანსო რეფორმას მოიცავს, ხოლო მესამე ნაწილი — სახელმწიფო მმართველობას. ბენდუქიძის თქმით, დროულად უნდა დასრულდეს რეფორმა სახელმწიფო აპარატში, ხოლო კვაზი — სახელმწიფოებრივი საჯარო სამართლის იურიდიული პირების რაოდენობა უნდა შემცირდეს. „ბევრი მათგანი უფუნქციოა და სხდომაზე იმსჯელეს სოციალური სფეროს რეფორმების აუცილებლობაზე. ეს არის 742 მილიონი ლარი, იგი სამი ყველაზე დიდი სამინისტროს ბიუჯეტს აღემატება. უნდა განისაზღვროს ამ უზარმაზარი თანხის ეფექტიანი გადანაწილება, რათა მკვეთრი ეკონომიკური და სოციალური შედეგი მოგვცეს“, — თქვა კახა ბენდუქიძემ.

შამშე თამარაშვილი

მალხაზ კუხაშვილის ნახატი

◎ რეპლიკა

რად ვეძახით ნიკას მიხოს?

„ეროვნული“ შესაფერის დროს და ადგილას ვიხმაროთ!

გასულ ზაფხულს პრესაში და ტელეეკრანზე ყველაზე „ულერადი“ თუ „გაჟღერებული“ ცნება „ერთიანი ეროვნული გამოცდები“ გახლდათ. „გამოცდებთან“ რომ მსაზღვრელად „ეროვნულის“ დართვა შეუფერებელი და გაუგებარია, ამის თაობაზე, იმავე ზაფხულში, პროფესორმა გიორგი გოგოლაშვილმაც საჯაროდ გამოთქვა აზრი და წინამდებარე რეპლიკის ავტორმაც, მაგრამ რომ არავინ გამოგვეპასუხა! არადა, ახლაც გრძელდება ამ უხეირო თანწყობის ხმარება და პრესაში გამოსაქვეყნებლად მოაქვთ მსხვილშრიფტიანი სათაური „2006 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამა უცხოურ ენებში“.

თვალი დავხუჭოთ იმაზე, რომ აქამდე „უცხოს“ ვამბობდით (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, უცხო ენების კურსები, უცხო ენების ინსტიტუტი) და ახლა „უცხოური“ გახდა! პრინციპული სხვა რამეა — უცხო ენებში (რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული...) გამოცდები ეროვნული (ჩვენთვის, ქართველებისთვის, საქართველოში) როგორ უნდა იყოს, რა აზრითა და რა გაგებით?

კი, ბატონო, ისეთი საგნები, ისეთი დისციპლინები, როგორიც ქართული ენა და ლიტერატურაა, საქართველოს ისტორიაა, საქართველოს გეოგრაფიაა, მართლაც ეროვნული ელფერისაა და ასოცირდება კიდევაც ეროვნულთან, მაგრამ მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიასა თუ ბიოლოგიაში მისაღები (და როგორც გნებავთ) გამოცდები როდის აქეთ და რანაირად იქცა ეროვნულად? ესეც არაა ყველაფერი — საქართველოში მცხოვრები რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ოსი, აფხაზი, ქურთი თუ სხვა ეროვნებების, საზღვარგარეთიდან ჩამოსული ახალგაზრდებიც რომ აბარებენ მისაღებ გამოცდებს, ეროვნულად რატომ და როგორ უნდა გაიაზრონ?..

„ეროვნული“ თუ ზოგიერთს ესმის, როგორც „საქვეყნო“ ან „სახელმწიფო“, მაშინ დაგვერქმია „ერთიანი სახელმწიფო გამოცდები“ (როგორც ეს გააკეთეს რუსეთში — “Единые государственные экзамены“), ან სულაც უბრალოდ, „ერთიანი მისაღები გამოცდები“. ეს ხომ მარტივია!

აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ „ზოგადი უნარი“ მხოლობითი უნარითაც უაზრო გამოთქმაა და მით უფრო, მრავლობითში („უნარს“ არა აქვს მრავლობითი რიცხვი!) — „ზოგადი უნარების ტესტიო“!

გასაკვირია, განათლების სფეროში რომ რეფორმებზე ამდენი განათლებული (და გვარიანად „დახელფასიანებული“) რეფორმატორი დასვეს, ასეთ რამეებს არავინ უნდა უფიქრდებოდეს და ყურადღებას აქცევდეს? ეროვნულობა სადაც ხაზგასასმელია, იქ მივაჩუმათეთ (მაგალითად, პირადობის საბუთებში) და მაინცდამაინც გამოცდები „გავაეროვნულეთ“? „ცისფერი მთების“ გმირისა არ იყოს, ეს მოტობურთი რაღა უბედურებაა — მეც გამიგია ეროვნული ბიბლიოთეკა, მუზეუმი, განძი, თავმოყვარეობა, — გამოცდები რგორღაა ეროვნული?

ამ შენიშვნებით თუ მეშლება რამე, ამ შენიშვნებში თუ ვცდები, დაე, გამოგვეხმაუროს, ვინც ჯერ არს და როგორც საჯაროდ გამოვთქვი, ასევე საჯაროდ მოვიხდი ბოდიშს, ჩემთვის ეს პრობლემა არ არის...

თამაზ ებანოიძე

◎ ინფორმაცია

ერთობლივ მსჯელობას შედეგი უნდა მოჰყვეს!

სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო გეგმა გუშინ საქართველოს პარლამენტის ორი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე განიხილეს.

თავდაცვისა და უშიშროების და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტების ერთობლივი სხდომა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. მას აფხაზეთის მთავრობის და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

როგორც ჟურნალისტებს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ განუცხადა, სხდომაზე დეპუტატები პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ „სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარების გეგმის“ კონკრეტული დეტალების შესახებ ინფორმაციას უშუალოდ მთავრობისგან ისმენდნენ..

სამი ბანდიტი დააკავეს

ქობულეთის შს სამმართველოს თანამშრომლებმა ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით 3 პირი დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შს სამინისტროში განუცხადეს, დაკავებული არიან სოფელ კვირიკეში მცხოვრები 25 წლის არჩილ ვერულიძე, სოფელ ალამბარში მცხოვრები 22 წლის ზვიად მუავანაძე და სოფელ ბობოყვათში მცხოვრები 24 წლის მინდია მანელიშვილი.

ვერულიძის კუთვნილი ავტომანქანიდან ამოღებულია ელექტროშოკები, უცხოური პისტოლეტი, მჭიდით და რვა ვაზნით, გადაჭრილი სანადირო თოფი და ავტომატ „აკს“-ის 11 ვაზნა.

პოლიციის ინფორმაციით, დადგინდა, რომ ვერულიძე, მუავანაძე და მანელიშვილი სოფელ ქაქუთში მცხოვრები ავთანდილ ოთიაშვილის მაღაზიის გაქურდვას ცდილობდნენ.

ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას ქობულეთის შს სამმართველო აწარმოებს.

მცხეთაში 3 პრესტიჟული რესტორანი დალუქეს

ფინანსურმა პოლიციამ გუშინ ქალაქ მცხეთაში 3 პრესტიჟული რესტორანი დალუქა.

ფინანსური პოლიცია საგადასახადო სამსახურთან ერთად, რესტორნებში — „სამეფო“, „ზღაპარი“ და „ხიდაშლები“ დოკუმენტაციას ამოწმებს.

გამოძიებას ეჭვი აქვს, რომ რესტორნებში ბიუჯეტის კუთვნილი თანხები იმალება, თუმცა ამ ინფორმაციას ობიექტების ადმინისტრაციის ხელმძღვანელები უარყოფენ.

ფინანსური პოლიციის რეიდის ფარგლებში, რევიზიის განყოფილება რესტორნების საბუღალტრო დოკუმენტაციას შეამოწმებს.

ფინანსურმა პოლიციმ ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში საზოგადოებრივი კვების 30-მდე ობიექტი დალუქა. მათ შორისაა „ელ დეპოს“ რესტორნების ქსელი, ასევე, რესტორნები „პურის სახლი“, „თეთრი სახლი“, „უშბა“, „აფხაზეთი“, „თაბორი“, „დედა ზოია“, „მეიდანი“, „რიყე“ და „მელომანი“.

ინტერპრესნიუსი

◎ თანადგომა

ჩვენი დამოუკიდებლობა პირველმა რუმინეთმა აღიარა

1 დეკემბერს რუმინეთის დამოუკიდებლობის დღე საგანგებოდ აღინიშნა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში. საზეიმო საღამოზე თავი მოეყარათ სხვადასხვა ქვეყნის ელჩებს, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, სასულიერო პირებს, პოლიტიკურ მოღვაწეებს...

რუმინეთისა და საქართველოს ჰიმნების შესრულების შემდეგ, მოწვეულ სტუმრებს დამოუკიდებლობის დღე მიულოცა რუმინეთის ელჩმა საქართველოში კონსტანტინ გირბეამ.

„ვულოცავთ რუმინელებს დამოუკიდებლობის დღეს. სასიხარულოა, რომ ეს თარიღი საქართველოში ყოველწლიურად აღინიშნება“, — გვითხრა ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მთავარეპისკოპოსმა თეოდორემ.

მანვე გაიხსენა წმინდა ანთიმ (ანთიმ) ივერიელი — წარმოშობით ქართველი, რუმინეთის მიტროპოლიტი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის რუმინეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. მიუხედავად სასულიერო წოდებისა, იგი უდიდესი პოლიტიკური მოღვაწეც იყო, იბრძოდა უცხოელ დამპყრობელთაგან ვლახეთის განთავისუფლებისათვის. 1716 წლის 27 სექტემბერს თურქებმა სიკვდილით დასაჯეს. იგი მოწამეობრივად აღესრულა. რუმინეთის ეკლესიამ ანთიმ ივერიელი წმინდანად შერაცხა.

მთავარეპისკოპოს თედორესთან ერთად ზეიმს ესწრებოდნენ ანთიმოზ ივერიელის მშობლიური სოფლის — უდეს ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ტიმოთე და ამავე ტაძრის მოძღვარი, მღვდელმონაზონი გრიგოლი, წმინდა ანთიმოზ ივერიელის რუმინეთ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოების წარმომადგენლებიც. ეს საზოგადოება 2000 წელს აპრილში დაარსდა და მრავალი ღონისძიება გამართა. 2005 წლის 26 ივლისს სამხრეთ საქართველოში, სოფელ უდეში პირველი საეკლესიო და სახალხო ზეიმი „ანთიმოზობა“ გაიმართა.

გაცხადდა საზოგადოების თავმჯდომარის თეიმურაზ რუხაძის ინიციატივა: დაწესდეს ქართულ-რუმინული საერთაშორისო ორდენი და ანთიმ ივერიელის სახელობის პრემია.

საზეიმო საღამოზე შთაბეჭდილებები გაგვიზიარეს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა:

კონსტანტინე კემულარია, იუსტიციის მინისტრი — რუმინეთს, როგორც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს, შავი ზღვის აუზში ერთ-ერთი წამყვანი როლი აკისრია, რაც ჩვენთვის ხელსაყრელია. აღმოსავლეთ ევროპის თვითოეული სახელმწიფოს გამოცდილება მომავალში საქართველომ თავის სასარგებლოდ უნდა გამოიყენოს. ჩვენც იგივე გზა უნდა გავიაროთ, რადგან აგრეთვე, მივისწრაფით ევროკაშირისაკენ.

ალექსანდრე ლომაია, განათლების მინისტრი — ეს დღე უთუოდ მნიშვნელოვანია. ჩემთვის, საქართველოს მოქალაქისთვის იგი იმითაც არის განსაკუთრებული, რომ 1991 წელს პირველი სახელმწიფო, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა, რუმინეთი იყო. არცთუ ბევრ ადამიანს ახსოვს 27 აგვისტო. მაშინ მოსკოვში, საქართველოს საელჩოში ვმუშაობდი. ჩემთან მოვიდა ფაქსი რუმინეთიდან. ამის შემდეგ დავურეკეთ საქართველოს პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას და სასიხარულო ინფორმაცია ვაცნობეთ. განსაკუთრებული განცდა ამ სახელმწიფოს მიმართ დღემდე თან მდევს.

ასეთ მეგობარ სახელმწიფოებს ჩვენც მარად მხარში უნდა ვედგეთ!

თამარ შაიშმელაშვილი

◎ მკითხველის თხოვნით

წლეულს დაშვებული შეცდომები გაისად ალარ განმეორდება?..

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ცვლილებებია

„ძვირფასო რედაქცია, ვეცნობი ერთიანი ეროვნული გამოცდების საგნების პროგრამებს, რომელიც თქვენს გაზეთში იბეჭდება. ამ გამოცდების ჩატარებაში, 2006 წლისთვის, მოსალოდნელი ხომ არ არის ცვლილებები? თუ არის, გთხოვთ, დაბეჭდოთ.

თქვენი გაზეთის მუდმივი მკითხველი მარინე მარგალიტაძე, ბათუმი“.

ვასრულებთ მკითხველის თხოვნას. თუ რა ცვლილებებია მოსალოდნელი, ამის შესახებ გვესაუბრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცენტრის ადმინისტრატორების ჯგუფის ხელმძღვანელი მერაბ თოფურია:

— ეს მეტად მნიშვნელოვანი ცვლილებებია, რომელთა მიზანია საგამოცდო პროცედურების, აპელაციის პროცესისა და შემდეგ შეფასების სისტემის კიდევ უფრო დახვეწა. 2005 წელს ჩატარებულ გამოცდებს საზოგადოებაში დადებითი გამოხმაურება მოჰყვა, მაგრამ იყო შენიშვნებიც, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ. არ გვქონდა ტექნიკური შესაძლებლობა, რომ აპელაციის განხორციელებამდე აბიტურიენტებისათვის გვეჩვენებინა თავიანთი ნაწერების ასლები, 2006 წლისათვის ამის როგორც ტექნიკური, ისე ორგანიზაციული შესაძლებლობა გვექნება. ყველა აბიტურიენტი გამოცდების დამთავრებისთანავე მიიღებს რა თავისი ნაწერების ასლს, თუ გამსწორებელს არ დაეთანხმება, შესაძლებლობა ექნება გაასაჩივროს კიდეც ესა თუ ის ქულა. ამ დღეებში ბორჯომში ჩატარდა კონფერენცია-სემინარი ჩვენი ცენტრის დირექტორის მაია მიმინოშვილის ხელმძღვანელობით. გაანალიზდა 2005 წლის გამოცდების შედეგები და გათვალისწინებული იქნა ყველა შენიშვნა. კონფერენცია-სემინარს ესწრებოდნენ საგამოცდო ცენტრების ადმინისტრატორები, ორგანიზატორები.

— კვლავ რჩება თუ არა გამოცდების 11 ცენტრი?

— თერთმეტივე დარჩება. მალე გამოიცემა ბუკლეტები და გაზეთებიც, რომლებიც სკოლებს მოთხოვნილების მიხედვით დაურიგდებათ. ასევე დარჩება 75-ვე სარეგისტრაციო პუნქტი. გამოცხადდება აპრობირებული ტესტური დავალებების დაბეჭდვის საერთაშორისო ტენდერი. ვინც ტენდერში გაიმარჯვებს, ტესტებსაც ის დაბეჭდავს.

ცალკეულ საგამოცდო საგნებში პროგრამები თქვენს გაზეთშიც იბეჭდება. კარგია, რომ გვეხმარებით. მალე წიგნიც გამოვა, სადაც მაგალითების ამოხსნის გზები იქნება მოცემული. მოხდება მეთვალყურეებისა და კურატორების როტაციაც. ადგილზე სახელმძღვანელოდ 1300 ადამიანი შეირჩევა. აგრეთვე დაცული იქნება უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციის გავლის პრინციპი.

— რა სიახლეებია მოსალოდნელი გამოცდების შინაარსობრივ ნაწილში?

— 2006 წელს საგალდებულო საგნების გარდა, შემოდის არჩევითი საგნებიც. ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები, უცხო ენა. არჩევითია: ლიტერატურა, ისტორია საზოგადოებრივი მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა.

— რა არის მათი მიზანი?

— მაგალითად, ქართული ენისა და ლიტერატურის (სავალდებულო) ტესტის მიზანია, ძირითადად, ერთობლივი კომპეტენციის შეფასება, თუმცა იგი სავალდებულო ლიტერატურული მასალის

— სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ლიტერატურული მასალის ცოდნა და მიღებული ინფორმაციის გამოყენებით, გაანალიზებისა და მხატვრული ტექსტების გააზრების, დამოუკიდებელი შემოქმედებითი აზროვნება, უცნობი ტექსტის შესახებ კრიტიკულად, ლოგიკურად და არგუმენტირებულად მსჯელობის, მხატვრული და სამეცნიერო (პუბლიცისტური) ტექსტების ანალიზის უნარი და წერის კულტურა.

— მაგალითად რა საკითხებს მოიცავს ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, საქართველოს ისტორიისა და საზოგადოებრივი მეცნიერების ტესტი?

— ტესტში შევა ის საბაზისო მასალა, რომლის ცოდნაც აუცილებელია უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად. ტესტი ამოწმებს ფაქტობრივ ცოდნას და ამ ცოდნის გამოყენების უნარს ბუნების მოვლენების ასახსნელად. აღსანიშნავია ისიც, რომ აბიტურიენტი საგამოცდო ტესტთან ერთად მიიღებს ცნობარს. მასში მოცემული იქნება დამატებითი ინფორმაცია, რომელიც შეიძლება გამოიყენოს ტესტის დავალებებზე პასუხის გასაცემად.

ასევე საქართველოს ისტორიისა და საზოგადოებრივი მეცნიერების ტესტი მოიცავს საკითხებს საქართველოს ისტორიიდან და გეოგრაფიიდან, აგრეთვე ზოგიერთ საკითხს სამოქალაქო განათლებიდან. ტესტში აგრეთვე შევა ის საბაზო მასალა, რომლის ცოდნაც აუცილებელია უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად. აქვე მოწმდება ტესტის მიზანიც — გამოავლინოს თუ რამდენად შეუძლია აბიტურიენტს მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება.

— თუ ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩვეულებრივად ტარდება გამოცდა, ლიტერატურა ცალკე საგნად რატომ არის ჩასაბარებელი?

— ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდის ფორმატი შეიცვალა. მისი დანიშნულება განსხვავდება იმისაგან, რაც აბიტურიენტებმა წლეულს ჩააბარეს. აქ განისაზღვრება, თუ როგორ ფლობენ ისინი ქართულ ენას, როგორ ესმით წაკითხული ტექსტის შინაარსი, აგრეთვე გამომცდელს საშუალება ეძლევა, გამოცდის შემდეგ გაარკვიოს, რამდენად შეუძლია აბიტურიენტს თავისი აზრის წერილობით გადმოცემა, ამით მოწმდება, კარგად ფლობს თუ არა ქართულ ენას.

იხ. მე-8 გვ.

◎ ინფორმაცია

ლიტველი მესაზღვრეები გვეხმარებიან

საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, გენერალ-ლეიტენანტმა ბადრი ბიწაძემ გუშინ თბილისში სამუშაო ვიზიტად მყოფი ლიტვის სასაზღვრო სამსახურის რვაკაციანი დელეგაცია მიიღო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს სასაზღვრო უწყების პრესსამსახურში განუცხადეს, შეხვედრაზე მხარეებმა სასაზღვრო უწყებაში მიმდინარე რეფორმებისა და ლიტვის მიერ ქართული მხარისთვის სამომავლო დახმარების გაწევის შესახებ ისაუბრეს.

ბადრი ბიწაძის განცხადებით, ქართული მხარისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ლიტვის სასაზღვრო უწყების გამოცდილების გაზიარება.

სასაზღვრო დეპარტამენტს დაახლოებით იგივე გზა აქვს გასავლელი, რაც ლიტვის სასაზღვრო უწყებამ ეფექტური და პროფესიული უწყების ჩამოყალიბებისა და სტრუქტურის ევროსტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მხრივ გაიარა.

ლიტვის სასაზღვრო უწყების დელეგაცია ხუთდღიანი სამუშაო ვიზიტით საქართველოში 28 ნოემბერს ჩამოვიდა.

ქალებო, არ დაბერდეთ 65 წლამდე!

2006 წლიდან ქალების საპენსიო ასაკი 65 წლამდე გაიზრდება.

მთავრობის ეს ინიციატივა გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე „მემარჯვენე ოპოზიციის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ტყემალაძემ გააპროტესტა.

მისი თქმით, როდესაც საქართველოში აქტუალურ საკითხად გენდერული ბალანსის დაცვა განიხილება, ქალების საპენსიო ასაკი 60-დან 65 წლამდე არ უნდა იზრდებოდეს.

როგორც კომიტეტის სხდომაზე ჯანდაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა განმარტა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ქალებისა და მამაკაცების საპენსიო ასაკი უკვე გათანაბრებულია, ამიტომ საქართველოშიც ეს ღონისძიება ტარდება.

„ხშირად 60 წელს მიღწეული ქალბატონები სხვადასხვა დაწესებულებებში მუშაობენ და მათ ხელმძღვანელებთან პრობლემები იმიტომ ექმნებათ, რომ უკვე საპენსიო ასაკი დაუდგათ. ეს პრობლემები უკვე აღარ შეაწუხებთ, რადგან სპენსიო ასაკი 65 წლამდე გაიზრდება“, — განაცხადა ჭიპაშვილმა.

ეკონომიკური სკოლა თუ გვიშველის!

2006 წლიდან თბილისში უმაღლესი ეკონომიკური სკოლა დაიწყებს ფუნქციონირებას.

როგორც გუშინ მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, მომავალი წლიდან საქართველოში დაარსდება თანამედროვე სტანდარტების მაგისტრატურა ეკონომიკის სფეროში.

საქართველოს განათლების მინისტრ კახა ლომაიას ინფორმაციით, ინგლისურენოვანი სკოლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნება. სასწავლებლისთვის 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში 4,5 მლნ ლარი არის გათვალისწინებული. ამდენივე თანხა ჩაიდება 2007 წლის ბიუჯეტშიც. მინისტრის თქმით, დონორი ორგანიზაციები სკოლის თავდაპირველი ფუნქციონირებისთვის 5 მლნ. დოლარს გამოყოფენ.

ინტერპრესნიუსი

◎ სახელმწიფო ბიუჯეტი

4. ყნდა ვიცოდეთ, თქვენ რამდენს და რაში ხარჯავთ

უნდა ითქვას, რომ 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი საბიუჯეტო ორგანიზაციების მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მათ თანამშრომელთა შრომის საშუალო წლიურ ანაზღაურებებს შორის საკმაოდ მნიშვნელოვანი განსხვავებებია, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ გაისად სახელმწიფო სექტორში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა შრომის საფასურის მოწესრიგებისთვის გარკვეული ცვლილებებიცაა გათვალისწინებული. აქვე იმასაც დავძენთ, რომ სერიოზული უთანაბრობა შრომის ანაზღაურებაში მაინც მნიშვნელოვანი დარჩება. არადა, უფრო მეტად დასაბუთებული და სწორი სახელფასო პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელება ხელს შეუწყობს მუშა-მოსამსახურეთა შრომის ეფექტიანობის გაზრდას, აგრეთვე შეაჩერებს კვალიფიციური კადრების დენადობას.

ეკონომისტებს მიაჩნიათ, რომ საბიუჯეტო პროცესის სრულყოფის მიზნით ხელისუფლების მიერ შემუშავებული გრძელვადიანი ეკონომიკური სტრატეგიის შესაბამისად, ერთწლიან პროექტთან ერთად სასურველი იქნებოდა განსახილველად წარდგეს ასევე გრძელვადიანი (5-10 წლის ხანგრძლივობის) პროგნოზი, რომელიც მაკროეკონომიკური პარამეტრების მიხედვით დროში იქნება გაწერილი. სპეციალისტების აზრით, ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტები, ფაქტობრივად, არის ერთმანეთისგან იზოლირებული დოკუმენტების (კანონების) ერთობლიობა, ამიტომ **ბიუჯეტი არ წარმოადგენს გრძელვადიანი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების სათანადო ეფექტიან ბერკეტს.** გარდა ამისა, მთავრობამ პარლამენტს ბიუჯეტის შესრულების შესახებ ყოვლისმომცველი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს, რაც ამ უკანასკნელს საბიუჯეტო პროცესის სრულფასოვანი კონტროლის საშუალებას მისცემს. ასევე ბოლო

უნდა მოეღოს ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი ოდენობის გასავლის „პოსტ-ფაქტუმ“ დაკანონების პრაქტიკას, აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ პარლამენტში დამტკიცებული ბიუჯეტის უგულებელყოფას.

ამიტომაც, საბიუჯეტო გასავლის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მხარჯავი ერთეულებისა და ღონისძიებათა დაფინანსების სრულად გაშიფვრა, ხარჯის კოდირება ისე, რომ ბოლომდე ცხადი იყოს, თუ ვინ რამდენი და რა მიზნით დახარჯა. ამიტომ საჭიროა გასავლის პოლიტიკის რეფორმის გაგრძელება შეზღუდული რესურსების ოპტიმალური გადანაწილების, აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გაწეული ხარჯის გამჭვირვალობისა და სრულყოფილი ანგარიშების უზრუნველსაყოფად.

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ № 1 პრიორიტეტი უნდა გახდეს სოციალური დაცვისა და დაზღვევის ახალ სისტემებზე დაჩქარებული გადასვლა, რაც მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს გამოათავისუფლებს სოციალური სფეროს სხვა დარგების საჭიროებებისთვის.

ოთარ ტურაგელიძე

◎ შაბათის სტუმარი

„ვგიჟდები, სანამ ვაშინგტონში ჩავალ და შვილიშვილს „ენკი ბენკი სიკლისას“ ვეთამაშები“

გადამირია **რედაქციაში ხალხი, დაგვხოცა სიცილით — ხმაურობს, ყვება საოცარ რაღაცეებს, ხან იგინება, ხან ილოცება, ხან ვიღაცას ბაძავს... ასეა ყოველდღე, ასეა ყველგან... ეს კახი კავსაძეა — ნიჭიერებით, სიცოცხლით, სიკეთით, უზღვავი ენერგიით სავსე...**

შინაურივითაა ჩვენთან, ახლაც დაგვხედა — თავისი ბავშვობის უბნელი — „ვორონცოველი“ „კოია“ გომართელი მოინახულა, სოლოლაკელი ზაურ გომართელიც აქვე დახვდა, ამირან გაბისონიაც გაიცნო — მისი ნიჭის ერთ-ერთი თაყვანისმცემელი...

— ველარ ვითმენ დეკემბრის ბოლომდე, საახალწლოდ ამერიკაში მივდივარ შვილებთან და შვილიშვილებთან... ვგიჟდები, სანამ ვაშინგტონში ჩავალ და შვილიშვილს „ენკი ბენკი სიკლისას“ ვეთამაშები...

— რამდენი გყავს შვილიშვილი?...

— სამი... უფროსი თბილისშია, იქ ორნი არიან... ერთ-ერთი მეორე კლასში იყო, რომ წაიყვანეს... ახლა კაი ცამეტი წლისაა... ტიროდა, ბღაოდა... რა გატირებს, დედ-მამასთან ერთად მიდიხარ-მეთქი... არა, ბაბუ მინდაო, კლასელები მინდაო... წარმოგიდგენიათ?...

— მარტო შვილიშვილების მონატრებაა ამერიკაში წასვლის მიზები?...

— არა, მარტო ეგ არაა... პაატა ციქურიშვილის თეატრში, სადაც უკვე რამდენიმე წელია ჩემი ირაკლიც მოღვაწეობს, ხოლო მე ამ თეატრის სამხატვრო საბჭოს საპატიო წევრი ვარ, პიესა „დებუკის“ პრემიერაზე დამპატიჟეს. იგი ებრაულ თემაზეა და გურამ ბათიაშვილმა მიაწოდა თეატრს.



— ადრე იქ „სტუმარ-მასპინძელში“ ითამაშე კიდეც... ამჯერადაც ხომ არ...

— არა, არა, როგორც დაპატიჟებული სტუმარი, ისე ჩავდივარ.

— ეტყობა, აქ ცოტა „წუთშესვენება“ გაქვს...

— დავიღალე, ძმაო... აბა, თეატრი, აბა, კინო, აბა, ტელევიზია... აბა, ჩვენი ყოფა... გადარბენაზე ვარ... ჩვენ ცნობილ სახლში — „ვორონცოვზე“ — ხორავაცა და ვასაძეც ცხოვრობდნენ, ერთხელ მხვდება ვასაძე სადარბაზოში, მოვიკითხეთ ერთმანეთი, თეატრში, რა ამბავიაო (მაშინ იგი რუსთავის თეატრში მუშაობდა), შენ, რას აკეთებო... დილით მქონდა რეპეტიცია, მერე კინოგადაღება და ახლა სპექტაკლზე გავრბივარ-მეთქი... ყოჩაღ, ბიჭო, მე ველარ „ვქაჩავ“ მაგდენსო... ჩემი ხნის იქნებოდა მაშინ...

— სიბერე ხომ არ შემოგეპარა?...

— რას იზამ, გინდა არ გინდა, ეგრეა... თუმცა, მე არ მიყვარს, ახალგაზრდულ წლებს რომ მისტირიან... ყველა ასაკი თავისებურად კარგია... ერთი მადარდებს: როგორი იქნება ის დღე... ცხონებულ ეროსის საშინლად ეშინოდა სიკვდილის, მეზობელი რომ მოუკვდა, სადარბაზოში ვერ შედიოდა, სასტუმროში ათევდა ღამეს... ერთ დღესაც უშფოთველად წავიდა...

— კარგი რა, კახი ბატონო... ამდენი ვიცინეთ და, უცებ, სევდიანი კილო... ახალგარემონტებული რუსთაველის თეატრი, ცხადია, ნახე...

— ეს სასწაულია... მეჩვენება, რომ ღმერთმა დაბადა ბატონი ბიძინა ივანიშვილი სიკეთეების საკეთებლად... დილით რომ ვდგები, დამიჯერეთ, მასზე ვლოცულობ, ღმერთო, კარგად გვიმყოფე კაცი, რომელმაც არტისტები ფიზიკურ სიკვდილს გადაარჩინა-მეთქი... ასეთი რამ ლეგენდაშიც არ მომისმენია... თანაც, უბრალო მადლობასაც არ ითხოვს... მამამისის დაკრძალვის დღეს ჭირის სუფრაზეც ვიყავით რამდენიმე კაცი, თამადამ შვილების სადღეგრძელო რომ დალია, ბიძინას გამორჩევას შეეცადა, საშინლად იწყინა, რას აკეთებ კაცოო... რა დამავიწყებს: 92 წლის უბედური ახალი წელი დგება, ბინის კარებზე ვიღაცა აკაკუნებს (სად იყო დენი, ზარი რომ დაერეკათ), გავხედე, კაცი დგას და კონვერტს მაწვდის; ბატონო კახი, ეს ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გამოგიგზავნათო... გავხსენი კონვერტი, 500 დოლარი დევს. ეს, იცი, მაშინ, რა ფული იყო? მთელ წელს გეყოფოდა!... დარწმუნებული ვარ, ბევრ ჩემისთანა გასაცოდავებულ ინტელიგენტს გაუგზავნა ასე, იმ ღამეს, ფული დალოცვილმა ბიძინამ.

— რა თქმა უნდა, ერთ კარგ როლსაც ისურვებდი აღორძინებული თეატრის სცენაზე...

— რატომაც არა...

— მალე გვენახოს!...

— იმედია... ახლა ერთს გთხოვ: იქნებ თქვენი გაზეთის გასული შაბათის ნომერი მიშოვო სადმე... გამომრჩა, ველარ წავიკითხე... შაბათის ნომერს, მართლაც განსაკუთრებულს აკეთებთ... საერთოდ, ამ ბოლო დროს, ძალიან გადასხვაფერდა „საქართველოს რესპუბლიკა“, შედარება არ არის — უკეთესი გახდა... მიდით ასე, მიაწექით!... კარგია!...

... ცხადია გაზეთი ვუშოვე. კმაყოფილი წავიდა და ჩვენც კმაყოფილი დაგვტოვა.

კარგი დღე იყო.

ვილენ მარდალეიშვილი.

◎ სიყვარულო, ძალსა შენსა!

ბელადს დაზრუნავს უშანგი, როგორც რომ შვილი მამასა...

დიდუბეში, ბათუმის ქუჩის № 7 სახლში ცხოვრობს ერთგული სტალინელი, პროფესიით მძღოლი უშანგი დავითაშვილი. მან თავისი ეზო წალკოტად აქცია. იგი ბუნების, ქართველი ერისა და ბელადის სიყვარულმა შეაქმნევინა და სტალინის ბაღ-მუზეუმს უწოდებს.

1956 წლის სისხლიანი 9 მარტის შემდეგ დაიწყო უშანგი დავითაშვილმა აქაურობის ედემად გადაქცევა, დღეს კი უკვე ათასობით დამთვალიერებელი შთაბეჭდილების ოცდაათამდე წიგნში თავისი ჩანაწერით აღფრთოვანებას გამოხატავს ბაღ-მუზეუმის გამო.

ბაღში გამოფენილია სხვადასხვა იშვიათი ექსპონატები, ისტორიული მასალები დიდ სამამულო ომზე, უნიკალური ფოტოები და დოკუმენტები. აქ აღმართულია სტალინის 2 ძეგლი და 4 ბიუსტი. მარადმწვანე ხეებით და მცენარეებით, იშვიათი სილამაზის ყვავილებითაა მოფენილი აქაურობა.

სტალინის ბაღ-მუზეუმში ყოველ წელიწადს 21 დეკემბერს აღინიშნება ბელადის დაბადების დღე. ფართო მასშტაბით უზეიმიათ საიუბილეო მრგვალი თარიღებიც. 1986 წელს, მამის დაბადების 107 წლისთავზე აქ სტუმრობდა სტალინის ქალიშვილი სვეტლანა ალილუევა. ხშირად ყოფილან უშანგი დავითაშვილის სტუმარი სტალინის შვილიშვილი ევგენი ჯუღაშვილი და მისი ოჯახის წევრები.

რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში, ყოფილ საკავშირო პრესაში („იზვესტია“, „პრავდა“, „ოგონიოკი“) ბევრჯერ გამოქვეყნებულა წერილები უშანგი დავითაშვილის სტალინის ბაღ-მუზეუმის შესახებ.

სტალინური კონსტიტუციის დღეს, 5 დეკემბერს უშანგი დავითაშვილს, დიდ ბელადზე უზომოდ შეყვარებულ კაცს, 75 წელი უსრულდება.

ვულოცავთ!

ვაჟა ჭიაურელი.



საკუთარ ბაღში სტალინის ბიუსტთან

ვიაჩესლავ მოლოტოვთან ერთად 1986 წ.

ანდრო კობალაძე, ევგენი ჯუღაშვილი და უშანგი დავითაშვილი

◎ ინფორმაცია

შალვა რამიშვილის საქმე განსახილველად სასამართლოს გადაეცა

ტელეკომპანია „202“-ის ერთ-ერთი დამფუძნებლის შალვა რამიშვილის საქმე განსახილველად სასამართლოს გადაეცა.

როგორც ინტერპრესნიუსს რამიშვილის ადვოკატმა დავით კორკოტაშვილმა განუცხადა, საქმის შეწყვეტის შესახებ დაცვის მხარის შუამდგომლობაზე გამოძიებამ უარი განაცხადა.

მისი თქმით, რამიშვილის ქმედება ბრალდების მხარის მიერ გამოძალვად შეფასდა, თუმცა ვინაიდან კანონით გამოძალვა მუქარის ფაქტსაც მოიცავს, ამ შემთხვევაში არ შეიძლებოდა მომხდარისთვის ამგვარი კვალიფიკაციის მინიჭება.

საქმეზე გამწესრიგებელი სხდომა უახლოეს ხანში დაინიშნება. ამ დროისთვის შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. ისინი თბილისის №1 საპყრობილის სამკურნალო დაწესებულებაში აღარ იმყოფებიან.

რწმუნებული და ჟურნალისტი ზვიბენ...

აკაკი ბობოხიძემ **იმერეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულმა თანამდებობა დატოვა.**

ამის შესახებ მან ოფიციალური განცხადება გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში გააკეთა.

როგორც ბობოხიძე ამბობს, მან უკვე დაწერა პრეზიდენტის სახელზე განცხადება, რომლის მიხედვითაც იგი თანამდებობიდან წასვლას ითხოვს. წასვლის მიზეზად იმერეთის გუბერნატორი გუშინ მასსა და ჟურნალისტ ირაკლი იმნაიშვილს შორის მომხდარ კონფლიქტს ასახელებს.

ტელეკომპანია „რიონის“ ეთერში აკაკი ბობოხიძესა და ჟურნალისტ ირაკლი იმნაიშვილს შორის კონფლიქტი მოხდა, რომელიც ეთერის შემდეგ ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

პენსია მხოლოდ 284 ძალოვანს შეუმცირდება

საქართველოში **პენსია მხოლოდ 284 ძალოვან პენსიონერს შეუმცირდება. დანარჩენი პენსიონერების კუთვნილი პენსიები უცვლელი დარჩება. რაც შეეხებათ ომის ვეტერანებს, მათი პენსიები 2006 წლისთვის გაიზრდება.**

ამის შესახებ გუშინ განცხადება დარგობრივი ეკონომიკისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტების სხდომაზე ჯანდაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა გააკეთა.

როგორც ჭიპაშვილმა განმარტა, მომავალ წელს მინიმალური პენსია საქართველოში 10 ლარით გაიზრდება და 2006 წლის სექტემბრისთვის 38 ლარს შეადგენს. 10-ლარიანი მატება ორ ეტაპად განხორციელდება. პირველად პენსიები 2006 წლის მარტში, მეორედ სექტემბერში - 5-5 ლარით გაიზრდება.

— ძალოვან პენსიონერებს, რომელთა პენსიაც 560 ლარზე დაბალია, პენსია არ შეუმცირდებათ, ხოლო იმ 284 ძალოვანს, რომელთა პენსია 560 ლარს აღემატება, ყოველთვიურად პენსია 560 ლარამდე შეუმცირდებათ, — განაცხადა ჭიპაშვილმა.

მომავალ წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში საპენსიო უზრუნველყოფისთვის 455 მლნ ლარია გათვალისწინებული, 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ეს თანხა 388 მლნ ლარს შეადგენდა.

ინტერპრესნიუსი

◎ მკითხველის თხოვნით

წლეულს დაშვებული შეცდომები გაისად ალარ განმეორდება?..

(მეექვსე გვერდიდან)

შარშან ქართულ ენასა და ლიტერატურაში „ა“ და „ბ“ დონის ტესტები იყო: პირველი იმ აბიტურიენტებს ითვალისწინებდა, რომლებიც ქართულ სექტორზე აბარებდნენ, „ბ“ დონის ტესტები კი — რუსულ სექტორზე ჩაბარების მსურველთათვის იყო განკუთვნილი. ამ ტესტებს შორის დიდი განსხვავება იყო. 2006 წელს კი ქართული და რუსული სექტორებისათვის ერთიანი ტესტი იქნება. ამით უფრო გამარტივდაო ვერ ვიტყვით, მაგრამ ამ ტესტებს სხვა მიზანი აქვს: შევამოწმოთ აბიტურიენტს კარგად ესმის თუ არა

ქართული ენა. ლიტერატურის ტესტები ისე იქნება შედგენილი, რომ პასუხის გასაცემად საგნის კარგად ცოდნა გახდება აუცილებელი. ამ საგანს კი ის ფაკულტეტები აირჩევენ, სადაც ლიტერატურის ცოდნაა აუცილებელი. ლიტერატურა არჩევითი იქნება, მაგრამ ქართულ ენასა და ლიტერატურაში გამოცდის ჩაბარება — ყველასათვის სავალდებულო. მალე გამოვცემთ ბუკლეტებს, რომლებიც სკოლებს მოთხოვნების მიხედვით დაურიგდებათ. ბუკლეტის დახმარებით აბიტურიენტები ტესტებს და სავარჯიშოებს გაეცნობიან.

ლიტერატურის ცალკე და თანაც არჩევით საგნად გადაქცევა სპეციალისტებში დიდ დავას უკვე აღარ იწვევს. აბიტურიენტს შეუძლია ორი არჩევითი საგანი ჩააბაროს, ე. ი. მას 6 გამოცდის ჩაბარების უფლება აქვს, სავალდებულო კი სამია, ასე რომ, აბიტურიენტს მომავალ მისაღებ გამოცდებზე არჩევანის მეტი საშუალება ექნება.

ვინც ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე არ აბარებს, მასაც მეტი ფიქრი სჭირდება, ვისაც ფიზიკოსობა სურს, წერა კარგად უნდა იცოდეს, რომ სამეცნიერო სტატიებზე მუშაობა არ გაუჭირდეს. ქართული ლიტერატურის ცოდნა ქიმიკოსსა და ლიტერატორს ერთნაირად უნდა მოეთხოვოს.

— ზოგმა წელს მიღებული ქულები მომავალი წლისათვის შეინახა. ახლა გამოცხადდა, რომ ქართულ ენასა და ლიტერატურაში შენახული ქულები ბათილდება, ეს როგორ გაიგოს აბიტურიენტმა?

— ქულათა შენახვის პრინციპი იგივე დარჩა, თუმცა ეს ქართულ ენასა და ლიტერატურას აღარ ეხება, რადგან ამ საგნის გამოცდის ფორმატი შეიცვალა. ის, რაც შარშან ბარდებოდა, არაადეკვატურია იმისა, რაც 2006 წელს უნდა ჩაბარდეს. ამიტომ გახდა საჭირო ამ ქულების გაუქმება. მათემატიკის, ზოგადი უნარ-ჩვევებისა და უცხო ენების ქულები ჩვეულებრივად შეენახებათ. ვისაც ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჰქონდათ ქულები შენახული, გამოცდის ჩაბარება თავიდან მოუწევთ.

— რა ცვლილებებია მოსალოდნელი ორგანიზაციულ საკითხებში?

— შეიცვალა რეგისტრაციის პრინციპი, ცენტრებმა სკოლებში გადაინაცვლა. აბიტურიენტი ყველაფერს სკოლაში მოაგვარებს, რაიონულ ცენტრებში ჩასვლა არ დასჭირდება. 2005 წელს დაშვებული შეცდომები გაისად არ განმეორდება, გამსწორებლებს გვარები მაინც არ შეეშლებათ. სკოლებიდან მოწოდებულ ცნობებს ამოვბეჭდავთ და ისევ მათ გავუგზავნით, შეცდომა ადგილზე გამოსწორდება. საგამოცდოებსაც სკოლებში გავაგზავნით.

— რა შეიცვალა გრანტის გაცემის წესში?

— თუ აქამდე 3 საგნის ქულათა ჯამის მიხედვით გაიცემოდა გრანტი, ახლა აბიტურიენტი მას მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტში მიღებული ქულების მიხედვით მოიპოვებს. ვინც ამ ტესტში მაღალ ქულას მიიღებს, სახელმწიფო დაფინანსებაც ექნება. ეს საგანი იმიტომ ავირჩიეთ, რომ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაგვეყენებინა არაქართული მოსახლეობა, ისინი ხომ ქართულ ენასა და ლიტერატურას უფრო მარტივი პროგრამით სწავლობენ.

ასეთ პრობლემებსაც შევხვდებით, თუ უცხო ენებში მიღებულ ქულებს მივაქცევთ ყურადღებას. ზოგს სკოლა საზღვარგარეთ აქვს დამთავრებული და იმ ქვეყნის უცხო ენაში უფრო ძლიერია. მაგალითად, ვინც ინგლისში დაამთავრა, ენაში 100 ქულას უეჭველად მოაგროვებს, ამიტომ ყველა თანაბარ პირობებში იქნება. უცხო ენის არჩევა აბიტურიენტის სურვილზეა დამოკიდებული. ფინანსები ჭირს, ამიტომ ყველა სურვილის გათვალისწინება ვერ მოხერხდება. თითოეული ტესტის მომზადება დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

2005 წლის გამოცდებისათვის სამინისტრომ გრანტებისთვის 6 მილიონი ლარი გამოყო. 2006 წელს სახელმწიფო დაფინანსება მაინც მეტი იქნება. აბიტურიენტთა ნაწილი 2006 წელს 100-პროცენტიან დაფინანსებას მიიღებს, ნაწილი 70-პროცენტიანს, სახელმწიფო ზოგს 50-30 პროცენტით დააფინანსებს.

— როგორი იქნება გასწორების კრიტერიუმი, ხომ არ შეიცვლება ქულათა რაოდენობა?

— თითოეულ საგანში მაქსიმუმი ისევ 100 ქულა იქნება. აბიტურიენტი პასუხებს ტესტების რვეულებში კი აღარ გასცემს, არამედ ცალკე სპეციალურ დიდი ფორმატის ქაღალდზე გადაიტანს. გამსწორებელი მთლიანი ტესტის ნაცვლად მხოლოდ პასუხის ფურცლებს შეასწორებს. აბიტურიენტებს შედეგების გამოცხადების დღესვე თავისი პასუხების ქსეროასლი დაურიგდებათ, ყველას ექნება საშუალება თავისი პასუხი ნახოს, გაარკვიოს სად დაუშვა შეცდომა, ამით აბიტურიენტს საშუალება ეძლევა გამსწორებელს პირდაპირ უთხრას, თუ რომელ საკითხში არ ეთანხმება.

— კიდევ რა სიახლეა მოსალოდნელი?

— უმაღლეს სასწავლებლებში ფაკულტეტების გამსხვილება მიმდინარეობს. ჩარიცხვა სპეციალობების მიხედვით კი არ მოხდება, არამედ ფაკულტეტების მიხედვით. ჯერჯერობით ცნობები ფაკულტეტების შესახებ ყველა სასწავლებელს არ წარმოუდგენია. სავარაუდო კი 8 ფაკულტეტზე მეტი არ იქნება, არც ინერციით მოხდება (როგორც წლეულს მოხდა) უმაღლეს სასწავლებელში აბიტურიენტთა მიღება. თითოეულმა უმაღლესმა სასწავლებელმა თავისთან უნდა გამოაკრას თუ რა სპეციალისტებს ამზადებს. თუ წლეულს 50 პროცენტმა აირჩია ის სპეციალობა, რაც მას სურდა, მომავალ წელს უფრო მეტი რაოდენობით მომზადდება უმაღლეს სასწავლებელში სპეციალისტები. მთავარია აბიტურიენტებმა კარგად იცოდეს საგანი, რომელსაც აბარებს, არ ენდოს მწირ ინფორმაციას, დაეჩვიოს მსჯელობას, თანმიმდევრული მუშაობის არსს, მტკიცების წესსა და რიგს.

ესაუბრა
ნათელა ფაილოძე

◎ ინფორმაცია

გაეროს პოლიცია კონფლიქტის ზონაში

გუშინ საქართველოში გერმანიის ელჩის მოადგილემ მირკო შილბახმა საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენლის ოფისში აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად ზუგდიდის ზონაში მოქმედ გაეროს პოლიციის მთავარ მრჩეველს ჟოზეფ ბოდას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის საჩუქარი — 2 000 ევროს ღირებულების ტექნიკური აღჭურვილობა პირადად გადასცა.

გერმანიის მთავრობამ გაეროს პოლიციის ქვედანაყოფს, რომელიც 13 საერთაშორისო პოლიციელით არის დაკომპლექტებული, დანაშაულის ადგილზე არსებული კვალის ფიქსაციისთვის 5 ყუთი მასალა აჩუქა.

გაეროს პოლიციის ქვედანაყოფი, რომელიც დაკომპლექტებულია პოლიციელებით ინდოეთიდან, რუსეთიდან, პოლონეთიდან, გერმანიიდან, უნგრეთიდან, შვედეთიდან, განადან, ქალაქ ზუგდიდსა და მის შემოგარენში 2 წელია მოქმედებს.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლება მეორე წელია უარს ამბობს გალის რაიონში გაეროს პოლიციის აფხაზური ქვედანაყოფის საქმიანობის დაწყებაზე.

დაპირისპირების ახალი ფაქტი

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, ოსური მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე, ჯერჯერობით დაუდგენელ დაჯგუფებებს შორის საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა შეიარაღებული დაპირისპირება.

სროლა წარმოებდა მსხვილკალიბრიანი ცეცხლსასროლი იარაღიდან, ძირითადად გამოყენებული იყო ყუმბარმტყორცნები და ნაღმმტყორცნები, თუმცა ოსური მხარე შეიარაღებულ დაპირისპირებაში მონაწილეთა ვინაობას ამ დრომდე ასაიდუმლოებს, ასევე ცნობილი არ არის ინფორმაცია დაჭრილებისა და გარდაცვლილების შესახებ.

ხეობის ქართველი მოსახლეობა არ გამორიცხავს, რომ ოსურმა მხარემ ეს შეიარაღებული დაპირისპირება შესაძლოა ქართული მხარის მორიგ პროვოკაციად მონათლოს.

გამოძალველი გაკიჭეს!

სამართალდამცველებმა ადამინისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთასა და თანხის გამოძალვაში ეჭვმიტანილი პირი დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შს სამინისტროში განუცხადეს, პოლიციის თანამშრომლებმა ქურდული ტრადიციების მიმდევარი 28 წლის ნოკოლოზ მაჭარაძე თავდაპირველად ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით დააკავეს. მისი პირადი ჩხრეკისას „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი, მჭიდი და ცხრა ვაზნა ამოიღეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მაჭარაძემ, ამჟამად პატიმრობაში მყოფ გიორგი შათირიშვილთან ერთად, ბათუმში მცხოვრებ შპს „ოკეანეს“ დირექტორ ზურაბ რუსაძეს უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება და მას 15000 აშშ დოლარს სძალავდა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

ინტერპრესნიუსი

◎ უკვდავებასთან წილნაყარნი

„ქართველები და აფხაზები ერთი ფსიქიკის ხალხი ვართ“...

სკოლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დამცველ მამულიშვილებს ვერ ივიწყებს... წიგნში, რომელიც ნარგიზა ლომთაძემ სოხუმში ჟიული შარტავასთან ერთად დაღუპულ ჯუმბერ ბეთაშვილის სახელობის ვაშლიჯვრის № 2 საჯარო სასწავლებელს გადასცა (ამ სკოლაში მხოლოდ აფხაზეთიდან დევნილთა შვილები სწავლობენ, პედაგოგებიც დევნილები არიან), აფხაზეთის ომში დაცემულ ვაჟკაცთა უკვდავებაზეა მოთხრობილი. ღონისძიების თემაც ასეთი გახლდათ: „მათ საკუთარი სიცოცხლე დათმეს, რადგან სამშობლოს სიცოცხლე სურდათ“...

ღონისძიების თაოსანი იყო ამ სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მზია ცაავა-კოლოჩევა. წიგნის შემქმნელ-რედაქტორთან ნარგიზა ლომთაძესთან ერთად მოვიდნენ ომის ვეტერანი ონისე ხუბუტია, ჯუმბერ ბეთაშვილის მეუღლე ნელი ბეთაშვილი, მოძრაობა „დაბრუნების“ მხარდამჭერი გულიკო ურუშაძე, აფხაზეთის ომში დაღუპულების ავთანდილ გუბელაძის, ვლადიმერ ჯანჯღავას, სოსო ჯომიდავას და სხვების ახლობლები. თვით მზია ცაავა-კოლოჩევას მეუღლე, სოხუმის რაიონის მილიციის მაიორი ამირან კოლოჩევი სოხუმში პირველი შემოსევისას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოკლეს (სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით). ომში დაღუპული გმირები მოსწავლეებმა ლიტერატურულ მონტაჟში გააცოცხლეს...

... აფხაზეთიდან დევნილებს, მიუხედავად დიდი სულიერი ჭრილობისა, არ ავიწყდებათ ამ ომში დაღუპული ახალგაზრდები, ღონისძიებაც აფხაზებისა და ქართველების შერიგების სულისკვეთებით წარიმართა... — ჩვენ დავბრუნდებით და ერთად ვიცხოვრებთ — ისმოდა იმედით აღსავსე შეძახილები.

ეს სკოლა ვაშლიჯვრის დასახლებაში, პედაგოგიურ-ინდუსტრიული კოლეჯის შენობის მე-ნ სართულზეა განლაგებული. მის დერეფანში დიდ სტენდზეა გაკრული ჟიული შარტავას, ჯუმბერ ბეთაშვილის და ამ ომში დაღუპული ახალგაზრდების სურათები, რომელთაც ახლავს წარწერა: „ლამაზად შვილის გამზრდელი, დედა მიცვნია ღმერთადა“. შეხვედრაზე გაისმა აფხაზი პოეტის დიმიტრი გულიას გამაფრთხილებელი სიტყვებიც: „ჩვენ ერთი ცის ქვეშ, ერთ მიწაზე გვიშენებია ჩვენი კულტურა, ერთად დაგვიცავს ჩვენი ეროვნული რაობა და ჩვენი მიწა-წყალი, ცოტაა ვთქვათ, რომ მოძმე ერები ვართ. ჩვენ ერთი ფსიქიკის, ერთი ადათის, ერთი წესის, ერთი ფსიქოლოგიის ხალხი ვართ. არა მგონია, ქართველებს ჰყავდეთ უფრო ახლობელი ძმა, ვიდრე აფხაზებია, აფხაზებსაც ასე მიაჩნიათ ქართველები და ჩვენ ამ ძმობამ შეგვინახა. ვინც ამ ძმობას შლის, რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ: „იგი თავისა მტერია“.

უკვდავებასთან წილნაყარი ახალგაზრდა მებრძოლების ხსოვნას ასე ინახავს დევნილთა სკოლა...

ფატი მეგრელიძე

სურათზე: შეხვედრის დროს.

◎ პროვოკაცია?

ბაბუის ფიფქლი

სიმართლე გითხრათ, მეც ძალიან შეწუხებული ვარ იმ ცვლილებებით, რომლებიც მომავალ საპენსიო კანონში შევა. მაგრამ ამჯერად თავს არავის მოვახვევ პირად პრობლემებს. საერთო სატკივარზე ვიტყვი, რომელიც ამ ბოლო ხანს სულსა და გულში უჯდება სწორედ უმწეო ფენებს...

ახლახან სრულიად საქართველოს მოედო ასეთი ინფორმაცია: „ძალოვანი უწყებებისა და სამამულო ომის პენსიონერები სოციალური შეღავათების გაუქმებას პარლამენტის შენობასთან აპროტესტებენ. აქციის მონაწილენი არ გამორიცხავენ, რომ მათი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში რუსეთის საელჩოსთან გადაინაცვლონ და რუსეთის მოქალაქეობა მოითხოვონ, — ისინი სიამოვნებით გადაგვიხდიან პენსიას. ჩვენს წინააღმდეგ რაც ხდება, ყველაფერი საქართველოს პრეზიდენტისგან მოდის. რატომღაც მას არ ვუყვარვართ, — იმუქრებიან ვეტერანები“.

საოცარი ამბავია, ჩვენ ახლა სათითაოდ ვეძებთ უცხოეთში გადახვეწილ ქართველებს (და არა მარტო ქართველებს, თუნდაც ოსებს) და აქაურ მოქალაქეობას ვაძლევთ. პარალელურად კი, აქ ვქმნით ისეთ პირობებს, როდესაც ადგილობრივ მაცხოვრებლებს უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღებისკენ ვუბიძგებთ. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის 85-90 პროცენტი უკვე რუსეთის მოქალაქეებია. თუ ეს ტენდენცია წავა სრულიად საქართველოს მასშტაბით, მაშინ ნახეთ რუსეთის გათამამება და ნაირ-ნაირი პრეტენზიების წამოყენება.

რად ვაგდებთ ხალხს ისეთ მდგომარეობაში, რომ მათ უკიდურესი ნაბიჯი გადადგან? როგორი ამბავია, — სამშობლოს უარყოფა და, არ მომერიდება ამის თქმის, მტრის ბანაკში გადაბარგება? მტერი თუ იზამს იმას, რასაც დღეს რუსეთი საქართველოს უკეთებს. მიუხედავად ამისა, იქით მიიწევს ვეტერანების გული. მაინც რატომ?

დასამალი არაა, რომ დღეს რუსეთში გამორჩეულად აფასებენ სამამულო ომისა და ძალოვანი უწყებების პენსიონერებს. პენსიაც სოლიდურია, დროდადრო მატებაც შეინიშნება. მათ სოციალურ შეღავათებს სისტემატურად თვალყურს არ ვადევნებ, მაგრამ ეს შეღავათებიც კი არ მცირდება, პირიქით, მრავლდება. ნახეთ:

„მოსკოვის ოლქის ბიუჯეტში 2006 წლისათვის უკვე ჩაიდო 20.160.000 რუბლი, რომლითაც მობილურ ტელეფონებს შეუძენენ დიდი სამამულო ომის პენსიონერებს. ამასთან, ყოველთვიურად ვეტერანებს გადაუხდიან 360 რუბლს ამ ტელეფონზე სალაპარაკოდ. 2 წელიწადში ეს პროექტი ყველა პენსიონერს მოიცავს“ („მოსკოვსკი კომსომოლეცი“, 11 ნოემბერი, 2005 წელი);

„ამიერიდან დიდი სამამულო ომის მოსკოველ ვეტერანებს შეუძლიათ ქალაქის ვეტერინარულ პოლიკლინიკებში მიიყვანონ და უფასო დახმარება აღმოუჩინონ თავიანთ ოთხფეხა მეგობრებს — ძაღლებსა და კატებს. ამბულატორიულ მიღებას, კლინიკურ შემოწმებას, კონსულტაციების მიცემას და მკურნალობას გასწევენ არა მარტო სახელმწიფო, არამედ კომერციული ვეტ-საავადმყოფოებიც“ („კომსომოლსკაია პრავდა“, 23 ნოემბერი, 2005 წელი)...

თუ ახალი საპენსიო კანონი საქართველოში დღევანდელი პროვოკაციული ვარიანტით ამოქმედდა, ვეტერანთა მობილურები, ძაღლები და კატები კი არა, აღარავის ეხსომება მათი ოჯახები, შვილები და შვილიშვილები.

განა, რამდენი დარჩა დიდი სამამულო ომის მონაწილე? სულ იმას გაიძახიან, — გვაცალეთ მშვიდი სიკვდილიო. ვერც ამ ნატვრას ვუსრულებთ. წამდაუწუმ ვიგონებთ ისეთ კანონებს, ისეთ ცვლილებებს, რომელთა მეოხებითაც ხალხს სიცოცხლეს ვუმოკლებთ, მამულს კი ვაზიზღებთ.

ავაღებინოთ ხელი იმ სამშობლოზე, რომელიც სისხლით დაიცვეს?

ბონდო გულიაშვილი

◎ ნეტავ...

დამნაშავეებმა აიწყვიტეს?

პოლიციელთა პროფესიონალიზმის წარმოსაჩენად მათს რაოდენობას ხშირად ადარებენ პატიმართა რაოდენობას. ახლახანს რუსეთში პოლიციელთა რაოდენობა 2 მილიონიდან ჩამოიყვანეს 820.000-ზე და გაუთანაბრეს პატიმართა რაოდენობას; ამ კუთხით მსგავსი პარიტეტული მონაცემებია იაპონიაშიც; ამერიკაში უკეთესი ვითარებაა — 1.200.000 პატიმარზე მხოლოდ 500.000 პოლიციელია. ნეტა, რის ბრალია ის, რომ საქართველოში 8.500 პატიმარია, პოლიციელთა რაოდენობა კი ლამის სამჯერ მეტია?

ბანქოდან ქურდები იმგზირებიან

ჩვენში ხშირად საჯაროდ აცხადებენ, — იძებნება ესა და ესო. ჩინელები ამას ჩუმად აკეთებენ. გაქცეულ დამნაშავეთა პორტრეტებს ისინი ათავსებენ ბანქოს ქაღალდებზე — კერძოდ, ტუზებზე, მეფეებზე, ქალებსა და ვაჟებზე. იქვე მითითებულია მათი ასაკი, სიმაღლე, სიგანე, დანაშაულის სახეობაც და მის დაჭერაში გაწეული დახმარებისთვის გამოყოფილი თანხის რაოდენობაც. ჩინეთში კრძალავენ კედლებზე რაიმე ქაღალდის გაკვრას. ამიტომ ბანქოს მეშვეობით ახერხებენ დამნაშავეთა გაცილებით მეტი რაოდენობის დაჭერას.

ჩვენი თინეიჯერები გრიალებენ

კომენდანტის საათი მოზარდთათვის უამრავ ქვეყანაშია. ნიუიორკში, მაგალითად, ღამის 12 საათიდან დილის 6 საათამდე 14 წლამდე ასაკის მოზარდი გარეთ ცხვირს ვერ გამოყოფს. აჯარიმებენ მშობლებსაც და იმ დაწესებულებებსაც, სადაც პატარები იმყოფებიან. მოსკოვში უფრო მკაცრადაა. ღამის 11 საათიდან დილის 6 საათამდე უპატრონოდ გარეთ ვერ გამოვა 16 წლის თინეიჯერი. ჯარიმაა 100.000 რუბლი. ნეტავ, რას ფიქრობენ საქართველოს ხელისუფალნი? არ დადგა ეს დრო ჩვენში?

ძროხას უნდა ბალახი!

აშშ-ში „სრული სვლით“ მუშაობს ცხოველთა დაცვის პოლიცია. ინსპექტორები კარდაკარ დადიან და სასტიკად სჯიან ყველას, ვისაც კი გამხდარი თხა, ცხენი ან ძროხა ჰყავს. თუ რომელიმე ცხოველი უყურადღებობით მოკვდა, პატრონი ჯარიმას კი არ გადაიხდის, საკანში ამოჰყოფს თავს. ნეტავ, როდის მოვა ასეთი პოლიცია ჩვენში? აღარც საძოვარია, აღარც სათიბი. ჩვენი ნახირი ბევრ სოფელში ექსკურსიაზე დადის. რომელი გამგებელი აგებს ამაზე პასუხს? არავინ! საქონელი კი არა, ხალხი იხოცება შიმშილით.

მტრედო, ჩემო, ფარფატა...

მშვიდობის მტრედები სიკვდილის აგენტებად იქცნენ. მათ ქათმის გრიპი გადააქვთ. ვიეტნამში, ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ერთიანად ამოჟუჟავენ მტრედებს. აქ 64 პროვინციიდან 17-ში უკვე მძვინვარებს ქათმის გრიპი. უცნაური ავადმყოფობა შეეყარა მოსკოვის მტრედებსაც. იქ აიკრძალა მტრედების კვება ხელიდან. ნეტავ, რას ფიქრობენ ჩვენი ფრთოსნები? ნუთუ ჩვენც გაგვწირავენ და საკუთარ თავსაც?

◎ კრიმინალი

ყაჩაღები სახეს აღარ ინიღბავენ

ბოლო დროს, როგორც ჩანს, ყაჩაღების „აზარტს და ფანტაზიას“ დიდი გასაქანი მიეცა. მათ ადგილის და დროის შეგრძნება საბოლოოდ დაკარგეს. ძველი გამონათქვამი, „ქურდს რა უნდა — ბნელი ღამეო“, დიდი ხანია მოდიდან გადავიდა. თანამედროვე ქურდებს მიზნის განსაზღვრიელებლად ხელს არც დღე უშლის და არც ხალხმრავლობა.

ახლახან სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსში მომხდარი ყაჩაღობა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა პირად კონტროლზე აიყვანა, თუმცა დანაშაული ჯერჯერობით მაინც გაუხსნელია.

აუდიტორიაში, სადაც სოციოლოგიური ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტებს ლექცია უტარდებოდათ, სამი შეიარაღებული პირი შეიჭრა და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით სტუდენტები გაძარცვა.

როგორც თვითმხილველები ამბობენ, მათ ნიღბები არ ეკეთათ. აუდიტორიაში დასაყაჩაღებლად სამნი შევიდნენ, მეოთხე კი კარებში ელოდებოდათ. შესვლისთანავე ბოროტმოქმედებმა ლექტორს — ნათელა დონაძეს იარაღი დაუმიზნეს და გააფრთხილეს, რომ ყვირილის შემთხვევაში მოკლავდნენ. სტუდენტებს კი მობილური ტელეფონები, სამკაულები და საფულეები მოსთხოვეს. ქურდებმა თანხასთან და ოქროს სამკაულებთან ერთად სტუდენტების პირადობის მოწმობები და ოთხი მობილური ტელეფონიც წაიღეს.

როგორ შეძლეს შეიარაღებულმა პირებმა უნივერსიტეტში შეღწევა? ესაა კითხვა, რომელიც ყველას გაუჩნდა. სწორედ ამიტომ საქმე მაშინვე უნივერსიტეტის დაცვის წევრებზე აღიძრა, რომლებიც კერძო დაცვის თანამშრომლები არიან.

ასევე, ნიღბების გარეშე შეიჭრა წერეთლის გამზირზე საყოფაცხოვრებო ნივთების მაღაზიაში ოთხი შეიარაღებული პირი. თავდამსხმელებმა კერძო დაცვის თანამშრომლები განაიარაღეს, მაღაზიის დირექტორი დაჭრეს, ფული გაიტაცეს და მიიმალნენ.

თავდაპირველად ისინი მაღაზიაში ისე შევიდნენ, როგორც მყიდველები. მოულოდნელად იარაღის მუქარით დაცვის თანამშრომლები განაიარაღეს, მობილური ტელეფონები წაართვეს და ადგილიდან დაძვრა აუკრძალეს. ამას ორნი აკეთებდნენ. ორი თავდამსხმელი კი ერთ-ერთ თანამშრომელ ქალს — ეკა შენგელიას იარაღის მუქარით აიძულებდა



სალაროდან ფულის მიცემას. უარის მიღების შემდეგ შენგელია დირექტორის ოთახში ძალით შეათრიეს და ახლა თანხას მისგან მოითხოვეს.

ამ მომენტში მათ იარაღიდან სამჯერ ისროლეს, და მაღაზიის დირექტორი გულ-მკერდის არეში დაჭრეს. თანამშრომლები იძულებულნი გახდნენ სალაროდან თანხა მიეცათ. ყაჩაღების ვინაობა დღემდე დაუდგენელია...

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციამ გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად ერთ-ერთი დაჯგუფების ლიდერი, მესტიის რაიონის სოფელ კალაში მცხოვრები გურამ მარგველანი დააკავა. მის ჯგუფს ბრალად ედება წერეთლის გამზირზე მდებარე მაღაზიების „ვულე-ვუსა“ და „ლჯ“-ს დაყაჩაღება.

მარგველანის ჯგუფმა იარაღის მუქარით „ვულე-ვუდან“ 656 ლარი და სუნამოები გაიტაცა. სწორედ ეს სუნამოები ამოიღო პოლიციამ დაკავებისას მისი ბინიდან. ახლა მიმდინარეობს ჯგუფის დანარჩენი წევრების ძებნა, რომელთა ვინაობასაც პოლიცია ამ ეტაპზე არ ასახელებს.

საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დუშეთის რაიონის სოფელ მწითურებში მცხოვრები პაატა მწითური დააკავეს, რომელმაც ჯორჯ ბუშის ქუჩაზე სავაჭრო პავილიონის გამყიდველს ნარგიზა შეყილაძეს დანის მუქარით სიგარეტები და 350 ლარის ღირებულების სურსათი გასტაცა. ისიც გაირკვა, რომ მწითური შავი ზღვის ქუჩაზე, ფირმა „ყაზბეგის“ სარეალიზაციო ჯიხურის გამყიდველს მზია სანიკიძესაც დაესხა თავს, რომელსაც ასევე იარაღის მუქარით გასტაცა 60 ლარის ღირებულების სურსათი.

რა ხდება, ხალხო, დღისით — მზისით ყაჩაღობა, ძარცვა-გლეჯა მცირდება თუ მრავლდება?

ლელა მანავლიშვილი

◎ რეგიონებში ფხიზლობენ

სიგარეტი ოჯახურად მოდის

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა არამარკირებული სიგარეტის გადაზიდვის ფაქტზე თემურ ღვინიაშვილი გააბეს; სამეგრელოს სამმართველოს თანამშრომლებმა ლაშა ფოცხვერია 7400 კოლოფი უაქციზო სიგარეტით მაშინ დააკავეს, როცა ტვირთი ზუგდიდიდან ქუთაისის მიმართულებით გადაჰქონდა, ხოლო ზაქარია წურწუმიას 2 ათასი კოლოფი არამარკირებული სიგარეტი აღმოუჩინეს; მცხეთა-მთიანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა 3390 კოლოფი უაქციზო სიგარეტის „მეპატრონე“ ემზარ შიკიკიშვილი დააკავეს, ხოლო იმერეთის სამმართველოს თანამშრომლებმა მამუკა გუმბერიძე და გივი რუსაძე , რომლებსაც, შესაბამისად, 6050 კოლოფი და 4500 კოლოფი უაქციზო სიგარეტი უკანონოდ გადაჰქონდათ.

მაჯახონი ახ კვინდა, კვიქ-თქვა!

წინასწარ მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, მცხეთა-მთიანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, კონტრაბანდის ფაქტზე ჯემალ ნაცვლიშვილი დაიკავეს. მას რუსეთიდან, ყაზბეგის საბაჟო-გამტარი პუნქტის გავლით, „კამაზის“ მარკის ავტომანქანით ტონობით... მაკარონი შემოჰქონდა. საბაჟო-გამტარი პუნქტის გავლისას ნაცვლიშვილმა ტვირთი კონტროლზე კი აიყვანა, მაგრამ ტერმინალში მისვლამდე საბაჟოს ლუქი თვითნებურად დააზიანა და „კამაზიდან“ მაკარონი... მიკროავტობუსში გადატვირთა. ფინანსურმა პოლიციამ ორივე ავტომანქანა დაიკავა, მიმდინარეობს გამოძიება.

„ჯოლოგოჩის“ ოქროს შეჭაპეს

ახალქალაქიდან მოვიდა შეტყობინება, რომლის თანახმად, სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს თანამშრომლებმა გამოძიება დაიწყეს შპს „დიანას“ ხელმძღვანელთა მიმართ. მათ ბრალად ედებათ სახელმწიფოს კუთვნილი თანხების მითვისება. საქმე ის გახლავთ, რომ შპს „დიანამ“ ტენდერში გაიმარჯვა, რომლის პირობების თანახმად მას ნინოწმინდაში კულტურის სახლი უნდა შეეკეთებინა. როგორც ვარაუდობენ, ფირმის ხელმძღვანელობამ თანხა გაფლანგა, სამუშაო კი არ შეუსრულებია. გარდა ამისა, ეჭვობენ, რომ ხშირ შემთხვევაში ეს „შეჭმული“ თანხებიც უსაფუძვლოდაა გაბერილი.

ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

მოკლედ

ვანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ამკაცრებს პოზიციებს თამბაქოს მოწევის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიერიდან ამ ორგანიზაციაში სამუშაოდ არ მიიღებენ თამბაქოს მწეველებს. ეს წესი გავრცელდა მიმდინარე წლის 1 დეკემბრიდან. ხოლო იმ თანამშრომლებს, რომლებსაც წაუსწრებენ თამბაქოს მოწევის დროს, გაუუქმებენ კონტრაქტს.

* * *

41 წლის ბრიტანელმა სარა სმიტმა „სომერფილდის“ სუპერმარკეტების ქსელში იყიდა დაჭრილი პურის ბატონი. იგი აპირებდა თავისი რვა წლის გოგონასთვის, ლუსისთვის, ლორიანი ბუტერბროდის დამზადებას. ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა მოუვიდოდა სარას, როცა პურში ორი წრუწუნა აღმოაჩინა. ფურნე, რომელმაც გამოაცხო პური, სასამართლომ დააჯარიმა.



* * *

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის „ფორტ უორტის“ ბაზაში ამტყდარი სროლის შედეგად დაიჭრა სამი ადამიანი. ორი სამხედრო მოსამსახურე ცდილობდა წაერთმია იარაღი ჯარისკაცისთვის, რომელიც თავის მოკვლას აპირებდა, მაგრამ მან ერთი გასროლით ყველა დაჭრა. ჯარისკაცი, რომელმაც თვითმკვლელობა სცადა, ამჟამად ჰოსპიტალშია მოთავსებული, მას კისრის არეში მძიმე ჭრილობა აქვს მიყენებული. ორი სხვა სამხედრო მოსამსახურე მსუბუქად დაიჭრა.

* * *

სამხრეთ კორეაში ამიერიდან სატელევიზიო პროგრამების ყურება შეიძლება მობილური ტელეფონებითაც. ეს შესაძლებელი გახდა ციფრული ტექნოლოგიების ახალი სისტემის წყალობით. ახლა ტელევიზორის საყურებლად საკმარისია, რომ ხელთ გქონდეთ მობილური ტელეფონი, პორტატული კომპიუტერი ან სხვა გადასატანი ელექტრონული მოწყობილობა.

* * *

ვაშინგტონში სამმა ბულტერიერმა დაგლიჯა 6 წლის ბიჭუნა, თურქი ემიგრანტების შვილი, რომელიც საბავშვო ბაღში მიდიოდა. ბავშვი ადგილზევე გარდაიცვალა. ამ ინციდენტის შემდეგ „ამერიკული ბულტერიერის“ ჯიშის სამივე ძაღლი, მათი პატრონის თანხმობით, ვეტერინარებმა სპეციალური ნემსით მოკლეს.

უკრაინა და საქართველო ქმნიან დსთ-ს ალტერნატივას

უკრაინა სულ უფრო მეტად შორდება რუსეთს და მიიწევს ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ. 1 დეკემბერს კიევში გამართულ უკრაინა-ევროკავშირის სამიტზე ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ განაცხადა, რომ გადაწყვეტილია უკრაინას მიენიჭოს საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნის სტატუსი. ევროკავშირი არაორაზროვნად მიანიშნებს, რომ საქმე ეხება ამ ორგანიზაციაში უკრაინის გაწევრიანების გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯს.

პარალელურად უკრაინა განამტკიცებს რუსეთის კონკურენტი რეგიონული ლიდერის პოზიციებს. 2 დეკემბერს კიევში, ეგრეთ წოდებული უკრაინული სახლის (ყოფილი ლენინის მუზეუმი) საკონფერენციო დარბაზში იხსნება დემოკრატიული არჩევანის თანამეგობრობის ორდღიანი ფორუმი, რომელშიც მონაწილეობენ ათი ქვეყნის — საქართველოს, ესტონეთის, სლოვენიის, მაკედონიის, ლატვიის, მოლდავეთის, ლიტვის, რუმინეთის, პოლონეთის და ბულგარეთის ხელმძღვანელები. ფორუმში მონაწილეობისთვის მიწვეული არიან ასევე როგორც პოსტსაბჭოური ქვეყნების, ისე შეერთებული შტატების სამართალქმაგთა ორგანიზაციების წარმომადგენლები. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მეთაურმა გიორგი არველაძემ მანამდე განაცხადა, რომ ფორუმზე უნდა ჩამოყალიბდეს იმ „სახელმწიფოთა ღერძი“, რომლებსაც არ სურთ იყვნენ რუსეთის სატელიტები.

ეს ფორუმი არის უკრაინის და საქართველოს პრეზიდენტების ვიქტორ იუშჩენკოს და მიხეილ სააკაშვილის ინიციატივის გაგრძელება, რომლებმაც ჯერ კიდევ გასული წლის აგვისტოში ბორჯომში გამართული მოლაპარაკების დროს განაცხადეს, რომ სურთ შექმნან ბალტია-შავი და კასპიის ზღვების რეგიონის დემოკრატიის თანამეგობრობა.

კიევის ფორუმის მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკოსებს და ექსპერტებს, რომლებიც ჩვენთან საუბრის დროს, მართალია, ცდილობდნენ არ გაესვათ ხაზი ამ ფორუმის ანტირუსული მიმართულებისთვის, ამის პარალელურად, არც მოსკოვისთვის პრეტენზიების წაყენების შესაძლებლობა გაუშვიათ ხელიდან. საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ შენიშნა, რომ „პოსტსაბჭოურ სივრცეში არ შეიძლება იყვნენ ქვეყნები, რომლებიც არ იქნებიან დაინტერესებული რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობით“, და ამიტომ „დემოკრატიული არჩევანის თანამეგობრობის შექმნა არ უნდა განიხილოთ მოსკოვთან დაპირისპირების კონტექსტით“. თუმცა, მანვე მოსკოვს ბრალად წაუყენა ის, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალისხმევამ საქართველოში და მოლდავეთში არსებული კონფლიქტების მოგვარების პროცესი „დაამუხრუჭა რამდენიმე წლით“. აქედან გამომდინარე, ბატონმა ხაინდრავამ აღნიშნა, რომ დემოკრატიული არჩევანის თანამეგობრობის ჩამოყალიბება უნდა მივიჩნიოთ თანამეგობრობის სივრცეში არსებული კონფლიქტების მოწესრიგებისადმი „ახლებური მიდგომის ძიებად“. ასე რომ, დემოკრატიული არჩევანის თანამეგობრობა სავსებით შეიძლება განვიხილოთ, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თამანეგობრობის რაღაც ალტერნატივა.

„ვრემია ნოვოსტეის“ კორესპონდენტებთან საუბრისას, მსგავსი შეფასებები გამოთქვა ქართველმა პოლიტოლოგმა პაატა ზაქარეიშვილმაც. როგორც მან აღნიშნა, „ახალი ორგანიზაცია არ იქმნება ვინმეს წინააღმდეგ; იგულისხმება სახელმწიფოთა დარაზმვა დემოკრატიულ ღირებულებათა ირგვლივ“. თუმცა, მანვე აღიარა, რომ „დემოკრატიული არჩევანის თანამეგობრობის დაფუძნებისას არსებობს რუსეთის ფაქტორის ნეიტრალიზაციის საკითხი“, და ეს ახსნა იმით, თითქოს რუსეთს არ მოაქვს „დემოკრატიული იდეალები“ ყოფილი სსრ კავშირის სივრცეში წარმოქმნილი ახალგაზრდა სახელმწიფოებისთვის.

„ვრემია ნოვოსტეი“, 2 დეკემბერი.

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

ამიტომაც, არ არის გასაკვირი, რომ მოსკოვში ეს ფორუმი შეაფასეს, როგორც არამეგობრული ნაბიჯი. მის მონაწილეებს „აერთიანებთ მხოლოდ ანტირუსული პოზიცია და არა კონსტრუქტიული პროგრამა“, მიაჩნია რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო კომიტეტის მეთაურს დიმიტრი კოსაჩოვს. მისი აზრით, ეს „ისეთივე მკვდრადშობილი ბავშვია, როგორც წინათ შექმნილი სუუამი ან ნებისმიერი სხვა პროექტი, რომელიც ჩაფიქრებულია რომელიღაც ქვეყნის წინააღმდეგ“. კოსაჩოვის აზრით, უპერსპექტივოა ასევე ფორუმის ლოზუნგიც: ასწავლონ დემოკრატია რუსეთს, ფორუმის მრავალი სხვა მონაწილესთან შედარებით აპრიორი უფრო დემოკრატიულ ქვეყანას.

ლიტვის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ იუსტინას კაროსასმა, რომელიც ამავე დროს არის პარლამენტის ევროპის საქმეთა კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარეც, ჩვენთან საუბრისას ერთი სიტყვაც კი არ თქვა რუსეთზე. ამ შეხვედრის გამართვის მთავარ აზრად მას მიაჩნია ის, რომ მონაწილე-ქვეყნები ეს წრაფვიან „ეზიარონ ევროპული დემოკრატიის ღირებულებებს“. მაისში ვილნიუსში გაიმართება ახალი ორგანიზაციის მეორე ფორუმი, თქვა შემდეგ მან. უფრო მეტიც, „დაგეგმილია ასევე გაიმართოს ლიტვა-პოლონეთ-უკრაინის საპარლამენტთაშორისო ასამბლეა, რომელმაც ამ ქვეყნების ურთიერთობას, სამმხრივ თანამშრომლობას უნდა მისცეს ახალი ფორმა“.

უკრაინელ პოლიტოლოგს ანდრეი ერმოლაევს მიაჩნია, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების განვითარებას აქვს საერთო დამახასიათებელი ნიშან-თვისებები — ანტინომენკლატურული რევოლუციები, ლიბერალური რეფორმები, ღია ეკონომიკის შექმნის სურვილი. ეს ქმნის პირობებს დიალოგისთვის, მიაჩნია ექსპერტს. მაგრამ, მისი აზრით, ასევე საშიშია, თუ ამ დიალოგს მიეცემა ორგანიზაციული ფორმები, რადგან, ეს ნიშნავს დემოკრატიული არჩევანის თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების ჩათრევას გეოპოლიტიკურ თამაშებში. მსხვილი გეოპოლიტიკური მოთამაშეები შეერთებული შტატების და ევროკავშირის სახით, უთუოდ ეცდებიან, რომ ამ გაერთიანებას მიანიჭონ რუსეთის საზღვრებთან თავისებური სანიტარიული კორდონის ფორმა, აღნიშნა ერმოლაევმა. „დემოკრატიული არჩევანის თანამეგობრობა უნდა შევინარჩუნოთ, როგორც ექსპერტებისა და პოლიტიკოსების მონაწილეობით რეგულარული შეხვედრების გამართვის ასპარეზი და არ არის საჭირო მისი მუდმივმოქმედ ორგანიზაციად გადაქცევა“.

„სჯობს არ ეხვეჯა ოჯილფვის ჯგალვეჯას“

საქართველოს პარლამენტში იწყება მოსმენა იმის თაობაზე, მზად არის თუ არა მთავრობა 2006 წლისთვის აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გამოყვანისთვის. რუსების გასვლის წინააღმდეგ ილაშქრებენ როგორც აფხაზები, ისე ოსები. მაგრამ ამის შესაძლებლობას სახავს ქართველი კანონმდებლების მიერ ოქტომბერში მიღებული დადგენილება. ამის შესახებ „ვრემია ნოვოსტეის“ კორესპონდენტთან მიხეილ ვიგნანსკისთან საუბრისას ილაპარაკა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ.

— რაზეა დამოკიდებული რუსი სამშვიდობოების წასვლა საქართველოდან?

— მრავალ გარემოებაზე, მათ შორის, იმაზეც, თუ როგორ მოიქცევა რუსეთი. იმ დროის განმავლობაში, რომელიც გავიდა დადგენილების მიღების შემდეგ, მოსკოვიდან ერთი პოზიტიური სიგნალიც კი არ მოსულა. ამ დადგენილებაში მკაფიოდაა ხაზგასმული: ჩვენ ველით, რომ რუსი სამშვიდობოების საქმიანობაში მიღწეული იქნება რეალური პროგრესი მომავალი წლის თებერვლამდე სამხრეთ ოსეთში და მომავალი წლის ივნისამდე — აფხაზეთში. მაგრამ, ვფიქრობ, რომ რუსეთი შეგნებულად არაფერს არ აკეთებს. ალბათ, იმიტომ, რომ არ არის მზად კონფლიქტების ზონაში სიტუაციის გაუმჯობესებისთვის. ამიტომაც, ჩვენ ვიწყებთ მოსმენას, რათა ვიყოთ მზად მოვლენების ნებისმიერი განვითარებისთვის.

— და როგორ განვითარდება მოვლენები?

— თუ თებერვლამდე პროგრესი არ იქნება მიღწეული, გარწმუნებთ, საქართველოს პარლამენტი უკან არ წაიღებს თავის სიტყვას. ჩვენ მივმართავთ წინადადებით მთავრობას დაიწყოს საქართველოს ტერიტორიიდან მშვიდობისმყოფელთა გაყვანის პროცესი. კარგად გვაქვს შეგნებული, რომ ამან შეიძლება გამოიწვიოს პროვოკაციები როგორც რუსეთის გარკვეული ძალების, ისე სოხუმის და ცხინვალის დე-ფაქტო ხელმძღვანელობათა მხრიდან, მაგრამ ამისთვისაც მზად უნდა ვიყოთ.

— მომავალი წლისთვის საქართველომ დაგეგმა არნახული სამხედრო ხარჯები — 218 მილიონი დოლარი.

— რამდენად რეალურია შეიარაღებული კონფლიქტის განახლების საშიშროება იმ შემთხვევაში, თუ რუსი მშვიდობისმყოფლები გავლენ?

— ჩვენ ნორმალური ბიუჯეტი გვაქვს, სხვებთან შედარებით, ნაკლებიც კი. ჩვენ ვცდილობთ ამ საკითხში მივუახლოვდეთ ნატოს წევრ ქვეყნებს, ან ამ ბლოკში შესვლის მსურველებს. ეს კი ნიშნავს, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის ორი-სამი პროცენტი უნდა მოხმარდეს სამხედრო ხარჯებს. სამწუხაროდ, საქართველოში ეს მაჩვენებელი ჯერჯერობით 2-3 პროცენტზე ნაკლებიც კი არის. არმიას უნდა შეეძლოს იმ ამოცანების გადაწყვეტა, რომელსაც მას კონსტიტუცია უსახავს. საქმე არ ეხება ომისთვის მზადებას. მეორე მხრივ, საყოველთაოდ ცნობილია: თუ გსურს მშვიდობა, ემზადე ომისთვის. ჩვენ არ ვაპირებთ, ვინმეს ვკითხოთ, თუ რამდენი უნდა დავხარჯოთ სამხედრო თუ რაიმე სხვა საჭიროებისთვის. ჩვენ ამას გავაკეთებთ მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად.

— თუ შეიძლება, რომ საქართველო გამოვიდეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან?

— ჩვენ შევისწავლით ამ საკითხს. იცით, თანამეგობრობიდან გამოსვლა ჩვენი თვითმიზანი არ არის. თუ საქართველო გადაწყვეტს გამოსვლას, ეს მოხდება მაშინ, როცა მივიჩნევთ, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმა ჩვენთვის უფრო მომგებიანი იქნება, ვიდრე წამგებიანი. ასეთი გადაწყვეტილება ჯერჯერობით არ მიგვიღია. მაგრამ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა რეგულარულად ახდენს თავისივე თავის დისკრედიტაციას. ოქტომბრის შუა რიცხვებში სანკტ-პეტერბურგში გამართულ დსთ-ს საპარლამენტო ასამბლეაზე არც კი განუხილავთ საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ არ მონაწილეობდა საქართველოს დელეგაცია. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ დსთ კარგავს თავის სახეს. რაღაც ხომ მოხდა, თუ რომელიღაც მონაწილე ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარე და მთელი დელეგაცია უარს ამბობს ჩამოსვლაზე! ყველამ ჩინებულად იცოდა, თუ რამ გამოიწვია ეს (საქართველომ მიმართა დემარშს იმის გამო, რომ რუსეთის ვიზა დროულად არ მისცეს ქვეყნის პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს გიორგი თარგამაძეს. — რედ.). მე შემიძლია წარმოგიდგინოთ დელეგაციის ყველა წევრის პასპორტები, ყველგან არის ვიზა ბატონ თარგამაძის პასპორტის გარდა. და ჩვენ არ ვაპირებთ ვინმეს დავუწყოთ ხვეწნა-მუდარა იმისთვის, რომ ვიზა მოგვცენ აეროპორტში.

„ვრემია ნოვოსტეი“, 2 დეკემბერი.

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

— რუსეთს გააქვს თავისი ბაზები საქართველოდან. მოსკოვი მოითხოვს, რომ თბილისმა საკანონმდებლო წესით განამტკიცოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ თავის ტერიტორიაზე არ განალაგებს მესამე ქვეყნის სამხედრო ბაზებს. ეს შესაძლებელია?

— რაც შეეხება ბაზების გატანას, რა თქმა უნდა, ეს პოზიტივია. ჩვენ მხოლოდ ცუდზე არ ვლაპარაკობთ, ადეკვატურად ვაფასებთ ნებისმიერ პოზიტივს რუსეთის მხრიდან. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის საკითხებში მოსკოვის მიერ გადადგმულ ყოველ სამართლიან ნაბიჯს საქართველოში ძალზე დადებითად აღიქვამენ. რაც შეეხება მესამე ქვეყნის ბაზებს, გიპასუხებთ, რომ ამ მომენტის დამტკიცება კანონში დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ წარიმართება ჩვენი შემდგომი ურთიერთობა რუსეთთან. იგი გვთხოვს ამას და ჩვენც არ ვაცხადებთ უარს მის განხილვაზე. და საერთოდ, მე მხარს ვუჭერ იმას, რომ საქართველოში არ იყოს რომელიმე უცხო სახელმწიფოს სამხედრო ბაზები.

— მოსკოვი ამტკიცებს, რომ თბილისის მიერ გაკეთებული ყველა განცხადება „რუსეთის მხრიდან საფრთხის შესახებ“ გამონაგონია.

— გააჩნია, რაზე ვილაპარაკებთ. რა თქმა უნდა, ატომური საფრთხე არ არსებობს. მაგრამ ის, რომ რუსეთი, ზოგჯერ სერიოზულ პრობლემებს გვიქმნის, ეს ფაქტია. 2004 წელს აჭარაში დისლოცირებული რუსეთის ბაზა მართლაც არ ჩარეულა საქართველოს საშინაო საქმეებში, და ჩვენ ამისთვის რუსეთს ვემადლიერებით. მაგრამ მოიტევეთ, გუდაუთაში არსებული რუსეთის სამხედრო ბაზა ხომ ერეოდა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში, აშკარად ეხმარებოდა სეპარატისტებს შეიარაღებით და ცოცხალი ძალით. ეს თვით პრეზიდენტმა ელცინმაც კი აღიარა. სანამ რუსეთი განუჭვრეტელ სახელმწიფოდ დარჩება, მუდამ იქნება საფრთხე. ყოველივე ეს ემუქრება არა მარტო საქართველოს, არამედ თვით რუსეთსაც. რადგან, სტაბილურობა საქართველოში პოზიტიურ გავლენას მოახდენს მთელს ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ სიტუაციაზე. ნუ იფიქრებთ, თითქოს მე ანტირუსულად ვიყო განწყობილი, მაგრამ შემიძლია ძალზე უარყოფითი შეფასებები მივცე იმ პოლიტიკას, რომელსაც რუსეთი ახორციელებს საქართველოში და მთლიანად კავკასიაში. ამ რეგიონში მოსკოვმა უამრავი შეცდომა დაუშვა.

— თქვენი აზრით, კიევში, დემოკრატიული არჩევანის თანამეგობრობის პირველ ფორუმზე შეიკრიბნენ ის ქვეყნები, რომლებიც გრძნობენ ასეთ საშიშროებას?

— არ მესმის, თუ რატომ ლაპარაკობენ კიევის შეხვედრაზე, როგორც რაღაც ანტირუსული კოალიციის ჩამოყალიბებაზე...

— ეს ხომ თბილისში ითქვა, რომ იქმნებოდა ანტირუსული ღერძი...

— ეს იმ ქვეყნების ღერძია, რომლებიც ეცდებიან, რომ მათზე არ გავრცელდეს რუსეთის, ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს გავლენა. ეს დემოკრატიული ფორუმია და ამიტომ ვერ იქნება მიმართული ვისიმე ინტერესების წინააღმდეგ.



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №35

„დონკიხოტიზმის“ მნიშვნელობა საქართველოში

„კურთხეულ იყოს ის დრო, როცა უმამაცესმა რაინდმა დონ კიხოტ ლამანჩელმა ქვეყანაზე მოგზაურობა დაიწყო“...
მიგელ დე სერვანტეს საავედრა

მაშინ, როდესაც დედამიწას კატაკლიზმები და სტიქიური უბედურებები აზანზარებდა, როცა ინგრეოდა ტახტები და ერთმანეთს ცვლიდნენ იმპერატორთა მრუმე სახელები, სისხლიან ომებში კვდებოდნენ ბავშვები და მოხუცები, მოულოდნელად ერთმა რაინდმა ლამანჩიდან ქარის წისქვილებთან ბრძოლა დაიწყო.

რატომ შეიყვარა კაცობრიობამ ამ სრულიად ამაო საქმიანობით დაკავებული ლამანჩელი იდალგო, რომელიც არაერთხელ ჩამოვარდნილა... თავისივე როსინანტიდან, მაგრამ ისევ აბობღებულა და შუბი მოუმარჯვებია უხილავი მტრის დასამარცხებლად... დაცინვა, მარცხი, უარყოფა მისი მოგზაურობის მუდმივი თანამდევი იყო, მაგრამ არასდროს კარგავდა ენთუზიაზმს ახალი საგმირო საქმეების საძებნელად.

დონ კიხოტის მოგზაურობა შეიძლება სიზიფეს მთაზე ასვლის რიტუალს შევადაროთ, დაუსრულებლად ხელიდან რომ უსხლტება მწვერვალზე ატანილი ტვირთი, მაგრამ მშვიდად ჩამოდის და ყოველივეს თავიდან იწყებს, თავიდან ეჭიდება და ისევ მთაზე ააქვს ის სიმძიმე... სიზიფესთვის მთავარი არის ის, რომ გაცნობიერებული აქვს ნამდვილი ტვირთის რაობა და მნიშვნელობა. სხვა ყველაფერი პირობითია, რადგან მხოლოდ მწვერვალებისკენ, სიმაღლისკენ მიმართული მზერა ანიჭებს აზრს ადამიანურ ყოფიერებას.

ჩვენი დროება, თავისი „ჯეობარების“ იდეოლოგიით, ჩაშვების, დაბეზღების და გაწირვის პოლიტიკით, თითქოსდა, რომანტიკული განწყობილებების საბაბს აღარ იძლევა, მაგრამ... წარმოიდგინეთ, აგრესიული და გამმეტებელი მხოლოდ რაღაც კონკრეტული სოციუმია და არა შერისხული მთელი ახალგაზრდობა, რომელსაც თურმე არ დაუკარგავს იდეალები.

იმედისმომცემად გამოიყურებოდა ახმეტელის სახელობის თეატრში, „ლამანჩელის“ უკვე მეექვსე ჩვენებაზე, ახალგაზრდების განუწყვეტელი ტაში და ხმამაღალი ემოციები... ისინი გულწრფელად თანაუგრძნობდნენ მრავალ ხიფათში ჩავარდნილ, კეთილშობილ, საბრალო რაინდს... **დარბაზი ეს თითქოს ცალკე სანახაობა იყო — რომანტიზმის არსებობის დასტური XXI საუკუნის საქართველოში...**

* * *

...მაგრამ მიუხედავად ასეთი განწყობილებისა, სპექტაკლის რეჟისორი, ბატონი **გიგა ლორთქიფანიძე** დასასრულს, მოწყენით იდგა თეატრის ფოიეში.

მოგვიანებით ჩვენი საუბარიც შესდგა. **გვაინტერესებდა, რატომ მიმართა კიდევ ერთხელ დონ კიხოტის თემას.**



— დონ კიხოტი იწყება ლიტერატურაში ამგვარად გაცხადებული ჰუმანიზმი, სიკეთე, თავგანწირვა, ერთგულება. „დონკიხოტიზმის “ მთავარი თემა განისაზღვრება იმით, რომ საზოგადოება გიჟად თვლის იმ კაცს, რომელმაც მას გაუსწრო და მაღალ ეტაპზე ავიდა... მისმა გარემომ ხომ ჰამლეტიც გიჟად მიიღო. ერთ დროს ჩაცკიც კი გიჟად მონათლეს, რომელიც თავგანწირულად ყვიროდა: „ Карету, мне, карету“... დონ კიხოტები არიან დეკაბრისტებიც... ნუთუ დონ კიხოტი არ არის დათა თუთაშხია?

ვინ იყვნენ 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი? ასევე დონ კიხოტები. მათ შესანიშნავად იცოდნენ, რომ დამარცხდებოდნენ, მაგრამ ბრძოლა სურდათ, აუცილებლობად მიაჩნდათ დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

— ბატონო გიგა, რას ნიშნავს თავგანწირული ბრძოლა იქ, სადაც იცი, რომ გამარჯვება შეუძლებელია?

— დონკიხოტური იდეოლოგიით, არა აქვს მნიშვნელობა, გაიმარჯვებ თუ დამარცხდები. მთავარია, მტერს შეებრძოლო და შენი სიმართლე დაამტკიცო.

მე ყოველთვის მაინტერესებდა საზოგადოების და პიროვნების ურთიერთმიმართება. ერთი სპექტაკლი, რომელიც ცოტათი უიღბლო გამოდგა, ჯორდანო ბრუნოზე დავდგი... სახელმწიფო და პიროვნება ჩემთვის ამაღელვებელი თემაა.

— ისევე როგორც მასა და პიროვნება...

— დიახ, როცა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში გავრცელებული, უსაზღვრო პრაქტიციზმი, დონ კიხოტის — ასეთი სულიერი პიროვნების არსებობის შესახებ შეხსენება მნიშვნელოვანი უნდა იყოს. თუ ახალგაზრდობა მიხვდება, რომ ქარის წისქვილებთან მებრძოლები არანორმალურები კი არა, თავგანწირული ადამიანები ყოფილან, რომლებიც მზად არიან ყოველგვარ ბოროტებას წინ აღუდგნენ, მიზანი გარკვეულად მიღწეული იქნება.

იხ. გე-12 გვ.

„სადილი - ყველას!“...

***ჩვენში** ესოდენ ხშირ სანახაობათა შორის ამ ბოლო ხანებში მომრავლდა ქუჩის მთელ სიგრძეზე გადაჭიმული წარწერა-ლოზუნგები: „სადილი — ყველას“.*

ტელეარხებზეც გამოჩნდნენ ხანდაზმული ადამიანები, ამ ე. წ. აქციის — „სადილი ყველას“ მონაწილენი, ანუ უბრალოდ რომ ვთქვათ, ისინი, რომლებიც მწირ, საქველმოქმედო სადილს მორიდებით, მაგრამ ამავე დროს ტელეკამერების თანდასწრებით მიირთმევდნენ.

ჟურნალისტი გოგონა დაჰქროდა მაგიდიდან მაგიდასთან და ამ ისედაც დათრგუნულ ადამიანებს შეკითხვებს აყრიდა: „კმაყოფილი ხართ? რა პროფესიის ხართ? რაიმე არ გაგონდებათ თქვენი წარსულიდან?“

საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ უფასო სასადილოებს ბევრს გახსნის, ანუ სამოწყალო „სადილი — ყველას“ მომრავლდება.

საქართველოს პრეზიდენტმა არ განაცხადა, რომ პენსიებს და სოციალურ დაზღვევებს გაზრდის და შეამცირებს უმუშევართა არმიას. იქნებ, უსახსრო, დამშეული ხალხი უფრო მორჩილია და უპრეტენზიოა, მით უმეტეს, თუ სამოწყალო პურსაც გაიღებ...

სოციალურმა კრიზისმა ადამიანთა ფსიქიკაც გამოცვალა. საქართველოში სანაქებო და ტრადიციული დედაშვილობის ინსტიტუტიც თითქოს უფასურდება კიდეც... ისე, როგორც ხალხურ პოეზიაში დამარხული სიბრძნე:

„აღზევანს წავალ მარილზე,
მარილს მოვიტან ბროლსაო,
ჯერ დედას გადავეხვევი,
მერე ცოლსა და შვილსაო“...

ამას წინათ ტელეარხმა „იმედი“ თავის საკვირაო გადაცემაში წარმოგვიჩინა თბილისში არსებული მოხუცთა თავშესაფარი, რამაც დარწმუნებული ვარ, ტრადიციულ ქართულ ოჯახებში სინანული, შეიძლება ითქვას, აღშფოთებაც გამოიწვია...

სხვისი ხელის შემყურე მოხუცის ნახვა სამწუხაროა, მაგრამ ძალიან დამაფიქრებელია „შვილების“ ქცევა, რომელთაც თავიანთი დაუძლურებული მშობლები თავშესაფრისთვის გაუმეტებიათ და თავად უგულო გზას დასდგომიან...

მოხუცი ამბობდა, „შვილი უკვე რამდენიმე თვეა არ მოსულა, არ მინახავსო“.

ფაქტია, რომ ასეთები ერთეულები არ არიან.

ხომ არ იკარგება ქართული ეროვნული, ტრადიციული დედაშვილობის ადათი, რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და ყოფაში მტკიცედ და შეურყევლად არსებობდა.

სწორედ მოხუცებისადმი პატივისცემა და მოკრძალება გამოიკვეთა ქართულ ზრდილობასა და მორალის ტრადიციაში.

სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო, რადგანაც პატრიარქატის ცოცხალ მემკვიდრეობას მხოლოდ ქართულ ლექსიკასა და ტრადიციებში შეხვდებით.

ყველაზე ძვირფასი, ყველაზე მნიშვნელოვანი და სათაყვანებელი ქართული გონისთვის ხომ ოდესღაც დედა იყო...

სხვანაირად ქართველი სამშობლოს, მიწას, ქალაქს, გუთანს, საყრდენ ბოძსა და სხვა სიტყვებს დედას არ წაუმძღვარებდა!

ვაჟა ხომ ქართული ბუნების, გონის დიდი მცოდნე და მესაიდუმლეა, რომელმაც ერთი სტრიქონით გამოხატა ის რაღაც საოცარი კავშირ-დამოკიდებულება სამშობლოსა და დედის კულტს შორის — „სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა“!

ქართველი წლებით დამძიმებულ ასაკოვანისადმი პატივისცემას მიმართვის ფორმითაც გამოხატავდა. ქართველი მოხუცს არასოდეს „ბებეროს“ არ უწოდებდა. ასე იტყოდა: მოხუცებული, ხანდაზმული, ჭარმაგი, ხანში შესული, შესწრებული, მცხოვანი, ძველიკაცი და სხვ.

ქართულ ოჯახებში ყოველთვის იყო უფროს-უმცროსის თავისებური დაუწერელი ზნეობრივი ურთიერთობა, კერძოდ, უფროსის კულტი გავიხსენოთ სვანეთში, მახვში, მთაში ხევის ბერი, მამასახლისი (ოჯახის), მაგალითად, სუფრასთან პირველი ხანდაზმული ჯდებოდა, პურიც მას პირველს უნდა გაეტეხა და ღვინოც პირველი მას უნდა შეესვა...

დღეს — ტელეეკრანზე ასეთი კადრების ნახვამ არ შეიძლება გულისწყრომა არ გამოიწვიოს. რატომ, რისთვის, რა მიზეზია, რომ დღეს შვილი მშობელ დედას თუ მამას უპოვართა სახლში აბარებს? თუ მატერიალურად არ ძალუძს შენახვა, ნახვა ხომ შეუძლია კვირაში ერთხელ მაინც, რომ მოხუც მშობელს, სხვისი ხელის შემყურეს, დარდი გაუნელოს?!

უნებლიეთ ჩნდება კითხვა — რისი ღირსია ისეთი შვილი, რომელიც მშობელს „მიაგდებს?“ დედა, რომელიც თავის შვილს მიაგდებს, კანონით ხომ ისჯება?

დიახ, დედის ძუძუს გამცვლელი, ქართული ტრადიციული დედაშვილობის მოღალატეა!

ქართული კანონმდებლობით, რამდენადაც ვიცი, ასეთი მოღალატესთვის კანონი არ არსებობს. ბუნებრივია, ადრე ეს არ ხდებოდა და ამიტომაც არც დაწერილი, არც დაუწერელი კანონი საქართველოში არ შექმნილა.

ახლა კი ვფიქრობ, ასეთ „შვილთათვის“ კანონი უნდა იქნეს მიღებული. მსგავსი ე. წ. ალიმენტისა.

სხვათა შორის, ასეთი კანონები სხვა ქვეყნებში, კერძოდ, რუსეთშიც მოქმედებს. თუმცა, ისიც საეჭვოა, როგორ შეიძლება ამოქმედდეს ის საქართველოში, სადაც კანონმდებლობისადმი უპატივცემულობაა.... დრო კი გადის... ულუკმაპუროდ დარჩენილი ადამიანები სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე დგანან და ქუჩებში ეძებენ წარწერებს **„სადილი ყველას!“...**

ხელისუფლება არიგებს მცირე „პურს“ და უამრავ სანახაობას.

„პურით და სანახაობით“ ხალხის შეჩერება შეიძლება, მაგრამ როგორც ისტორია გვიჩვენებს, მხოლოდ დროებით...

ჩვენმა ხელისუფალმა ამას წინათ განაცხადა, რომ სოციალური თანასწორობა მიღწეულია.

ალბათ გარკვეულად ასეცაა: თითოეულ გაჭირვებულს და არასმქონეს შეუძლია მივიდეს „კათარზისში“ და შიმშილი მოიკლას, ანუ **„სადილი ყველას!“**

ჩვენს საყოველთაო ბედნიერებას ისიც აგვირგვინებს, რომ შვილები მოხუც მშობლებს იქ აგზავნიან, სადაც ტარდება ღონისძიება **„სადილი ყველას...“**

იქნებ ახალგაზრდა ჩინოვნიკებიც შეუერთდნენ ამ სუფრა-აქციას, სადაც ძველ და ახალ თაობას აზრები თუ არა სადილი მაინც ექნება საერთო და საყოველთაო.

ნოდარ კოჭლაშვილი

„დონკიხოტიზმის“ მნიშვნელობა საქართველოში

(მეთერთმეტე გვერდიდან)

ვფიქრობ, რომ პრაგმატიზმმა მოიტანა უბედურებები არა მარტო პოლიტიკაში, არამედ დღევანდელ მეცნიერებაშიც... ისეთი ხალხი, როგორებიც იყვნენ აინშტაინი, თუნდაც ლანდაუ, კაპიცა, იდეალისტები იყვნენ. წარმოუდგენელი შეძლეს, ანუ ქარის წისქვილებთან იბრძოდნენ. ისინი ზოგჯერ შეშლილებადაც გამოიყურებოდნენ... კაცს, რომელიც X საუკუნეში იტყვის, დედამიწა მრგვალიაო, რა თქმა უნდა, შეშლილად მონათლავენ... არადა, სწორედ ასეთ ადამიანებს მიჰყავთ ქვეყანა წინ...

აი, ვაჟა-ფშაველაც აბსოლუტური დონ კიხოტი იყო, რომელიც თავის ნიჭიერებას იყო შეწირული.

პრაგმატისტები, გამომშრალი პრაგმატისტები კი ამუხრუჭებენ ადამიანთა ისტორიის განვითარებას.

როდის უნდა გამოჩნდეს დონ კიხოტი?

— **ძარის** წისქვილი ხომ ყველაფერს ფქვავს და რაც არ იჭმევა და ისმევა, ის ღირებულებად არ მიაჩნია... მათ, პრაგმატისტებს, უნდათ, რომ მოგვისპონ ბულბულის სტვენა, ვარდის სურნელი, შეყვარებულის კვნესა და ყველაფერი პრაქტიკულ, პრაგმატულ პოზიციაზე გადაიყვანონ. დონ კიხოტი სწორედ ამ წისქვილებს ებრძვის.

თეატრიც ხომ იმისთვის არსებობს, რომ იდეალებისკენ მიისწრაფვოდეს. რა ხდება ჩვენს სინამდვილეში? „ამტანი“, „ჯეობარი“... დასმენის, დაბეზღების, გაუტანლობის პროპაგანდა... ირგვლივ საშინელი უზნეობაა...

როცა ყოველგვარი სისუფთავე და სიწმინდე გამოშიგნულია, სწორედ მაშინ უნდა გამოჩნდეს დონ კიხოტი.

დღეს თუ კაცი ვინმეს არ აბეზღებს და არ ასმენს, ამას ქურდულ მენტალიტეტს ეძახიან.

თუკი ქურდული მენტალიტეტი თავისი ზნეობით უფრო მაღლა დგას სახელმწიფოებრივ მენტალიტეტზე, დავღუპულვართ!

დანიის პრინცს — ჰამლეტს სურს გაიგოს რას განიცდის ადამიანი, რომელსაც სინდისი შებღალული აქვს...

მაღალი იდეების მატარებელი ადამიანები ბრძოლაში ყოველთვის დონ კიხოტებად გამოიყურებიან...

თუ მე რომელიმე სტუდენტი მეტყვის: დონ კიხოტი გიჟიაო, მასთან ურთიერთობას შევწყვეტ...

ნაწარმოების მიხედვით, ზოგჯერ ისეთ რამეს ლაპარაკობს დონ კიხოტი, რომ შეიძლება ითქვას, გენიალური აზრებია, მაგრამ ჰერცოგის გარემო სიცილით კვდება, რადგან თვლიან: ასეთი რამ მხოლოდ გიჟმა შეიძლება წამოროშოს.

მათთვის გასაგები მხოლოდ ის არის, რომ ადამიანმა ადამიანი უნდა დაჩაგროს, ადამიანი ადამიანს უნდა მოერიოს. გამარჯვებული კი ის არის, ვინც ამ თვალსაზრისით ძლიერია.

* * *

.—იყო თუ არა, ჩემო სანჩო, რომ თავისუფლება ყველაზე უძვირფასესი სიკეთეა, რაც ზენამ მომადლა ადამიანს?...

— მართალს ბრძანებთ, ბატონო ჩემო, მაგრამ გეფიცებით ღარიბი ადამიანის პატიოსნებას, თბილთბილი მალამოები უფრო მჭირია ახლა მე, ვიდრე ასეთი საუბარი.

— ნუ გეშინიან, სანჩო, გული გაიმაგრე. უკან მომყე ფეხდაფეხ, ნყდფიადფის შემდეგ იმედი მაქვს განთიადისა... იცოდე, არ არსებობს ისეთი ტკივილი, რომელიც არ გააქარვოს დრომ“..

* * *

— **ჩვენი** თაობა, რომელმაც საკუთარ თავზე უამრავი ტკივილი გამოსცადა — 37 წელი, ომი თუ სხვა კატაკლიზმები, მაინც ზნეობრივ მაგალითებზე იზრდებოდა. გვიყვარდა სპარტაკი, გვიყვარდა არსენა. ხუთი წლისამ ვრცელი ლექსი არსენაზე ზეპირად ვიცოდი. დღემდე ვთვლი, რომ გენიალური ლექსია. ხმამაღლა ვკითხულობდი, მაგრამ ვინაიდან ვიცოდი, რომ არსენა ბოლოში უნდა მომკვდარიყო, თავიდანვე ტირილს ვიწყებდი... „შაირსიტყვითა მესტვირემ ღმერთი მაღალი ახსენა, ღმერთმა მოგცეს გამარჯვება, ოძელაშვილო არსენა!..“ მაინც ბოლომდე ვკითხულობდი. იმ პროცესის აღწერა მიხაროდა, რომ ამისთანა კაცი დადიოდა, სიმართლის მაძიებელი...

ეს ხომ აღზრდაც იყო ჩვენი...

სწორედ ეს არის ხელოვნების დანიშნულება.

ცხოვრება და რომანტიზმი

ერთხელ ერთმა ცნობილმა რუსმა თეატრალურმა მოღვაწემ თქვა ჩემს ნამუშევარზე: „ვნახე, რომ აქ რომანტიზმი ჰაერში კი არ არის გამოკიდებული, არამედ ცხოვრებაზეაო დაყრდნობილი...“ ეს დიდი კომპლიმენტი იყო ჩემთვის.

ამას ვცდილობდი ყოველთვის, რომ ხელოვნება ყოფილიყო მაღალი, მაგრამ არა ტყუილებზე აგებული, არა სიყალბე...

ჩემს ბოლო სპექტაკლსაც, მიუზიკლს **„ლამანჩელი“** ამ განწყობილებით ვქმნიდი...

რაც შეეხება ახმეტელის თეატრს, აქ მუშაობს ნამდვილი, ენთუზიასტი ხალხი. ჯამაგირი გზის ფულადაც არ ყოფნით, მაგრამ თეატრის ფანატიკური სიყვარული აქვთ. დიდი სიამოვნებით ვიმუშავე მათთან. თეატრის მთავარმა რეჟისორმა, ჩემმა ყოფილმა მოწაფემ **დათო ანდღულაძემ** მიმიწვია. შეიძლება ითქვას, ჩამაცივდა: სპექტაკლი აუცილებლად უნდა დადგათო. არ მომეშვა და კარგიც გაიკეთა... მთელი კოლექტივი უდიდესი პასუხისმგებლობით მუშაობდა... დონ კიხოტის როლის შემსრულებლის **ნუგზარ ყურაშვილის** ნიჭიერება და ვოკალური მონაცემები ხომ მართლაც ჩინებულია... **კახა გოგიძე** — სანჩოს მშვენიერი შემსრულებელი, მე ახალციხიდან ჩამოვიყვანე.

პირადად ჩემთვის და საზოგადოებისთვისაც აღმოჩენა იყო ძალიან პლასტიკური და სახასიათო დულსინეა — **მზია ზედგენიძე.**

ჩემი შინაგანი მოთხოვნილებაა ალბათ, რომ ყოველთვის ასეთი ტიპის ნაწარმოებებს მივმართავ... ასეთი პათოსი მიყვარს. ისიც ცხადია, რომ მხოლოდ შუბით ბრძოლა არ არის ერთადერთი გზა. თავგანწირვის სხვა ფორმებიც არსებობს...

აი, ოდესღაც ერისთავმა გადმოაქართულა და დადგეს „სამშობლო“... დაირეკა ზარი! გამოიტანეს დროშა! შეიძლება ვიღაცას მიაჩნდეს, რომ ეს პათეტიკაა, მაგრამ ხელოვნება აბა, რა არის? თუ არა მაღალი, ნამდვილი პათეტიკა! თუ არა რომანტიკა!

* * *

— **რა** უნდა იყოს იმაზე დიდი ბედნიერება მსახიობისთვის, რომ ასეთი როლი ითამაშოს! — ამბობს დონ კიხოტის განმასახიერებელი **ნუგზარ ყურაშვილი** — ლამანჩელელ რაინდზე, მის ცხოვრებაზე მუშაობა ეს მთელი სკოლაა, არა მხოლოდ სამსახიობო, არამედ ცხოვრებისეული, სულიერი გაკვეთილები...

უდიდესი მადლობელი ვარ ბატონ **გიგა ლორთქიფანიძისა,** რომელმაც, დამდო პატივი და იმ კორიფეების გვერდზე დამაყენა, ვისთანაც მას უმუშავია და მეც გამაკეთებინა ასეთი საინტერესო და მშვენიერი როლი...

* * *

სპექტაკლში ეპიზოდური როლები თითქმის არც იყო. მთელი ანსამბლი სათქმელის წინა პლანზე წამოწევას ემსახურებოდა და უაღრესად შთამბეჭდავ სცენურ ნახაზს ქმნიდა... პარალელური ქმედებები და **ნინო მახათელის** დადგმული სასცენო მოძრაობები განსაკუთრებულ რიტმს და დინამიურობას აძლევდა სპექტაკლს. საკუთარ ინდივიდუალურ სახეს გვიჩვენებდნენ მსახიობები: **ალეკო ალავიძე, გია ჯაფარიძე, მარინა ხარჩილავა, ლია ქუთათელაძე, ვაჟა ციცილოშვილი, მამუკა მაზავრიშვილი, ნელი ბადალაშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, ვალერი ტორონჯაძე, დათო ჩიქოვანი, გია ჭელიშვილი, ლევან ჯოჯუა და შალვა ბახტაძე.**

აქვე არ შეიძლება არ აღნიშნოს კოსტიუმების მხატვრის ეკა მაღალაშვილის დახვეწილი გემოვნება.

...და მაინც, სპექტაკლის დასასრულს, თეატრის ფოიეში ესოდენ მოწყენილად რატომ გამოიყურებოდა ბატონი გიგა ლორთქიფანიძე? საერთოდ გულგატეხილია თუ რაიმე დონკიხოტური ბრძოლისთვის ემზადება, რაც წინასწარ იცის, რომ გამარჯვებით ვერ დამთავრდება?

„გამარჯვება... დამარცხება... ამ მაღალ სიტყვებს ყოველგვარი აზრი დაკარგული აქვთ“... — ამბობდა ფრანგი მწერალი და ჯარისკაცი სენტ-ეკზიუპერი...

* * *

გიგა ლორთქიფანიძე: მხოლოდ შუბით ბრძოლა არ არის აუცილებელი. თავდადებისთვის სხვადასხვა ფორმები არსებობს.

აი, მაგალითად, ჩემმა დამ, მარიკა ლორთქიფანიძემ იცის, რომ ჩვენი განათლების სისტემას არაფერი ეშველება, მაგრამ მაინც იბრძვის, თავის პრინციპებს და პოზიციებს გამოხატავს.

ჩემი დაც დონ კიხოტია. აბა, რა არის?..

ადამიანის ღირსებად ითვლება არა მარტო გამარჯვება, არამედ გამარჯვებისთვის მცდელობაც...

* * *

დონ კიხოტი, ყველა დროში თანამედროვე ლამანჩელი რაინდი, ასეთი სიტყვებით მიმართავდა თავის ერთგულ მსახურს:

- — უკეთესი მომავლის იმედი ვიქონიოთ, ჩემო კეთილო სანჩო“...

ნინო ხოფერია.

ძველი ტექსტები ახალი ილუსტრაციებით

„Круг чиновников не выгоден для образования нравственности“.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

(ეს ფრაზა პოეტს რუსულ ენაზე აქვს დაწერილი).

„მას არ შეუძლია რაიმე წესიერება დაამყაროს. ისევ ჩვენი მეცადინეობით უნდა ვუშველოთ თავს... რუსეთო, მშვიდობით!“..

დავით კლდიაშვილი

„თუ ვინიცობაა, რუსეთის ტყვეობაში გარდავიცვალე...“

ანდერძი, რომელსაც „კვირაძალის“ მკითხველს ვთავაზობთ, 1925 წლითაა დათარიღებული და დაწერილია რუსეთის ვლადიმირის გუბერნიაში, სუზდალის საპყრობილის №32 საკანში.

ქართველი პატრიოტი, პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ლორთქიფანიძე, როგორც ჩანს, სრულიად შეგუებულია თავისი არსებობის ტრაგიზმს და თუ რა უნდა გააკეთონ მისი აღსასრულის შემდგომ, უახლოეს ადამიანებს უბარებს...

„ძვირფასო ჩემო მეუღლე-მეგობარო ლიუბა, ჩემო სანუკვარო შვილებო დარეჯან და თეიმურაზ და ჩემო უმცროსი ძმისა და უფროსი შვილის მაგიერო ნიკო, მოგეხვევით და მხურვალეთ ჩაგკოცნით ყველას. ამ საერთო წერილს აი რატომ გწერთ. სრული იმედი მაქვს, რომ მომეცემა საშუალება თქვენთან თავისუფლათ ცხოვრებისა, მე ჯანზედ ჩვეულებრივად კარგად ვარ. თავსაც სრულიათ მხნეთა ვგრძნობ, მაგრამ ჩვენ ძლიერ რთულ პირობებსა და დროში ვცხოვრობთ, მე ხომ სრულიად განსაკუთრებულ მდგომარეობაში ვარ — ტყვეობასა და მძევლობაში და ამიტომ ყველაფერი მოსალოდნელია. ამასთანავე ქართული ანდაზაა, რომ ანდერძს კაცი არ მოუკლავსო, და აი მეც მინდა ამ ბარათით გაცნობოთ თქვენ ჩემი ნებისყოფა, სურვილი და ზოგიც უბრალო რჩევა, იმ შემთხვევისთვის, თუ ვინიცობა ვეღარ განახოთ.

მე არ ვიცი მაქვს თუ არა რაიმე ქონება და საერთოთ ნივთიერი უფლებანი, მაგრამ თუ ეხლანდელი, ან მერმინდელი კანონით რაიმე ამგვარი უფლება მაქვს, ან მექნება მამაჩემის ქონებაზე და სხვა ჩემი სურვილია, რომ ეს უფლება ჩემი მშობლებისა და ჩემს შემდეგ გადავიდეს თანაბრათ ჩემს შვილებზე დარეჯანზე და თეიმურაზზე, ჩემს მეუღლეზე ლიუბაზე და ჩემს დისშვილზედ ნიკო სურგულაძეზე. თუ რაიმე ლიტერატურული მემკვიდრეობა დამრჩა მისი განკარგულება ეკუთვნის ჩემი ნების ამსრულებელ მეგობრებს. ჩემი მეუღლის მხრით ჩემი ხსოვნისადმი უაღრესი პატივისცემა იქნება, თუ კი ის არ დასტოვებს საქართველოს და არ გათხოვდება არაქართველზე (ჩემს ასეთ სურვილსა და განცდას, ვფიქრობ, ყველა მიხვდება საერთოთ დღევანდელ ჩვენს პირობებში და განსაკუთრებით კი ჩემს მდგომარეობაში). მე დარწმუნებული ვარ, რომ ის სხვაფერ არ მოიქცევა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას აღარ ექნებოდა ჩემ ხსოვნისადმი მეგობრობის გრძნობა და თვითონ უნდა ამოიშალოს ჩემ მემკვიდრეთა რიცხვიდან. მე არ ვიცი, ექნებათ თუ არა ჩემს შვილებს შეძლება მიიღონ განათლება, მაგრამ თუ კი ასეთი საშუალება ექნებათ, მაშინ ჩემი კატეგორიული ნებაა, რომ იმათ საქართველოში დაასრულონ ქართული განათლება და თუ ისეთი შემთხვევაც ექნებათ, რომ საქართველოში მიღებულ სწავლის გაფართოება საქართველოს გარეშე მოუხდეთ, ეს უნდა იქნეს დასავლეთ ევროპის რომელიმე სახელმწიფოში.

ჩემი მტკიცე სურვილია, თუ ვინიცობაა რუსეთის ტყვეობაში გარდავიცვალე, ნურავითარ შემთხვევაში ნუ ჩამოვა ამჟამათ ჩემი მეუღლე და ან სხვა ჭირისუფალი. რა თქმა უნდა ჩემი სურვილია სამშობლოს მიწის გულში ჩახუტება, მაგრამ ეს მეტათ ძნელი იქნება და თანაც სანამ თვით საქართველო ამგვარ ტყვეობაშია, მე მირჩევნია ვიქნე ამ ორმაგ ტყვეობაში და როდესაც საქართველო შესძლებს თავის შვილების დატყვევებულ ნეშტების თავის მოყრას, როდესაც ის თავის გულში მიისვენებს უცხოეთში სპარსეთ-ოსმალეთ-რუსეთში ობლათ მიტოვებულ ისეთ ჩვენ დიდ ეროვნულ საფლავებს როგორიცაა მაგალითათ სოლომონ მეფის, ალექსანდრე ბატონიშვილის, ვახტანგ, ვახუშტი და გენათელი მიტროპოლიტი ეფთიმესი და სხვათა, მხოლოდ მერმეთაა დასაშვები ზრუნვა ჩვენი თაობის ასეთ საფლავთა შესახებ, როგორიცა ჩემი ძვირფასი მეგობრის ალექსანდრე ლომთათიძის, სტეფანე ახმეტელაშვილის და სხვათა ტყვე საფლავების.

და თუ ვინიცობაა ვეღირსო სამშობლო მიწის გულში ჩასვენებას, მე ავირჩევდი დავფლილიყავი არა იქ, სადაც მე დავიბადე, არცა საქართველოს დედა ქალაქში ჩვენს ძვირფასსა და სანუკვარ ტფილისში, არამედ იმ მხარეში, სადაც დაიბადა და დაირწა ქართველი ხალხის კულტურის აკვანი და რომლის ნახვა მე ვერ მოვასწარ, სახელდობ დიდ ისტორიულ მესხეთის რომელიმე ნაწილში, სადაც მე გადავსახლდებოდი, რომ საერთოთ ამის შესაძლებლობა მქონოდა. ჩვენი გვარეულობა, ჩემო ძვირფასო შვილებო, იქედანაა, იქ დღესაც სცხოვრობენ ჩვენი გვარისკაცები, ისინი ისლამის რჯულზე არიან ძველ დროს იძულებით გადანათლული, მაგრამ მაინც ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლი და ხორცნი არიან. თუ საშუალება მოგეცათ, ეცადეთ დაუბრუნდეთ ამ ჩვენს ძველ კერას, ჩვენ აკვანსა და ქართველი ხალხის წარსულ და მომავალ საერო სანატორიუმს და დასახლდით, მაგალითათ ახალციხეს, ანდა დაახლოებით ბენარას მიდამოებში, სადაც მომავალში იქნება, უნდა იქნეს, დიდი გზაჯვარედინი, როდესაც თავისუფალი, აღორძინებული და ფრთა გაშლილი ჩვენი სამშობლო გაიყვანს დიდ რკინის გზებს (ქუთაისიდან ზეკარ ქვეშ არტაან-ერუშეთზე და იქეთ და მეორეს ბათუმიდან ქედა-ხულო-ბენარა-ახალციხე და შემდეგ ბორჯომ-ჯავახეთისკენ) და ეცადეთ რაც შეიძლება მეტი თანამგრძნობი და თანამგზავრი იშოვოთ ამ გადასახლების საქმეში. მე კი, ჩემო ძვირფასებო, თუ საერთოდ შესაძლებელი იქნება ჩემი წასვენება სამშობლოში დამფალით დაახლოებით სადმე იმავე მხარეში, ახალციხეს ან მის რაიონში, იმავე ბენარაში.

ჩემო ძვირფასებო, თქვენ რომ გაიზრდებით, გაიგებთ, რომ მე სოციალისტი და ინტერნაციონალისტი ვიყავი, გაიგებთ თუ რას ნიშნავს ეს სიტყვები, გაიგებთ იმასაც, რომ რუსეთმა სოციალიზმის საბაბით დაიპყრა საქართველო და მე სხვა მრავალ მოქალაქეებთან ერთად ტყვეთ წამიყვანა თავის ქვეყანაში. მე დღესაც სავსებით ჩემს ძველ რწმენაზე ვარ. საზოგადოების სოციალისტური წყობილება ყველაზედ უფრო სამართლიანი და სასარგებლოა ხალხისთვის, ის ამყარებს ნამდვილ თავისუფლებას, ის შექმნის ერთა შორის თანასწორობასა და ძმობას, ეს წყობილება თანაც აუცილებელია, ჭეშმარიტი, სოციალიზმი და ინტერნაციონალიზმი კი არ ეწინააღმდეგება ეროვნებასა და სამშობლოს სიყვარულს, არამედ მას ანთავისუფლებს და ანვითარებს. სოციალიზმი სარწმუნოება კი არ არის, ამიტომ ის წარსულის შეხედულებას და მოღვაწეთ როდი ქოლავს, ვინაიდგან წარსული აწმყოს მშობელია და აწმყო კი მომავლის, ამიტომ თქვენ არ უნდა გაგიკვირდეთ, რომ თუმცა მე ამჟამათ და არც მომავლისათვის არა ვარ მომხრე მეფური წყობილებისა და კათალიკოზებისა და მიტროპოლიტების მიერ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ საქმის ხელმძღვანელობისა, მაგრამ ამ ბარათის თავში მე მათ ვიხსენიებ დიდის პატივისცემით და ასევე უნდა მოექცეს მთელი ხალხი, ვინაიდან ისინი უნდა განსჯილი იქნან არა ეხლანდელი საზომით, არამედ იმ დროინდელით, ხოლო ისინი ჩვენი წარსულის ღირსეული გამომხატველნი არიან. განა იმიტომ, რომ მე ჩემს ძვირფას მშობლებზე უფრო გვიან დავიბადე და ამის გამო და მათივე შრომით მეტი ვისწავლე და გავიგე ვიდრე იმათ, განა ამიტომ მათდამი მე სიძულვილსა და უპატიობას უნდა ვგრძნობდე?! ანდა თქვენმა თაობამ ჩვენ უნდა იმიტომ შემოგვწყრეს, რომ თქვენ ჩვენზედ უფრო წინ იქნებით წასული?!

ყველა თქვენგანის მხრით, ჩემო ძვირფასებო, ჩემდამი უძლიერესი სიყვარულისა და პატივის გრძნობას მით გამოამჟღავნებთ, თუ ყოველ ღონეს იხმართ, რომ ჩემ ძვირფას მშობლებს და ჩემს დას ასინეთს, თუ ისინი მე გადამრჩენ გაუადვილებთ და დაუტკბობთ მათ სიბერეს.

არ ვიცი ამ ქართველი ხალხისთვის საშინელ დროს ვინ და როგორ გადარჩება და დარჩება ჩემი მეგობრებიდან, ამიტომ ვასახელებ ნების ამსრულებელთა მოზრდილ სიას, რომლისგან მსურველნი და თანამგრძნობნი ამ წერილის აზრისა იზრუნებენ ჩემი ნების განსახორციელებლათ. ვთხოვ აკაკი ჩხენკელს, ჩიტო შარაშიძეს, გიორგი კონიაშვილს, ვანო ჯაფარიძეს, ნიკო ჯანელიძეს (კოლია), შალვა ხუროშვილს, გაგი ძიძავას (ეს სამი ტყვეობაში არიან ამჟამად) და ლეო რუხაძეს (რომელიც ამჟამად ჩემთან ცხოვრობს სუზდალის საპყრობილეში და ამ ბარათის სინამდვილეს ამოწმებს) თანახმათ თავიანთი ნებაყოფლობითი სურვილისა მიიღონ თავის თავზე ზრუნვა ჩემი ნების ასრულებისა.

გრიგოლ სპირიდონის ძე ლორთქიფანიძე.

რუსეთი. ვლადიმერის გუბ. ქ. სუზდალი, სამონასტრო საპყრობილე, საკანი №32.

9 იანვარი 1925 წელი.

გრიგოლ სპირიდონის ძე ლორთქიფანიძის სრულ ჯანმრთელობასა და ამ ბარათის სინამდვილეს ვამოწმებ ლეო რუხაძე, ქ. სუზდალი, ვლად. გუბა, სამონასტრო საპყრობილე, საკანი №32. იანვრის 9-სა დღესა 1925 წელსა“.

სურათებზე: გრიგოლ ლორთქიფანიძე, გ. ლორთქიფანიძის მეუღლე ლიუბა ავრამენკო.

ლეო რუხაძე, რომელმაც ციხის საკანში დაამოწმა ანდერძის სინამდვილე, ფოტოს უკანა მხარეს აწერია: „ძვირფას მასწავლებელსა და მეგობარს — გრ. ლორთქიფანიძეს, სახსოვრად — ლ. რუხაძე.

რუსეთი ქ. არიოლი
9. VI. 27 წ“.

obyfgfhsf cofdkt,fyb

მაგრძელებთ ვახტანგ VI-ის აფორიზმებისა და გამოთქმების ბეჭდვას, რომელიც შეადგინა და ანბანის მიხედვით დაალაგა მკვლევარმა ბორის დარჩიამ.

ბედი სწავლა გამოდგების დააშვენებს უბედობას.
ბოროტის ბუნებისაგან წარხდეს კეთილის ბოლონი.
ბრძენი როგორცა თავისას, სხვათ აგრე ცდილობს სწავლასა.
ბულბულთ ჭიკჭიკს ეურს არ უგდებ, ევავთ ძახილსა ზედა ხარობ.

გამოსწმედს ბრძმედი ოქროსა და კაცსა — გამოცდილება.
გამოუცდელად მაალი თავს მტერსა დაამონებსა.
განგებით ქმნილსა რისხვასა კაცი ვერ დაერიდება.
გაუსინჯავად საქმის ქმნა ცრუს და უგვაროს წესია.

სიტყვა წაახდენს და სიტყვით გახდება მზე უმზესითა.
გასინჯვა და გულმაგრობა ჭირისაა დიდი მარგი.
გაურჯელად არ იქნების არას კარგის მოსწავლობა.
გემო არა აქვს, თუ ცოდნას კაცი ვერ მოიხმარებსა.
გიეკარდეს სანდო მოეკასი, დაუჯერებდე რჩევასა.

დაეხსენ ცუდსა ამბავსა, ენასა მიე მცველები.
დათმობა ის არს, შეგეძლოს, მტერსა არ უეო მტრობანი.
დაცემულს კაცსა უსმინე, ნუ ჰევედრი, ნუდასცინია.
დია სჯობს, ქვასა ნუ ისვრის სიძვითა დანაბადია.
დიდს ქალაქსა შობილობა რას ქებასა გაამრავლებს?
დრო, კაცისათვის ნახმარი, კარგი რამ საქონელია.

(გაგრძელება იქნება)

ნიშნავს თუ არა თაობათა ჩანაცვლება ტრადიციების უარყოფას? შეიცვლებიან თუ არა ხელოვნების მეფეები?..

ცეკვა „ქართული“ მწვერვალია ჩვენი ხალხური შემოქმედებისა, რომელიც პლასტიკის ენით მოგვითხრობს ქალ-ვაჟის ურთიერთსიყვარულზე, შინაგან განცდებზე, სათუთ გრძნობებსა და რაინდულ სულზე. ხომ არ დაიკარგება ეს ფასეულობაც?..

საქართველოს სახელმწიფო ანსამბლ „რუსთაველის“ ხელმძღვანელის ბატონ ფრიდონ სულაბერიძის და იამზე დოლაბერიძის შესრულებული ცეკვა „ქართული“ დღემდე უბადლოა ეროვნულ ქორეოგრაფიაში.

ეყოლება თუ არა გამგრძელებელი ამ დიდებულ სანახაობას, ანუ გადარჩება თუ არა ფრიდონ სულაბერიძის სკოლა... მისი უშუალო მოწაფე გიორგი დაუშვილი მეხუთე თაობაა და ისიც თავისი მაესტროსავით ცდილობს სამშობლოს სიყვარული გამოხატოს ქართულ ცეკვაში.

„ქართულის“ მოცეკვავე ყოველთვის გამოირჩეოდა აღნაგობით, ქართული სახით და ტრადიციული, გადამდები სულისკვეთებით... გიორგი ამბობს:

ცეკვა „ქართული“ და „ბოდიალ“ სოლისტის ინტერვიუები

ფრიდონ სულაბერიძე და იამზე დოლაბერიძე

— სადაც მიცეკვია, ყოველვის „ქართულის“ სოლისტი ვიყავი და დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდებოდი ამ საქმეს.

— როგორ დაახასიათებდი ბატონ ფრიდონს, როგორც „ქართულის“ შემსრულებელს?

— ის ქართული ცეკვის მეფეა!

— რა შეფასებს მისცემდი მისი და იამზე დოლაბერიძის დუეტს?

— იმ ხასიათს, იმ დამოკიდებულებას, რაც „ქართულში“ შედის ბოლომდე ამბობენ თავიანთი ცეკვით.

— როგორი თანწყობა გაქვს შენს პარტნიორ ეთერ პაიჭაძესთან?

— თანწყობა რომ არ იყოს, ვერ ვიცეკვებდით, რადგან ვერ გამოვხატავდით ცეკვის შონაარსს.

— რა დატვირთვა აქვს ცეკვა „ქართულს“ შინაარსობრივად?

— ამ ცეკვაში გამოიხატება გოგოსა და ბიჭის ურთიერთსიყვარული, რასაც მოცეკვავე გადმოსცემს პლასტიკით.

პირველად რკინიგზელთა სახლში გამართულ კონცერტზე ვიცეკვე „ქართული“, დიდი სცენებიდან კი ბლში, რომელსაც ფრიდონ სულაბერიძე ხელმძღვანელობდა.

ეთერ პაიჭაძე და გიორგი დაუშვილი

— შენი გრძნობა და ემოცია აღწევს მაყურებლამდე?

— ემოციას ძირითადად მაყურებლისგან იღებ, მაგრამ იმ გრძნობას, რაც მოცეკვავეს გააჩნია, სიტყვით ვერ გამოვხატავ.

— არ გეშინოდა, ქართველი მაყურებელი როგორ მიგიღებდა? ის ხომ ყველაზე პრეტენზიულია?

— ცოტა მეშინოდა, მაგრამ ჩემი შესაძლებლობები კარგად ვიცოდი.

— შენი იმპროვიზაცია თუ გაქვს შეტანილი ამ ნახაზში?

— არა, იგივე ნახაზს ვცეკვავ, რაც ადრე იყო დადგმული და რასაც წინა თაობა ასრულებდა.

— გაქვს იმის ამბიცია, რომ ბატონი ფრიდონივით ბუმბერაზი შემსრულებელი გახდები?

— ყველა მოცეკვავეს აქვს იმის ამბიცია, რომ მაყურებლისთვის დასამახსოვრებელი იყოს. ბატონ ფრიდონს არ შევედრები, რადგან იქამდე მრავალი საფეხური მაქვს გასავლელი, მაგრამ თაობები იცვლება და შეიძლება „ქართული ცეკვის“ ახალი შემსრულებლებიც გამოჩნდნენ. მაგრამ ფრიდონ სულაბერიძის სტილი განუმეორებელია ისე, როგორც მისი ცეკვის ნახაზი...

— როგორ ფიქრობ, შენც გახდები „ქართულის“ შემდგომი მეფე?

— ეს ხმამაღალი განცხადებაა, მაგრამ დიდი სურვილი მაქვს...

მე ჯერ კიდევ დასახვეწი ვარ და ვფიქრობ, რომ ჩემი შესაძლებლობიდან გამომდინარე, ამას მივაღწევ!

ჩვენ სრულიად კენთილგანწყობით ვიღებთ გიორგი დაუშვილის ამბიციას, სინამდვილეში კი მომავალი გვიჩვენებს, ვინ გახდება ცეკვა „ქართულის“ შემდგომი მეფე...

თამუნა ვაწაძე

მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტის I კურსის სტუდენტი.

„ახუ დავიწყე წერა „საარვისოდ“...

„კვირაძალს საკითხავის“ 33-ე ნომერში, „შემოდგომის საღამოს“, მწერალ თამარ ფხაკაძეს ახალი წიგნის და ჩავლილი წლების შესახებ ვესაუბრეთ.

თამარ ფხაკაძის რომანმა „(შ) ორი მე“ და ჩვენმა დიალოგმაც მკითხველებში უამრავი შეკითხვა აღძრა.

მათი ინტერესების საპასუხოდ კი SMS-ების, მოკლე ტექსტური შეტყობინებების ეპოქაში, მწერალმა ურთიერთობის ძველი, დავიწყებული ფორმა აირჩია — წერილობით მიმართვა მკითხველისადმი... დაახლოებით ამ სტილში: „ჩემო კარგო მკითხველო“... ჩვენც, ანუ მკითხველი, თითქოს ნოსტალგიის მშვიდ მყუდრო გარემოში მოქცეულნი, სიამოვნებით ვუსმენთ მას...

მოგესალმები, ძვირფასო მკითხველო და თავს უფლებას ვაძლევ საჯაროდ აგიხსნა სიყვარული...

მიყვარხარ

და რაკიღა ჩემი ნაწერი გასცდა საწერი მაგიდის უჯრებს, პირადი ჩანაწერების სტატუსს, და რაკიღა გაბედა და დაიძრა შენსკენ, ე.ი. შენთვისაა, შენ გეკუთვნის და შენს სამსჯავროზეც გამომიტანია.

ეს კი — იოლი არაა.

ქართული ლიტერატურის 15 საუკუნოვანობიდან გამომდინარე, შენ 15 საუკუნოვანი მკითხველი ხარ. თხუთმეტსაუკუნოვანი მკითხველი — ეს უკვე იმდენად გემოვნებადახვეწილი, კითხვის მცოდნე და გამოცდილი მკითხველია, რომ ლიტერატურის ლაბირინთებში მეგზურობა აღარც კი სჭირდება... მას ლიტერატურული მიმდინარეობაც მრავალი გამოუვლია და განუცდია, სტილიც, ჟანრიც, ქვეტექსტურის ამოკითხვაც კარგად იცის, ქარაგმის ამოხსნაც, სიბრძნისაც უწყის და სიცრუისაც. მოკლედ, ვერაფრით გააოცებ...

ახლა რატომღაც მახსენდება ქართული ზმნის ერთი გამორჩეულ-გამომსახველი თვისება: ქცევა. ქცევა სათავისო, სასხვისო და საარვისო... და ვფიქრობ ზმნა „წერაზე“, ანუ მის სამ ფორმაზე: „იწერს“, „უწერს“ და „წერს“ და მიჩნდება კითხვა. ამ სამიდან რომელი ფორმა გამოხატავს მწერლობას? რომელია და როგორია მწერლობა — სათავისო, სახვისო თუ საარვისო?

და ვფიქრობ, რომ მაინც, — „წერს“ ფორმა გამოხატავს მწერლობის არსს.

ჩემი უძველესი და მრავლისმნახველ-წამკითხველი მკითხველი დამეთანხმება, რომ „უწერს“ რაღაც დაკვეთის და არასასიამოვნო მიზანმიმართულების განცდას ბადებს, ხოლო „წერს“ — უფრო დიდ, თავისუფალ და გულწრფელ შემოქმედებას ნიშნავს, თითქოს...

და კარგია, ალბათ, როცა ქვეყანაში მწერალი არც თავისთავს იწერს, არც ვიღაც-ვიღაცეებს უწერს, არამედ წერს და ის ნაწერი, თუ მართლაც ნამდვილი და ფასეულია, — სანთელ-საკმეველივით პოულობს გზას და იმკვიდრებს ადგილს...

აი, სწორედ ასეთი დამოკიდებულება მინდა მქონდეს ჩემს მკითხველთან.

არ მინდა, ჩემო ძვირფასო მკითხველო, წერისას იმაზე ვფიქრობდე, გამიგებ თუ არა — მოგეწონება ჩემი ნაწერი, მიიღებ თუ უარჰყოფ მას... ისე მინდა იყოს, როგორც აღსარების თქმისას ხდება... არ ფიქრობ ასეთებზე და უბრალოდ, ამბობ, და მთავარია, ხარ გულწრფელი... თორემ თუ იმაზე იფიქრებ, როგორ მოსწონს, როგორ ესმის შენი განანდობი მსმენელს, გულწრფელობის ტალღა მყისვე მდორე და უძრავ გუბედ გექცევა...

მაგრამ თუ თავსაც დაივიწყებ და მსმენელ-მკითხველსაც, დასრულდება თუ არა წერა-ამოთქმა, ნაწერი ისევე გახდება შენი, როგორც აღსარება — უფლისადმი... და რაც მეტი იქნება მასში გულწრფელობა, სიყვარული და თავმდაბლობა, მით უფრო მიიღებ შენ მას...

ასე დავიწყე წერა „საარვისოდ“ (თუმცა არც მანამდე იყო უკალმობა-უქაღალდობა და იყო „სათავისოდ“ წერის მცდელობები).

2001 წელს გამოვაქვეყნე პირველი მოთხრობები და 2001 წლიდანვე ვიგრძენი რომ ჩემი ნაწერი გზას მიიკვლევდა შენი გულისკენ, ჩემო მკითხველო. ვგრძნობ ყურადღებას შენგან, ვგრძნობ, რომ მელოდები... ვგრძნობ შენს სიახლოვეს...

და არა მხოლოდ იმ წერილებში და გამოხმაურებებში, რასაც ვიღებ, არა მხოლოდ იმით, თუ რამდენი გაიყიდა ჩემი წიგნი... არა, მე შენს სითბოს მთელი ჩემი არსებით, მთელი ჩემი სიცოცხლით ვგრძნობ და ეს განცდა უკვე მითბობს და მილამაზებს შემოქმედების ყოველ წამს...

სულ ერთი კვირაა, რაც შენთვის წიგნის მაღაზიების თაროებზე დაიდო ჩემი რომანი „(შ) ორი მე“.

ვიცი, ფრჩხილებში ჩასმული ასოებიც გინახავს (ვატერ(პო)ლოო“), გაორება და ორმეობაც არ ახალია, ძველია... თემაც, ყველა ამქვეყნიური თემის მსგავსად, — შეხებულია...

მაგრამ ვფიქრობ, რომ ნახავ მაინც ახალს, რამეს და შემოიჭრება შენში ჩემი სიტყვები..

და მოგეწონება თუ არ მოგეწონება, მინდა გულწრფელად და ლამაზად მითხრა შენი სათქმელი, ისე, როგორც ძირძველ და ბრძენ მკითხველს შეეფერება.

შენი თამრი ფხაკაძე.

ქართული ალბომი

ეს ფოტო 1923 წელსაა გადაღებული. ეტლში ბაბო დადიანი, მერაბ ვაჩნაძე, ნატო ვაჩნაძე და ალექსანდრე დუდუჩავა სხედან.

სურათის მეორე მხარეს ქალბატონ ბაბოს მინაწერია: „ეს მეეტლე — ქუთაისელი ოგანეზაა, რომელსაც მამაჩემი, კოკი დადიანი უნათლავდა შვილს“...

დღეს, როცა მომავალ ევროპეიზაციაზე ვსაუბრობთ, იქნებ საუკუნის უკან გავიხედოთ: ჩვენი წინაპრები უკეთესად იხდენდნენ ევროპულ ტანსაცმელს და მანერებსაც... რომ არაფერი ვთქვათ განათლებასა და ურთიერთობის კულტურაზე...

ამ ფოტოზე აღბეჭდილი ადგილი კი არც პარიზია და არც ლონდონი, ეს საქართველოს ერთი პატარა დაბაა — აბასთუმანი.

ასე რომ რასაც ვეძებთ, დიდი ხანია არსებობს ჩვენში...

ჩვენი ტელეფონებია: 99-55-01; 893 14-57-56.

ჩანართზე მუშაობდნენ: ნინო ხოფერია, მამუკა ვაშაკიძე, კახა ქორიძე.

ავტომანქანა ყოველი დღისთვის

ყოველდღიურად კაცს ისეთი ავტომანქანა სჭირდება, რომელიც დაცულობისა და კომფორტის შეგრძნებას შეუქმნის

NISSAN ALMERA-ს გადასარევი და ჭკუიდან შემშლელი ნაკლებად თუ ეთქმის. პლაკატს მისი გამოსახულებით, ალბათ, არც მოზარდი გააკრავს თავისი ოთახის კედელზე. იგი ყოველდღიური ავტომანქანის განსახიერებაა, სწორედ ისეთის, რომელიც ფუფუნება კი არა, გადაადგილების საშუალებაა. თანაც ნახმარიც რომ იყოს, მაინც გამოსადეგია და საიმედო.

Almera-ს ახალი თაობა 2000 წელს შეიქმნა და, როგორც ჩანს, მისი წარმოება 2007 წელს დასრულდება, მაგრამ მეორად ბაზარზე ამ სერიის ავტომანქანები საკმაოდ მრავლადაა. მყიდველებს ასარჩევად სამ ვარიანტს სთავაზობენ — ესენია სედანი და სამ და ხუთკარიანი ჰეტჩბეკები. **Almera**-ს ძარას ბევრის ატანა შეუძლია, მისი ერთადერთი სუსტი ადგილია წინა კარების დასამაგრებლები, რის გამოც შედარებით დიდი გარბენის მანქანებზე ისინი დაბლა იწევს.

ყოველდღიური ავტომანქანის იერი თვალს არ ატყუებს — **Almera** არც სალონში მჯდომ კაცს ღლის. სიმყუდროვეს დიდად განაპირობებს უამრავი უჯრა, სხვადასხვა სამაგრი, ჯიბე და სხვა „კეთილმოწყობები“. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ეს მხოლოდ ინგლისური წარმოშობის სედანებს ეხება, იაპონიაში აწყობილებს კი ასეთი „რამე-რუმეები“ არა აქვს. მანქანის წარმომავლობის დადგენა ადვილია ანტენის მიხედვით — „ინგლისელებს“ იგი სახურავზე უყენიათ.

* * *

რაც შეეხება ოფციებს, ამ მხრივ სრული წესრიგია. აქ ყველაფერია, რითაც აღჭურვილია თანამედროვე მანქანები. ერთადერთი სუსტი ადგილია კონდიციონერი.

ღვედის მაგივრად **Almera**-ს „მარადიული“ ჯაჭვი უყენია. ყველაზე გავრცელებულია 1,5 ლ (90 ც. ძ.) ძრავა, თუმცა არის უფრო სწრაფიც — 1,8 ლ (114 ც. ძ.). ვხვდებით ტურბოძრავასაც 2,2 ლ (110 ც. ძ.), მაგრამ შემსხურებელ დიზელებს ჭუჭყიანი საწვავი „არ უყვართ“. ბენზინის ძრავები საკმაოდ გამძლეა, ოღონდ სანთლების გამოცვლაა საჭირო ხშირ-ხშირად. დაახლოებით 150 ათას კილომეტრ გარბენზე (შესაძლოა მანამდეც), ხუთსიჩქარიანი **Almera** გადაბმულობის შეცვლას მოითხოვს. ამის ნიშნებია „გაწელილი“ გადაცემები და დაბალ სიჩქარეებზე ბრუნვის სუსტი მომენტი. იმის გამო კი, რომ სიჩქარის კოლოფი საიმედოა, მასში ზეთის შეცვლა საჭირო არ არის — იგი მუშაობის მთელ ვადაზე გათვლითაა ჩასხმული. უფრო იშვიათი ოთხდიაპაზონიანი „ავტომატებიც“ კარგი ვარიანტია.

Almera-ს საკიდარი წინა და უკანა მხრიდანაც განცალკევებულია. უკანა მრავალბერკეტიანი საკიდარა დასარეგულირებელი ეფექტითაა. 70 ათას კილომეტრ გარბენზე ყველაზე ხშირად მწყობრიდან გამოდის წინა სტაბილიზატორის საყრდენები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საილენტ-ბლოკი და სფერული დგარები ერთად უნდა შეიცვალოს, რადგან ცალ-ცალკე ისინი არ იყიდება. თუმცა, ეგ კიდევ არაფერი, ცუდი კი ის არის, რომ ვერ ხერხდება წინა ფარების ზედმეტად ადვილად მსხვრევადი შუშების შეცვლა, ეს კი საკმაოდ ძვირადღირებული სიამოვნებაა.

თავად **Almera**-ს ფასები კი დაახლოებით 10 ათასი დოლარიდან იწყება.

ურიგო სულაც არ არის!

ბრძოლაშიც ამით ივლი და სათევზაოდაც!

რით დადის ქვეითი ჯარი? ნუ იტყვით, ფეხითო, განა უკვე XXI საუკუნეში არა ვართ? იქნებ ცოტა დაგვიანებით, მაგრამ ტრანსპორტი მასაც გამოუგონეს. თანაც ძალიან კარგი

ქვეითი ჯარი... რამდენი გასაჭირის, უბედურების გადატანა უხდება საბრალოს! თანაც სულ ფეხით, ფეხით სიარული, რომლებსაც „დასვენება“, რედიარდ კიპლინგის სიკეთისა არ იყოს, „ომში არ უწერია“. თუმცა ასე დიდი ხნის წინათ იყო. ახლა „მინდვრების დედოფლისთვის“ ჯავშანტრანსპორტიორი მოიგონეს, რომელსაც იგი გადაყავს კიდეც, იცავს კიდეც და სადაც გადაადგილებისას, ასე განსაჯეთ, და თვალის მოხუჭვაც კი შეიძლება...

ასეთი მანქანის შექმნა დიდი ხნის წინათ ჩაიფიქრეს, როგორც კი ტანკები გაჩნდა. ჰოდა, გაჩნდა კიდეც ომის დროს ასეთი მანქანები გერმანიისა და ამერიკის ჯარში — მათ ხომ კომფორტის გარეშე გადაადგილება არ შეუძლიათ, ანდა რატომ უნდა ამტვრევინონ ფეხები თავიანთ ჯარისკაცებს დალეწილ გზებზე?! მოკლედ, საბჭოთა ჯარისკაცების ფეხები მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გაახსენდათ. მათთვის მანქანაც მაშინ გააკეთეს, რომელსაც წლების მანძილზე სრულყოფდნენ და აი, 80-იანი წლების შუა ხანებში ქვეით ჯარს ჯავშანტრანსპორტიორ БТР-80 უბოძეს. მას ბევრი ბორბალი აქვს, მდორედ მოძრაობს, დაძინებაც შეიძლება. მდინარესაც თავისუფლად გადადის.

БТР-80-ს ასეთ მანქანებს ავღანეთში გამოყენების გამოცდილების გათვალისწინებით ჰქმნიდნენ. ტყვიათმფრქვევის დანადგარის აწევის კუთხე 60 გრადუსამდე გაიზარდა, თუმცა მის წინამორბედებზე იგი 35 გრადუსზე მაღლა „თავს ვერ წევდა“. გაუჭირდათ ავღანეთის მთებში, მძლავრი იარაღი თითქოს ხელთ ჰქონდათ, მაგრამ მთის წვერზე გამაგრებული მტერი მიუწვდომელი იყო. „ოთხმოციანის“ გამოჩენის შემდეგ ეს პრობლემები ადვილად წყდებოდა: 14,5 — მილიმეტრიანმა ტყვიამფრქვევმა КПВТ-მ „საქმე ჩინებულად იცოდა“.

БТР-80 „ჰამერს“ თავში ურტყამს

ქვეითმა ჯარმა შეიყვარა БТР-80, იგი წინამორბედებზე გაცილებით უფრო ნაკლებად ცეცხლსაშიშია, რადგან ორი ბენზინის ძრავის სანაცვლოდ მას ერთი მძლავრი დიზელის ძრავა უდგას. მაგრამ ჭურვი თუ აფეთქდა? ჭურვი კი ფეთქდება, მაგრამ მაშინ კორპუსს ბორბალი იცავს — იგი ძვრება, დარტყმის ტალღა კი ჯავშანტრანსპორტიორს გვერდს უვლის. ერთი ბორბლის დაკარგვა საშიში არ არის, მას კიდევ შვიდი რჩება. ისეც ყოფილა, ცალ მხარეზე ორი ბორბალი მოუგლეჯია, მაგრამ ბაზამდე მანქანა თავისი სვლით მისულა.

გრუნტიან გზაზეც კი საათში 100 კილომეტრის სიჩქარით გარბის. ხშირად ყოფილა, ბრძოლებს შორის შუალედში ბიჭები მაღაზიაში ანდა, სულაც, სათევზაოდ წასულან... იდეა არ გამოდგა ურიგო და ახლა БТР-80-ის სამოქალაქო ვარიანტს, „ვეტლუგას“ უშვებენ, რომელსაც კორპუსი დაუტოვეს, გოდოლი მოხსნეს, ფანჯრები გაუჭრეს, სალონი გაუკეთილშობილეს, რა „ჰამერი“, რის „ჰამერი“?! საწვავის ხარჯი „ვეტლუგას“ ორჯერ ნაკლები აქვს, გამავლობა უკეთესი, თანაც დაცურავს! ფასიც ნაკლებია.

90-იანი წლების დამდეგს БТР-80-ს მოდერნიზაცია ჩაუტარეს, შეიარაღება გაუძლიერეს. БТР-80А როგორც მას უწოდეს, ისეთივე 30-მილიმეტრიანი ავტომატური ქვემეხით აღიჭურვა, როგორიც БМР-3-ზეა. საზღვარგარეთ მანქანა ბევრს მოეწონა, მას ინდონეზიაშიც შეხვდებით. არც არავითარი ცუნამის არ ეშინია — პირიქით, სამხედროებმა სწორედ ამ მანქანებით გადაარჩინეს უამრავი ხალხი.

ახლა БТР-80-ების ახალი მოდიფიკაციები მუშავდება, მაგალითად, БТР-90 „როსტოკი“...

ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი მ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ლ ე ბ ი

	БТР-80	БТР-80А
საბრძოლო მასა, ტ	13,6	14,55
ბორბლების ფორმულა	8X8	8X8
ეკიპაჟი, დესანტი, კაცი	2+8	2+8
ძრავის ტიპი და სიმძლავრე, ც.ძ.	დიზელის, 260	დიზელის, 260
ძრავის ხვედრითი სიმძლავრე, ც. ძ. ტ.	19,1	17,9
შეიარაღება	14,5 მმ-იანი ტყვიამფრქვევი КПВТ	30 მმ-იანი ავტომატური ქვემეხი 2А72
გზატკეცილზე სვლის მარაგი, კმ	600	600

თურმე...

...ДИОГЕНИСЕ კასრში კი არა, პატარა სახლში ცხოვრობდა, რომელსაც ათენელები დაცინვით ეძახდნენ „პითოსს“ („კასრი“), თანაც ამას შურით ამბობდნენ, რადგან დიოგენი ძალზე პოპულარული იყო, მოწაფეები კი მასთან მთელი საბერძნეთიდან მოდიოდნენ.

* * *

...КОРТЕСსამა, რომელსაც სულ 110 მეზღვაური ჰყავდა და 553 მუშკეტი და 14 ზარბაზანი ჰქონდა, თვითონ ვერ შეძლო აცტეკების ცივილიზაციის განადგურება. ამაში მას დაეხმარა სხვა ინდიელთა — ტოტონაკთა — 10-ათასიანი ჯარი, რომელმაც თავიანთი ძველი მოსისხლეების, აცტეკების განადგურების შანსი ხელიდან არ გაუშვა.

* * *

„ПРИМИТИВУЛИ“ ჰუნების წინამძღოლი ატილა თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული კაცი იყო. ჰუნებს კი ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ გრძელი ხმლისა და დასაკეცი მშვილდის გამოგონებას, რომელსაც ისრის სროლა ნახევარ კილომეტრზე შეუძლია.

ქრონოგრაფი

5 დეკემბერი, 1933 წელი

აშშ-ში გაუქმდა „მშრალი კანონი“, რომელიც ძალაში იყო 1920 წლის იანვრიდან. სწორედ ამ დღეს მოქმედება შეუწყდა კონსტიტუციაში შეტანილ მე-18 შესწორებას, რომელიც კრძალავდა ალკოჰოლური სასმელების წარმოებას, გაყიდვას, გადატანას, ქვეყნის ტერიტორიაზე შემოტანას. „მშრალი კანონის“ შემოღებამ ამერიკაში ხელი შეუწყო იატაკქვეშა ბიზნესის აყვავებას და მაფიოზური კლანების გაძლიერებას.

6 დეკემბერი, 1240 წელი

ხანგრძლივი ალყის შემდეგ მონღოლ-თათართა ურდო ჩინგის ხანის შვილიშვილის ბათო ხანის სარდლობით შეიჭრა კიევში. ამ დროისათვის მონღოლებს დაპყრობილი ჰქონდათ მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთი სამთავროები და კიევის აღებით მთელი რუსეთის ტერიტორია ოქროს ურდოს შემადგენლობაში შევიდა. მიუხედავად იმისა, რომ მთავრებმა თავიანთი თანამდებობები შეინარჩუნეს, ხალხი აურაცხელ ხარკს უხდიდა დამპყრობლებს. ხარკის ასაკრეფად მონღოლებმა პირველად ჩაატარეს რუსეთში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. გადასახადებისგან მხოლოდ სამღვდელოება თავისუფლდებოდა. მონღოლ-თათართა ბატონობა მთელი ორი საუკუნე გაგრძელდა. გამათავისუფლებელი ბრძოლა დაიწყო 1380 წელს, მას შემდეგ, რაც დიმიტრი დონელმა მომხვდურები სასტიკად დაამარცხა კულიკოვოს ველზე.

7 დეკემბერი, 1732 წელი

ლონდონში, ბოუსტრიტზე გაიხსნა სამეფო საოპერო თეატრი, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია კოვენტ-გარდენად — იმ უბნის სახელით, სადაც იგი მდებარეობს. მის დამ

◎ ყველაფერი ყველაფერზე

ცოტა რამ ტროგლოდიტების შესახებ

დიდი ხანია სიტყვა ტროგლოდიტი „ბარბაროსის“, „ველურის“ სინონიმად იქცა. მაგრამ თანამედროვე ტროგლოდიტებს თავიანთი უძველესი თანამოძმეთაგან მხოლოდ ერთი მსგავსება შემორჩათ — იცხოვრონ გამოქვაბულებში, სხვა დანარჩენით ისინი ჩვეულებრივი, თანამედროვე ადამიანები არიან და არცთუ ისე ცოტანი.

თანამედროვე ტროგლოდიტები, რომლებსაც მრავლად შეხვდებით ტუნისის ქალაქ მატმატში (მათ სხვათა შორის დღესაც ტროგლოდიტებს ეძახიან) თავიანთი საცხოვრებლების მიხედვით მართლაც ველურებად შეიძლება მონათლოთ. ისინი ცარცულ გამოქვაბულებსა და მღვიმეებში ცხოვრობენ თავიანთი ბერბერი წინაპრებივით. ბერბერები ამგვარ ცხოვრებას ათას ხუთასი წლის წინათ მისდევდნენ. ბერძნებმა მათ ტროგლოდიტები შეარქვეს, რაც „მღვიმეში მცხოვრებს“ ნიშნავს. თავდაპირველად ბერბერები მღვიმეებსა და გამოქვაბულებს თავშესაფრებად იყენებდნენ — ცხოველებისა და მტერთაგან თავდასაცავად. შემდეგ შეეჩვივნენ. თანამედროვე ტროგლოდიტებიც გამოქვაბულებში ცხოვრობენ, მიუხედავად იმისა, რომ აქვთ ტელევიზორი, მაცივარი, ვიდეომაგნიტოფონები, საკანალიზაციო სისტემა, წყალგაყვანილობა. ერთით სიცხეში მართლაც სულზე მისწრებაა გრილი მღვიმე და გამოქვაბული. მატმატი ტურისტების შემოსევას ვერ აუდის. აქ მათთვის უამრავი კეთილმოწყობილი მღვიმეა. გამოქვაბულებამდე ისინი კლდეში გამოჭრილი საფეხურებით მიდიან, უარეს შემთხვევაში ლიანებით დაწნული კიბეებით.

ტროგლოდიტების საცხოვრებლები აღმოჩენილია არა მარტო ტუნისში, არამედ თურქეთის, მალის, ეთიოპიის და სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე. მაგალითად საფრანგეთში მდინარე ლუარას ხეობაში მრავლად არის დაბები და სოფლები, სადაც ტროგლოდიტები ცხოვრობენ. კლდოვან რელიეფზე ეს უცნაური ხალხი XI საუკუნეში დასახლდა. ისინი ქვისმთლელები იყვნენ, ლოდებს ქალაქელებზე ყიდდნენ, ხელოვნურად წარმოქმნილ გამოქვაბულებში თავად ცხოვრობდნენ. გამოქვაბულები კლდეზე საკმაო სიმაღლეზე იყო გამოკვეთილი. ადიდებული მდინარე მათ საფრთხეს არ უქმნიდა. მღვიმის შიგნით ტემპერატურა ზამთარ-ზაფხულ 16 გრადუსი იყო. პროფესიონალი ქვისმთლელების მიერ გამოკვეთილი გამოქვაბულების სიგრძე კლდეში რამდენიმე კილომეტრი იყო, რაც მტერთაგან მოუხელთებელს ხდიდა მათ. თანამედროვე ფრანგ ტროგლოდიტებს გამოქვაბულ-საცხოვრებლებში გაყვანილი აქვთ ელექტრობა, კედლები ხალიჩებითა და ფარდებითაა დაფარული, „იატაკზე“ კი „პარკეტი“ უგიათ. გამოქვაბულთა წინ ტერასები და პაწაწკინტელა ბაღები აქვთ მოწყობილი. ქვებისაგან ათასგვარ ქანდაკებებს აქანდაკებენ, რომელთა ფასიც რამდენიმე ათასი ევროა. მათ ნამუშევრებს ტურისტებში დიდი გასავალი აქვს. გამოქვაბულებში მოწყობილია რესტორნები, კაფეები, სასტუმროს ნომრები, პატარა მარნები, ღვინის საწნახელები და სოკოს სათბურები. მოკლედ ევროპაში „მღვიმეთა და გამოქვაბულთა“ ბიზნესი ჰყვავის.

ქრონოგრაფი

10 დეკემბერი, 1901 წელი

პირველად შედგა ნობელის პრემიის გადაცემის ცერემონიალი. მისი საპატიო მფლობელები გახდნენ ფიზიკოსი ვილჰელმ კონრად რენტგენი (გერმანია), ქიმიკოსი იაკობ ჰენდრიკ ვანტ-გოფი (ჰოლანდია), მიკრობიოლოგი ემილ ადოლფ ფონ ბერინგი (გერმანია), მწერალი რენე ფრანსუა არმან სიული-პრიუდომი (საფრანგეთი). ნობელის პრემია მშვიდობის დარგში გადაეცა ერთდროულად ორ ლაურეატს — შვეიცარიელ ჟან ანრი დიუნანს და ფრანგ ფრედერიკ პასის. ნობელის პრემიის გადაცემა ხდება მისი დამაარსებლის ალფრედ ბერნხარდ ნობელის გარდაცვალების დღეს.

11 დეკემბერი, 1688 წელი

საპარლამენტო ოპოზიციის მიერ დამარცხებული ინგლისის მეფე იაკობ II (სიკვდილით დასჯილი მეფის კარლო I მეორე ვაჟი) სენტ-ჯეიმსის სასახლიდან საფრანგეთში გაიქცა. პარლამენტის უკმაყოფილება გამოიწვია მეფის მცდელობამ ქვეყანაში მოეხდინა კათოლიციზმის რესტავრაცია, რაც აქამდე უკანონოდ ითვლებოდა, აგრეთვე ხელმძღვანელ პოსტებზე მთავრობასა და არმიაში კათოლიკეთა დანიშვნამ. გაქცევისას მან მდინარე ტემზაში გადააგდო სამეფო ბეჭედი, რათა ვინმეს იგი არ ჩაეგდო ხელთ და შესაბამისად ასულიყო ლეგიტიმურად სამეფო ტახტზე. საკვირველია, მაგრამ სამეფო ბეჭედი მეთევზის ბადეში გაეჩხირა და იგი სასწრაფოდ გადასცეს პროტესტანტებმა სამეფო ტახტზე მიწვეულ ვილჰელმ ორანელს (იაკობ II სიძეს), რომელიც ინგლისის ტახტზე ავიდა, როგორც ვილჰელმ III. განდევნილი მეფე ოცდაათი წლის შემდეგ გარდაიცვალა პარიზის მახლობლად.

„ჭეშმარიტების“ ბუნებების სეიდუმდო

ვინ იფიქრებდა, თუ შეიძლებოდა, რომ ესესელთა მილიარდების მფლობელს უბრალო სოფლელივით ტყის პირას, მიტოვებულ პატარა სახლში ეცხოვრა?

— გამარჯობათ, ფრაუ ჰესელრინგ. მე ერთ ადამიანს ვეძებ. ამბობენ, რომ ის აქ ცხოვრობდა.

— დიახ, დიახ, უკვე მითხრეს. მობრძანდით. ყავას ინებებთ, ჰერ ჟურნალისტო?

— გმადლობთ, ძალიან კეთილი ხართ.

სამზარეულოს კედელზე შავთეთრ სურათს ვათვალიერებ: მხედრულად ტანში გამართული მამაკაცი ათი წლის გოგონას ეხვევა. გოგონა იღიმება, მამაკაცს ტუჩები მოუკუმავს.

— ეს მამაჩემია, ეს კი მე ვარ... მამა რეგენსბურგიდანაა. ოდესღაც ის თქვენს ქვეყანაში მსახურობდა, იქიდან წერილებს მწერდა ხოლმე, სულ სიცივესა და თოვლს უჩიოდა.

მოხუცი მიყურებს და მეუბნება:

— უმჯობესია თქვენი ფოტოსურათი მომცეთ, ვნახავ. მე საუცხოო მეხსიერება მაქვს.

როგორც კი ინტერნეტიდან ამოღებულ ფოტოს დახედა, ქალს უმალ გამომეტყველება შეეცვალა.

— ღმერთო ჩემო! მე მითხრეს, რომ ეს ადამიანი ძალიან გავს ჩვენს მეზობელს, მაგრამ ვერც წარმოვიდგენდი, თუ შეიძლებოდა ასეთი მსგავსება ყოფილიყო...

— დარწმუნებული ხართ, რომ ის არის?

— ხომ გესმით, ორმოცი წელი გავიდა. მაგრამ ეს მისი სახეა... დიახ, ერნსტ კრომბახივით გამოიყურება, ოღონდ უფრო ახალგაზრდაა. მე გაჩვენებთ სახლს, სადაც ის ცხოვრობდა, მაგრამ რატომ ეძებთ მას?

მან, ალბათ, მესამე რეიხის ოქროს მარაგი გაიტაცა

მე ფოტოსურათი „ნიკაპამდე“ ამოვბეჭდე, ესესელთა შავ მუნდირზე ხვეული ვერცხლის სამხრეები რომ არ გამოჩენილიყო. ფრაუ ჰესელრინგს სურათიდან ჩვენს კინოში ლეონიდ ბრონევოის მიერ კარგად განსახიერებული ადამიანის — გესტაპოს ხელმძღვანელი სს-ის გრუპენფიურერი ჰენრიხ მიულერი უმზერდა, რომელიც ჰიტლერის თვითმკვლელობამდე ერთი დღე-ღამით ადრე საიდუმლო ვითარებაში გაუჩინარდა ალმოდებული ბერლინიდან.

მისი აქტიური ძებნა 80-იან წლებამდე გრძელდებოდა. თავიდანვე არავის სჯეროდა, რომ ეს ადამიანი, რომელიც მილიონობით ადამიანის სიკვდილში იყო დამნაშავე და რომელიც ფლობდა უნიკალურ ინფორმაციას რეიხსბანკის გამქრალი ტონობით ოქროს შესახებ. მას შემდეგ კი, რაც ბერლინში ლილინტადშტრასეს სასაფლაოზე მისი საფლავი გათხარეს და სამი სხვადასხვა ადამიანის ძვლები (!) აღმოაჩინეს, ცხადი გახდა: გესტაპოს შეფმა მესამე რეიხის ოქროს მარაგი წაიღო და გაიქცა. სხვადასხვა დროს სამხრეთ ამერიკის ჯუნგლებში ექსპედიციები მის მოსაძებნად ჩაატარეს ნაცისტებზე მონადირე სიმონ ვიზენტალმა, „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვების“ ავტორმა, მწერალმა იულიან სემიონოვმა და აშშ-ს ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომაც კი,

რომელმაც მხოლოდღა 1971 წლის დეკემბერში დახურა მიულერის ძებნის „დოსიე № 263“. ხოლო გერმანიამ მის დასაჭერად ორდერი 1973 წელს გასცა, როდესაც „განსაკუთრებული ცნობები“ მიღო, — ეს ორდერი დღემდე არ არის გაუქმებული. ვინ იფიქრებდა, რომ შეიძლებოდა ესესელთა მილიარდების მფლობელს აქ, ტყის პირას, მიტოვებულ პატარა სახლში სოფლული კაცის ცხოვრებით ეცხოვრა?

... 2002 წლი აპრილი. ჩვენ ვენაში ვართ, დოკუმენტაციურ ცენტრში და სიმონ ვიზენტალს ვესაუბრებით. ვიზენტალი გვიამბობს, როგორ შეისწავლა ობერშტურმბანფიურერ ადოლფ ეიხმანის დაკითხვის ოქმები. ეიხმანი 1960 წელს არგენტინაში ისრაელის დაზვერვამ გაიტაცა. სს-ის ეს ოფიცერი მიულერის ერთ-ერთი პირდაპირი ქვეშევრდომი იყო. — ის ერთთავად მიმანიშნებდა, რომ გესტაპოს შეფი სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთ ქვეყანაში ცხოვრობს და რომ მან ზუსტად იცის მისი ადგილსამყოფელი, — იხსენებს ვიზენტალი. — როგორც ჩანს, ეიხმანი მზად იყო, სიცოცხლის შესანარჩუნებლად ეს ინფორმაცია „გაეყიდა“, მაგრამ სასამართლო სხვაგვარად მოიქცა. მერე მე ხშირად მიფიქრია, ვინ იცის, იქნებ ის მართალს ამბობდა-მეთქი?

... პატარა სოფელი „ვილა ბავარია“, სადაც საუცხოო მეხსიერების მქონე ფრაუ ჰესელრინგი ცხოვრობს, ჩილის დედაქალაქ სანტიაგოდან დაახლოებით 350 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს. იქამდე ჩაღწევა საკმაოდ ძნელია: ასფალტი არ არის, ატალახებულ გზაზე გაჭირვებით მივიწევდით წინ. კილომეტრობით მავთულხლართიანი ღობეებითა და ბოძებით „ბავარია“ საკონცენტრაციო ბანაკს მოგაგონებთ. სათვალთვალო კოშკურები, სადაც სნაიპერები ისხდნენ, სულ ახლახან აუღიათ. უცხო პირთა შესვლა ამა წლის მარტამდე იყო აკრძალული, სტუმრები აქ არასდროს ყვარებიათ. ქალებისა და მამაკაცების უმრავლესობა მხოლოდ გერმანულად ლაპარაკობს და ვერასდროს იფიქრებთ, რომ სოფელი ჩილეში მდებარეობს, და არა სადღაც მიუნხენის მახლობლად. მაგრამ არც თუ დიდი ხნის წინათ „ვილა ბავარიას“ სხვა სახელი ერქვა. 1961 წელს სს-ის სამედიცინო სამსახურის ყოფილმა კაპრალმა პაულ შაფერმა, რომელიც სამას გერმანელ კოლონისტთან ერთად ჩამოვიდა, აქ „ღირსეულთა დასახლება“ — „კოლონია დიგნიდადი“ დააფუძნა. ამ ჯგუფში იყო მორიდებული ლუდის მხარშველი ერნსტ კრომბახიც, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა გესტაპოს შეფს. იგი ტყისპირა ცისფერ სახლში დაბინავდა.

... წვიმა ასველებს ეკლიან მავთულხლართს და წყაროსთან ლოდზე ამოკვეთილ სიტყვებს: „ჩვენ აქ ნაციის მიერ ხმობილნი მოვედით, ჩვენ — ღირსეულთა შორის ღირსეულნი“. ორმოცი წელი „დიგნიდადში“ აკრძალული იყო სოფლის ჭიშკარს იქით გადაბიჯება, უცხოელებს კი შიგნით არ უშვებდნენ, მაშინაც კი თუ მათ პოლიციის ფორმა ეცვათ. კოლონიას მაღალი მფარველი ჰყავდა — სს-ის შტანდარტენფიურერი ვალტერ რაუფი, ოდესღაც მიულერის ერთ-ერთი ყველაზე ახლო მეგობარი, რომელიც მერე უშიშროების საკითხებში პინოჩეტის მოადგილე გახდა. რაუფი 1984 წელს გარდაიცვალა. მე ვნახე მისი სახლი სანტიაგოში — ჯიღჯიღა ოქროთი მოვარაყებული დიდებული აივნები და სვეტები: ჩილეში ესესელი მილიონობით დოლარით ჩამოვიდა. მისი გავლენა ამ ქვეყანაში იმდენად დიდი იყო, რომ საბჭოთა კავშირის საუკეთესო მეგობარმა სალვადორ ალიენდემაც კი უარი თქვა რაუფის გადაცემაზე. ასეთი მეგობრის იმედით მიულერს შეეძლო მშვიდად ეცხოვრა ტყის სიღრმეში და დაპატიმრების შიში არ ჰქონოდა.

იხ. მე-18 გვ.

ალწერილობის თანახმად, წინასწარმეტყველი ბუდა უზარმაზარი სიმაღლის ყოფილა



პროფესორ მულდაშევის ექსპედიციის მიერ სირიაში აღმოჩენილმა გიგანტის ნაკვალევმა მეცნიერები გოლიათთა საფლავებთან მიიყვნა.

— მსოფლიოს მრავალი ლეგენდა გვიამბობს გიგანტებზე, გოლიათებზე, ტიტანებზე... მაგრამ დღემდე რატომ არავის უპოვნია ადამიანის გიგანტური ძვლები? ხომ პოულობენ დინოზავრების ძვლებს...

— სავსებით შესაძლებელია, რომ ძველ დროში გიგანტები გარდაცვლილთა ცხედრებს ჩვენსავით მიწას არ აბარებდნენ. დღევანდელ მსოფლიოშიც ხომ სხვადასხვა ხალხი სხვადასხვანაირად კრძალავს თავის მიცვალებულს. მაგალითად, ინდოეთში მიღებულია ცხედრის დაწვა და ფერფლის წყლისთვის გატანება. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ უძველესი ადამიანები გარდაცვლილ თანამოძმეთა ცხედრებს ათავსებდნენ სარკოფაგებში, სადაც ხდებოდა სხეულის დემატერიალიზება და ის ენერგიის რაღაც შენადედებად გადაიქცეოდა, რომლებსაც ცოცხალი ადამიანები სხვადასხვა მიზნებისთვის იყენებდნენ. შეიძლება, გარდაცვლილის „ბოლო გზა“ ძველად სწორედ ასეთი იყო და გიგანტურ ადამიანთა ძვლებსაც ამიტომ ვერ პოულობენ.

— თქვენ თუ იპოვეთ?

— არა, ძვლები არ გვიპოვია, თუმცა ძველი გიგანტების საფლავები აღმოვაჩინეთ.

— უფრო დაწვრილებით გვიამბეთ ამ საფლავების შესახებ.

— ყველაზე ცნობილი და მნიშვნელოვანია აბელის — ადამისა და ევას შვილის საფლავი, რომელიც დამასკოს სიახლოვეს მდებარეობს. აქ მუხლის მოსაყრელად არაბული ქვეყნებიდან უამრავი მლოცველი ჩამოდის. 300 წელია ამ საფლავს დარაჯობენ ისლამის მიმდინარეობა „დრუზის“ წარმომადგენლები, რომლებიც იესო ქრისტეს აღიარებენ და არამეული ენის — იესოს სიცოცხლისდროინდელი ენის სირიაკულ დიალექტზე ლაპარაკობენ.

აბელის საფლავის ქვა წარმოადგენს გრანიტის უზარმაზარ ნაგებობას, რომლის სიგრძეა 5 მ და 71 სმ, სიგანე კი — 1 მ და 80 სმ. ნაგებობის გვერდით კედელში არის ნახვრეტები, საიდანაც უცნაური სუნი იგრძნობა.

— საფლავის გახსნა და შესწავლა არავის უცდია?

— ეს საფლავის წაბილწვად ჩაითვლებოდა. მუსლიმანები არასდროს დაუშვებენ ამას.

— თქვენ გიგანტთა რამდენიმე საფლავი ახსენეთ...

— ხანგრძლივი ძებნის შემდეგ სირიაში, ქალაქ ალეპოს მახლობლად ჩვენ მივაგენით ადგილს, სადაც იყო გიგატების რამდენიმე საფლავი, რომლებსაც ადამიანები თაყვანს სცემდნენ. მაგრამ, როგორც ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა გვიამბეს, რამდენიმე წლის წინათ ორთოდოქს მუსლიმანებს დაუნგრევიათ ისინი, საფლავის ქვები ბულდოზერით გადაუსწორებიათ. სხვათა შორის, შეიძლებოდა აქ არქეოლოგიური გათხრები ჩატარებულიყო, თუმცა... არავინ იცის, როგორი რეაქცია მოჰყვებოდა ამას ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან. ამ ადგილიდან 20 კილომეტრის მოშორებით ბორცვის თავზე ჩვენ გვიჩვენეს კიდევ ერთი გიგანტის საფლავი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა 7,5-მეტრიანი ადამიანს საფლავს ეძახდა. ამ გიგანტს მუჰამედ ატაული რქმევია, რაც მუჰამედ მაღალს ნიშნავს. გადმოცემის თანახმად, ის აქ იემენიდან მოსულა, სასწაულმოქმედი ყოფილა, არაბულის ის კილოკავი სცოდნია, რომელზეც წინასწარმეტყველი მუჰამედი ლაპარაკობდა. ის აქ დაღუპულა და აქვე დაუმარხავთ. ორი წლის წინათ, დღემდე მოვლილი გიგანტის საფლავი განძის მაძიებლებს გაუთხრიათ, მაგრამ ისინი დაუჭერიათ და ციხეში ჩაუსვამთ. ამჟამად ადგილობრივი გლეხები საკუთარი ძალებით აღადგენენ საფლავს: მათ უკვე შემოფარგლეს ის დიდი ქვებით და ქვების ყორეც ააშენეს. საფლავის სიგრძეა **7,7**5 მეტრი, სიგანე — 2,20 მეტრი.

— თქვენ მართლა გჯერათ, რომ ამ ადგილებში გიგანტი ადამიანები არიან დაკრძალულები?

— საფლავის გაუთხრელად და ძვლების უნახავად ამას ვერავინ დაამტკიცებს. მაგრამ არა მგონია, სირიის ხელისუფლებამ მათი საფლავების გახსნის ნებართვა მისცეს ვინმეს. თუმცა რიგი ირიბი მტკიცებულებებისა გვაფიქრებინებს, რომ სავსებით შესაძლებელია, გიგანტები არცთუ ისე შორეულ ისტორიულ პერიოდშიც კი ცხოვრობდნენ დედამიწაზე. მაგალითად, აღმოსავლეთში არსებობს ბუდას ძალზე დაწვრილებითი აღწერილობა. ამ აღწერილობით, რომელსაც „ბუდას 60 თავისებურება და 32 მახასიათებელი ეწოდება“, ცხადი ხდება, რომ ბუდა უზარმაზარი სიმაღლის ყოფილა, მას ხელისა და ფეხის თითებს შორის აპკები, შეწევადი ასო და 40 კბილი ჰქონია... ეს კი წინა ცივილიზაციის ადამიანების — ატლანტების აღწერილობას ემთხვევა.

კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა უგულვებელვყოთ ლეგენდები გოლიათებისა და ტიტანების შესახებ? რატომ არ უნდა მივიღოთ მხედველობაში აინ-დარაში არსებული გიგანტის აშკარა ნაკვალევი? და ბოლოს, რატომ უნდა ვთვლიდეთ მისტიფიკაციად რეალურ გიგანტურ საფლავებს, რომლებსაც ადამიანები გიგანტის დამარხვის მომენტიდან სცემენ თაყვანს?

— რომ გკითხონ, საიდან გაჩნდნენ დედამიწაზე ასეთ, შედარებით გვიან ისტორიულ პერიოდში გიგანტები, თქვენ, ალბათ, უპასუხებთ — „შამბალადანო“?

— ლეგენდები მიწისქვეშა შამბალაზე, ისევე როგორც გიგანტებზე, დედამიწის ზურგზე უძველესი დროიდან, იმ დროიდან არსებობს, როდესაც ქვეყნებს შორის რიგიანი კომუნიკაციები არც კი არსებობდა. და, ალბათ, თუ ლეგენდებს, დავუჯერებთ, იქ, ტიბეტში, ჩვენ მაიმუნისგან კი არ ჩავსახულვართ, არამედ მოხდა ჩვენი კლონირება წინარე ცივილიზაციების ადამიანთა — ატლანტთა მიერ, რომელთა მკვდარი ქალაქები დღემდე გვხვდება დედამიწაზე.

შესაძლებელია, თუ არა ლითონის ცულითა და ხის ეტლით ათობით დიადი ქალაქის სულ რაღაც 30 წელიწდში აშენება? ან ვინ სვამდა წყალს ჭიდან, რომლის სახურავი 1400 კილოგრამს იწონის? ამ კითხვების პასუხებს მულდაშევის ექსპედიცია აღმოსავლეთის რამდენიმე უძველეს ქალაქში ეძებდა. შედეგების შესახებ — მომდევნო ნომერში.

◎ ყველაფერი ყველაფერზე

მტაცებელი თუთიყუში — ცხვრების რისხვა

ახალი ზელანდიის მაღალმთიან რაიონებში ცხოვრობს ერთი შეხედვით მეტად უწყინარი და სიმპათიური თუთიყუში კეა. თუ მის სურათს დააკვირდებით, ალბათ ჩვეულებრივი თუთიყუშისგან ვერ გაარჩევთ, მოფერებაც და ქოჩორზე ხელის გადასმაც კი მოგინდებათ.

კუნძულზე ევროპელების მოსვლამდე კეა ჩვეულებრივი თანამოძმეებივით მარცვლეულს, კენკრას, ტკბილ ფოთლებს და ხილს შეექცეოდა, მართლაც უწყინარი რამ გახლდათ და თოვლიან ზამთარს, მცხუნვარე ზაფხულსა და ჭირვეულ სუბტროპიკულ კლიმატს როგორც შეეძლო ისე უმკლავდებოდა. ევროპელებმა კუნძულზე ცხვრები მოაშენეს. ამასთან ერთად კეას ცხოვრებაც და მისწრაფებებიც შეიცვალა. თანამოძმეთაგან განსხვავებით კენკრაკენკიამ და ფოთოლმოყვარულმა დავრდომილი, კლდეზე გადაჩეხილი ცხვრების ლეშსაც გაუგო გემო და თუთიყუში მტაცებლად იქცა. ახლა იგი არამარტო ოთხფეხების, არამედ ადამიანთა რისხვასაც წარმოადგენს. კეა მოხერხებულად დაეფრინდება ცხვარს ქეჩოზე, ბრჭყალებით მატყლზე იმაგრებს თავს და ბასრი ნისკარტით ხორცს ჯიჯგნის. თუ ცხვარმა თავი დააღწია მტაცებელს იგი მაინც კვდება მიყენებული ჭრილობისგან, ანდა სისხლის მოწამვლისგან. თუ არადა, ქანცგამოლეული ან კლდიდან ვარდება, ანდა ფარას ჩამორჩენილი უსულოდ ეცემა მიწაზე. სწორედ ამ დროს მას თუთიყუშთა მთელი გუნდი ესხმის თავს და საცოდავისგან მხოლოდ ძვლებილა რჩება. ასე არჩენენ ცივ ზამთარში თუთიყუშები თავიანთ შვილებს შიმშილობისგან. თავდამსხმელი თუთიყუში ფრთოსანთა გუნდში მხოლოდ ერთეულებია, მაგრამ ზელანდიელი ფერმერები მათ გარჩევას ხომ არ დაიწყებენ, ერთიანად ემტერებიან ამ საშინელ მტაცებლებს.

„ჭკვი ვირთხის“ ბუნების სპიდუმდო

(მეჩვიდმეტე გვერდიდან)

„ამ სოფელში მათ ორმოციანი წლების გერმანია შექმნეს“

— მაშინვე დადიოდა ხმები, რომ რაუფი მიულერის „საფულე“ იყო, იმიტომ რომ მსხვილი გარიგებებისას ის რეიხსბანკის ოქროს ზოდებით იხდიდა, — მიამბო ალიენდეს აპარატის ყოფილმა თანამშრომელმა ხორხე ხუარესმა. — ღიად ლაპარაკობდნენ, რომ გესტაპოს შეფი ჩვენი სპეცსამსახურების თანხმობით იმალებოდა „დიგნიდადში“. მაგრამ უმალ მთვარეზე გაფრინდებოდი, ვიდრე იმ კოლონიაში მოხვდებოდი. ნახეთ სოფელი? მათ იქ ორმოციანი წლების გერმანიის ასლი შექმნეს. არგენტინაში გერმანელი კოლონისტებისთვის პასპორტების გაკეთება სულ ადვილი იყო, ჩვენთან კი ნაცისტები ამ საბუთებს იცვლიდნენ, სხვა სახელითა და გვარით იღებდნენ პასპორტებს და კვალიც იფარებოდა.

... პინოჩეტის გადადგომიდან რამდენიმე წლის შემდეგ კოლონიის ხელმძღვანელი პაულ შაფერი ქვეყნიდან გაიქცა, „დიგნიდადში“ კი ჩხრეკვები დაიწყო. ყველაზე დიდი სიურპრიზი ადგილობრივ პოლიციელებს ამ ზაფხულს ელოდათ, როდესაც მიწისქვეშა ქვაბულში აღმოაჩინეს საიდუმლო სამალავი, სადაც მეორე მსოფლიო ომისდროინდელი იარაღი ინახებოდა: ტყვიამფრქვევები მგ-42 და ავტომატები მპ-40 (ჩვენში მათ „შმაისერებს“ ეძახიან). იქვე აღმოჩნდა სს-ის ახალთახალი საველე ფორმაც, მაგრამ ამას აღარავინ გაუკვირვებია. ღმერმა იცის, როგორ მოხდა ყოველივე ეს აქ. ამასთან დაკავშირებით ძალაუნებურად იფიქრებ რომ ვერსიას ორი წყალქვეშა ნავის შესახებ, რომლებმაც 45 წლის აგვისტოში ჩილეს სანაპიროზე რეიხსბანკის ოქრო და იარაღი გადმოტვირთა და მესამე რეიხის უმაღლესი ოფიცრებიც გადმოსხა, არსებობის უფლება ჰქონია... სანტიაგოს სახელმწიფო არქივში „ბავარიის“ მცხოვრებთა თითქმის არც ერთი ფოტოსურათი არა აქვთ, თანამშრომლები მობოდიშებით შლიან ხელებს: „ეს დახურული საზოგადოება იყოო“. მხოლოდ კოლონიის „ფიურერის“ პაულ შაფერის პოლიციის დოსიედან ამოღებულ სურათს მივაგენით.

სახლი, სადაც ცხოვროგდა მიულერის ორეული ერნსტ კრომბახი

შაფერი ახლახან დააპატიმრეს არგენტინაში, მაგრამ ის ჩვენებებს არ იძლევა.

... ცარიელი ფინჯანი გახამებულ სუფრაზე დავდგი. — გმადლობთ, ფრაუ ჰესელრინგ. თქვენ კარგად იცნობდით ჰერ კრომბახს?

— ო, არა, მე ასე არ ვიტყოდი. ის გულჩათხრობილი ადამიანი იყო, თუმცა კი ძალზე თავაზიანი, ბავშვები უყვარდა. ასე, ოცდაათი წლით ახალგაზრდა ცოლი და ორი ქალიშვილი ჰყავდა. სპეციალურად დასახლდა ტყის სიახლოვეს, ასე ამბობდა, საზოგადოება მაინცდამაინც არ მიყვარს, ბუნება მირჩევნიაო. მისი გოგონები ჩვენს სკოლაში სწავლობდნენ. ძალიან კარგი სპეციალისტი იყო, სოფელში საუკეთესო ლუდს ხარშავდა.

— აქედან რატომ წავიდა?

— არ ვიცი. თხუთმეტი წელი იცხოვრა აქ, ერთხელ კი ღამით მოულოდნელად გაუჩინარდა. დილით გავიღვიძეთ და მისი სახლი ცარიელი დაგვხვდა. არც კი გაუყიდია ის. ამბობენ, ბოლივიაში წავიდაო.

... ჩვენ ვტოვებთ იქაურობას და მანქანის ფანჯრიდან მე უკანასკნელად ვავლებ თვალს მავთულხლართებშემოღობილ სოფელს. თუ მიულერი მართლაც აქ იმალებოდა, რა გასაკვირია, რომ ვერავის ეპოვა იგი, აქ ჰიტლერსაც კი ვერ იპოვიდა. ერთადერთი, ვინც სრული სიმართლე იცოდა, ყოფილი პრეზიდენტები ალიენდე, პინოჩეტი და კოლონიის „ფიურერი“ შაფერი არიან. მაგრამ პირველი დიდი ხანია სამარეშია, მეორე თითქმის გამოთაყვანებულია, მესამე კი გულის გადაშლას არ აპირებს...

გიორგი ზოტოვი

„ვილა ბავარია“ — სანტიაგო-მოსკოვი.

◎ ეროვნული თასი

წილი ნაყარია

გუშინ **საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ახალ ოფისში მოეწყო დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების მეოთხედფინალისტთა კენჭისყრა, რომელმაც მეტოქენი ასე დააწყვილა:**

„ამერი“ — „კოლხეთი“, „სიონი“ — „ბორჯომი“, „ვიტ ჯორჯია“ — „ლოკომოტივი“, „ზესტაფონი“ — „დინამო“.

აღნიშნული ეტაპის მატჩები გაისად 18 თებერვალსა და 8 მარტს გაიმართება.

◎ ფეხბურთი

მსოფლიო ფეხბურთი

უეფას **თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპი. IV ტური.**

„ე“ ჯგუფი. „ცრვენა ზვეზდა“ — „რომა- 3:1, „ბაზელი“ — „ტრომსიო“ 4:3. ისვენებდა „სტრასბური“.

„სტრასბური“ — 7, „ბაზელი“ — 6, „რომა“ — 4, „ცრვენა ზვეზდა“, „ტრომსიო“ — 3-3 ქულა.

„ვ“ ჯგუფი. „ლევსკი“ — „მარსელი“ 1:0, „დინამო“ — ცსკა (მოსკოვი) 1:0. ისვენებდა „ჰერენვეენი“.

„მარსელი“, „ლევსკი“ — 6-6, ცსკა (მოსკოვი), „დინამო“ — 4-4, „ჰერენვეენი“ — 2 ქულა.

„ზ“ ჯგუფი. „რენი“ — „შახტიორი“ 0:1, „რაპიდი“ — პაოკი 1:0. ისვენებდა „შტუტგარტი“.

„შახტიორი“, „რაპიდი“ — 9-9, „შტუტგარტი“ — 6, პაოკი, „რენი“ — 0-0 ქულა.

„თ“ ჯგუფი. „სევილია“ — „სეტუბალი“ 3:1, „ბეშიქთაში“ — „ზენიტი“ 1:1. ისვენებდა „ბოლტონი“.

„ზენიტი“ — 7, „სევილია“ — 6, „ბოლტონი“ — 5, „ბეშიქთაში“ — 2, „სეტუბალი“ — 1 ქულა.

◎ ჭადრაკი

ავსტრალიურ-ინდური ბარიერიც გადალახეს

გრძელდება **მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო თასის გათამაშება ილუმჟინოვისეული „ნოკაუტ-სისტემით“. უკვე გაუწყეთ, რომ პირველ წრეში ბრძოლას გამოეთიშნენ ზურაბ აზმაიფარაშვილი და ზვიად იზორია. მეორე წრის პირველ შეხვედრაში ბაადურ ჯობავამ ავსტრალიელ გარი ლეინს სძლია, მეორე ხელში მეტოქეს დაუზავდა და თასის გათამაშების მესამე წრეში გავიდა. აქ მისი მეტოქე იქნება ინდოელ კრიშნან შაშირანსა და რუს სერგეი რუბლევსკის შორის გამარჯვებული. მათი ძირითადი პარტიები ყაიმით დასრულდა. უძლიერესი გუშინ გვიან დამთავრებულ ტაი-ბრეიქებს უნდა გამოევლინა.**

დამატებით ორთაბრძოლამდე მიიყვანა საქმე ლევან ფანცულაიამაც. ქართველი დიდოსტატი ორჯერ დაუზავდა ინდოელ სურია შექარ განგელის. მესამე წრეში გამსვლელის ბედი 15-წუთიან პარტიებს უნდა გაერკვია. 1,5:0,5 გაიმარჯვა ფანცულაიამ და ისიც მომდევნო ეტაპზე გავიდა.

თამუნა ტაბატაძე

◎ ეს საინტერესოა

გულშემატკივარიც ამას ჰქვია!

41 წლის **ენდი ბუკერი ერთი უბრალო ინგლისელი მეშახტეა, მაგრამ კრივის სამყაროში დიდი სახელი აქვს, როგორც მსოფლიოს ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონ მაიკ ტაისონის უპირველეს ქომაგს. ტაისონი და ბუკერი, რომელიც ინგლისში სოფელ ასკერნში ცხოვრობს, პირველად ერთმანეთს 1984 წელს შეხვდნენ და დიდად დამეგობრდნენ. ამის შემდეგ ბუკერი ყოველთვის ესწრება ტაისონის მატჩებს, სადაც უნდა იმართებოდეს ისინი. „მაიკი ძალზე ზრუნავს ჩემზე, ყოველთვის იხდის სასტუმროს ფულს და მეხმარება“. ამას წინათ**

განთქმული მოკრივე გულშემატკივარს სოფელში ეწვია.

ბუკერმა დიდად შეაქო თავისი კერპი, რომელსაც შესანიშნავი ადამიანი უწოდა: „მას 6 შვილი ჰყავს, თითოეულს 5 მილიონი დოლარი დაუტოვა“.

ბოიკოტი — არჩევნების გაყალბებისთვის

როგორც **პოლიტიკური მიმომხილველები მიიჩნევენ, გამოჩენილ ფეხბურთელ ჯორჯ ვეას გამარჯვებას ლიბერიის პრეზიდენტის პოსტისთვის გამართულ არჩევნებში თითქმის არაფერი უკლდა, მაგრამ...**

არჩევნები ტოტალურად გაყალბდა და ვეა დამარცხებულად გამოცხადდა. ამის საპასუხოდ 18 დეპუტატი ლიბერიის საკანონმდებლო ორგანოდან ქვეყნის პარლამენტის სხდომებს ბოიკოტს უცხადებს.

◎ რაგბი

„ლოკომოტივი“ ვერც „ხულიგანამ“ დაამუხრუჭა

საქართველოს **მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება — კიდევ ორი მატჩი და ახალი ჩემპიონის ვინაობას შევიტყობთ, რადგან შარშანდელი პირველობის გამარჯვებულებმა თავიანთი უფლებამოსილება ვაკეში დათმეს. ქვეყნის ჩემპიონი „ლელო“ ნახევარფინალში ვიცე-ჩემპიონ „აკადემიას“ შეხვდა. ამ ორი გუნდის ორთაბრძოლა, ტრადიციულად, საინტერესოდ და უშეღავათოდ წარიმართა. ანგარიში მე-19 წუთზე ლელოელმა კვირიკაშვილმა საჯარიმო დარტყმით გახსნა, მაგრამ „აკადემიამ“ მალევე ლელოთი და უნაკლო გარდასახვით უპასუხა. პირველი ტაიმიც მინიმალური ანგარიშით (14:13) ვიცე-ჩემპიონებმა მოიგეს.**

შესვენების შემდეგ კვლავ ზუსტი საჯარიმო დარტყმით კვირიკაშვილმა ისევ დაწინაურა თავისი გუნდი — 16:14. ამის შემდეგ უპირატესობას „აკადემია“ დაეუფლა და საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც — 24:19. წინასწარ ფინალში მისი მეტოქე იქნება წლევანდელი ჩემპიონატის დებიუტანტი „ხულიგანა“, რომელიც ნახევარფინალში საქართველოს წლევანდელი თასის მფლობელ „ლოკომოტივთან“ დამარცხდა. რკინიგზელებმა ეროვნულ ჩემპიონატში ზედიზედ მე-9 პაექრობა მოიგეს — 40:5. მთელი მატჩის განმავლობაში თემურ ბენდიაშვილის შეგირდები დომინირებდნენ მოედანზე.



საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე ისინი მშრალი ანგარიშით იგებდნენ შეხვედრას, მაგრამ ჭიჭინაძის ლელომ „ხულიგანას“ ხუთი ქულა მოუტანა.

წინასწარ ფინალში 6 დეკემბერს, როგორც აღვნიშნეთ, „ხულიგანა“ და „აკადემია“ ითამაშებენ, მათ შორის გამარჯვებული კი ხუთი დღის შემდეგ ოქროს მედლებისათვის დიდ ფინალში „ლოკომოტივს“ შეეცილება.

გიორგი გაგუა

◎ კარატე

„რისკის“ ბიჭი კუჭისიდან დაიწურა

ცამეტი **წლის წინათ ჩამოყალიბდა კარატისტთა სპორტული კლუბი „რისკი“, რომელსაც სერგო ქოჩორაშვილი უდგას სათავეში.** გზა, ფაქტობრივად, კუმისიდან და თელეთიდან დაიწყო. თუმცა მაშინ ორი ჯგუფი თბილისშიც გაიხსნა. დღეისთვის კლუბის გეოგრაფია საგრძნობლად გაიზარდა. გამოცდილი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით ოსტატობას იმაღლებენ როგორც მოზარდები, ისე დიდები, რომლებიც ხშირად მონაწილეობენ შეჯიბრებებში. ეს ფოტო ჩვენმა კორესპონდენტმა რობერტ ბაგოიანმა „რისკის“ ერთ-ერთი ჯგუფის ვარჯიშის წინ გადაიღო.

◎ სპორტულ ორბიტაზე

„ბრილიანტის ბურთის“ კანდიდატები

ფეხბურთის **საერთაშორისო ფედერაციამ (ფიფა) დაასახელა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის წოდების სამი კანდიდატი — ლონდონის „ჩელსისა“ და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი ფრენკ ლემპარდი, ესპანური „ბარსელონასა“ და ბრაზილიის ნაკრების შემტევი ნახევარმცველი რონალდინიუ და „ბარსელონასა“ და კამერუნის ნაკრების თავდამსხმელი სამუელ ეტოო. მათგან საუკეთესოს შეარჩევენ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელებისა და კაპიტნების გამოკითხვის შედეგების მიხედვით.**

როგორც უკვე გაცნობეთ, 28 ნოემბერს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად უკვე აღიარეს რონალდინიუ. მეორე ადგილი კი ფრენკ ლემპარდმა დაიკავა.

ალბათ გახსოვთ, რომ რონალდინიუ შარშანდელი შედეგების მიხედვით აღიარეს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად. ახლა თუ ეს ტიტული ლემპარდმა დაისაკუთრა, მაშინ ის იქნება პირველი ინგლისელი ფეხბურთელი, ვისაც ასეთი დიდი აღიარება არგუნეს. ხოლო თუ პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელად კამერუნელს მიიჩნევენ, მაშინ ის იქნება ამ საპატიო ტიტულის მფლობელი მეორე აფრიკელი ჯორჯ ვეას შემდეგ. „ჩელსის“ ყოფილმა მოთამაშემ ეს წოდება 1995 წელს მოიპოვა.

მარადონას შვილი უჩივის

„მამებისა და შვილების“ **დაპირისპირების ძველთაძველმა პრობლემამ მოულოდნელად არგენტინელი სუპერ ფეხბურთელის დიეგო მარადონასა და მისი ნაშიერის ურთიერთობაში იჩინა თავი.**

დიეგო არმანდო მარადონა-უმცროსმა თავის სახელოვან მამას სასამართლოში უჩივლა „მშობლის მოვალეობის შეუსრულებლობისთვის, მორალური ზიანის მიყენებისა და შეურაცხმყოფელი გამონათქვამებისთვის“.

ნეაპოლელ კრისტიანა სინაგრასთან ქორწინების გარეშე კავშირის შედეგად მარადონა-უმცროსი 1986 წელს დაიბადა, მაგრამ ქალთან გაფორმებული კონტრაქტის მიუხედავად, დიეგოს ვაჟიშვილზე მამობრივი მზრუნველობა არ გამოუჩენია.

დღეს კონტრაქტს გადასცემენ სასამართლოს, რომელმაც უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება ამ სკანდალურ საქმეზე.

ტურინში გამარჯვებისთვის

2006 წლის **ტურინის ზამთრის ოლიმპიადაზე ოქროს მედლის მოპოვებისთვის ყოველ რუსეთელ სპორტსმენს რუსეთის იუველირთა გილდია გადასცემს სერტიფიცირებულ ბრილიანტს, რომელიც დაახლოებით ათასი დოლარი ეღირება.**

* * *

გუშინ **უკვე გაცნობეთ ტურინში ოლიმპიურ თამაშებზე გამარჯვებულთათვის შექმნილი მედლების თავისებურების შესახებ. ახლა დავამატებთ: შუაში გაკეთებული ნახვრეტის მიუხედავად 120 მმ დიამეტრისა და 20 მმ სისქის თითოეული მედალი იწონის 450 გრამს. მათ დამზადებაზე დაიხარჯა 873 კგ ძვირფასი ლითონი — 2 კილოგრამი ოქრო, 167 კილოგრამი ვერცხლი და 704 კილოგრამი ბრინჯაო. ოლიმპიური ჩემპიონის მედალი დამზადებულია ვერცხლიდან და მოოქროვილია 6 გრამი ოქროთი.**

სურათზე: ახალი სტადიონი ტურინში, სადაც 10 თებერვალს გაიმართება 2006 წლის ოლიმპიური თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონია.

რონალდოს ახალი რაისა

სულ **ცოტა ხნის წინათ მადრიდის სამეფო კლუბის „რეალის“ ბრაზილიელი ფეხბურთელი რონალდო ყოფილ სატრფოს დანიელა ჩიკარელის მისტიროდა, თუმცა „ჩუმჩუმად“ სხვა ლამაზმანებშიც დაძვრებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, უკან დარჩა რაისა ოლივიერაც და ბრენდა კოსტაც. სახელოვან ფეხბურთელს უკვე ახალი სატრფო ჰყავს — თუმცა მასაც რაისა ჰქვია, ისიც მოდელია და 21 წლისაა. ის ბრაზილიელია, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს.**

როგორც თავად რაისამ ბრაზილიელ ჟურნალისტებს განუცხადა, დასაფარი არაა, რომ მათ ერთმანეთი უყვართ.

იმასაც ამბობენ, რომ საშობაო არდადეგებს ფეხბურთელი სამშობლოში — ბრაზილიაში გაატარებს თავის ახალ „გულის ვარდთან“ ერთად.

უძღვება გურამ ვაშაკიძე

გამოშვება მეხუთე

დაფაზე — ულამობელი სიმართლე

ყმაწვილთათვის და არამარტო მათთვის

საჭადრაკო კულტურა კაცობრიობის ერთი უდიდესი მონაპოვარია.

ვოლტერი

ორას ორმოცდაათ წელზე მეტი ხნის წინ ფრანგმა მოჭადრაკემ და თეორეტიკოსმა ფილიდორმა საქვეყნოდ გამოაცხადა: „პაიკი ჭადრაკის სულია“. ყველა გაოცდა: ეგ როგორ? ჭადრაკის დაფაზე მეტოქეები ერთმანეთს ფიგურებასაც კი სწირავენ იმისთვის, რომ გადამწყვეტი უპირატესობა მიიღონ, ამ ვიღაც მუსიკოსის გარდა კი სხვას ვის ახსოვს პაიკი, რომელიც, თურმე ნუ იტყვით და, ჭადრაკის სული ყოფილა!

ჯერ ერთი, ფილიდორი სრულებითაც არ იყო „ვიღაც მუსიკოსი“ (დავიხსომოთ: უბოდიშოდ ანუ უდიერად ვინმეს მოხსენიება მხოლოდ უკულტურო ადამიანებს სჩვევიათ). გადაშალეთ ნებისმიერი ენციკლოპედია ან სამუსიკო ცნობარი და ნახავთ, რომ ანდრე ფრანსუა ფილიდორი (1726-1795) გამოჩენილი ფრანგი კომპოზიტორი, ფრანგული კომიკური ოპერის ერთ-ერთი ფუძემდებელია. თავადაც შთამომავლობით მუსიკოსთა ოჯახიდან გამოსულმა, ჯერ კიდევ ექვსი წლის ასაკში მუსიკისა და ჭადრაკისადმი საოცარი სწრაფვა გამოამჟღავნა. ვერსალის სამეფო კარის კაპელაში განათლება რომ დაასრულა, ფილიდორი პარიზში ჩამოვიდა და ამ ქალაქის სახელგანთქმულ კაფე „რეჟანსში“ ცნობილ მოჭადრაკე ლეგალს შეგირდად მიებარა. (დე კერმიურ ლეგალი (1702-1792) დიდი ხნის მანძილზე საფრანგეთის უძლიერეს მოჭადრაკედ ითვლებოდა, მაგრამ შემდეგ თავის მოწაფეს, ფილიდორს, დაუთმო პირველობა. მასწავლებელმა კი ჭადრაკში თავისი კვალი „ლეგალის შამათით“ მონათლული კომბინაციით დატოვა, რომლის ცოდნაც მოჭადრაკეს (დამწყებს, მეტადრე) მოეთხოვება, მოულოდნელად ხაფანგში თავი რომ არ გაყოს. ლეგალი — სენბრი, პარიზი, 1787. 1. e4 e5 2. კc4 d6 3. მf3 მc6 4. მc3 კg4 5. მ:e5 კ:d1? უკეთესია, რა თქმა უნდა 5. მ:e5, რაც კომბინაციის უარყოფა იქნებოდა, მაგრამ ლეგალმა, ეტყობა, იცოდა, ვისთანაც თამაშობდა. 6. კ:f7 მფe7 7. მd5X.

ფილიდორი ხანგამოშვებით ცხოვრობდა ნიდერლანდებში, ინგლისში, პრუსიაში, სადაც მუსიკალურ განათლებასაც იმაღლებდა და საჭადრაკო ოსტატობასაც ხვეწდა. 1747 წელს მან თავისი გახმაურებული მატჩი ითამაშა ლონდონში მცხოვრებ არაბ მოჭადრაკე ფილიპ სტამასთან. შეღავათიანი პირობების მიუხედავად (სტამა ყველა პარტიას თეთრებით თამაშობდა, ყაიმი კი მოგებად ეთვლებოდა). 21 წლის ფრანგმა სასტიკად დაამარცხა მეტოქე — 8:2 (8, -1=1). თუმცა ფილიდორი ფორას მარტო სტამას კი არა, მაშინდელი ევროპის სხვა წამყვან მოჭადრაკეებსაც აძლევდა.

1749 წელს 23 წლის მაესტრომ ლონდონში გამოაქვეყნა წიგნი „ჭადრაკის თამაშის ანალიზი“, რომელიც მაშინვე ითარგმნა ევროპულ ენებზე და სწრაფად გავრცელდა. წიგნის პოპულარობაზე მეტყველებს ის, რომ დღემდე ბარე ასჯერ გამოიცა. სწორედ აქ გაიჟღერა ფილიდორის მოსაზრებამ პაიკის შესახებ: „ჩემი განზრახვაა პუბლიკას სიახლე შევთავაზო. მხედველობაში მაქვს პაიკების თამაში. ისინი ჭადრაკის სულს წარმოადგენენ, მხოლოდ მათ ხელეწიფებათ შეტევაც და თავდაცვაც. მათი განლაგება პარტიის ბედს წყვეტს“.

და მართლაც, საჭადრაკო გვარდიის ეს რიგითი მეომრები პირველები ებმებიან ბრძოლაში და მის ყველა სტადიაზე გამორჩეულად ირჯებიან. პარტიის დასაწყისში (დებიუტი) და შუა თამაშში (მიტელშპილი) იფარავენ საკუთარ მეფეს და სხვა ფიგურებს, შეტევის დროს კი ავიწროებენ მეტოქეს და „სხვის ტერიტორიებს“ იპყრობენ, არევ-დარევა შეაქვთ მოწინააღმდეგის პოზიციის განლაგებაში. პაიკების მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება პარტიის დასკვნით ნაწილში (ენდშპილი). საშამათო ოპერაციებში მონაწილეობის გარდა, მათ მერვე ჰორიზონტალის არსებობაც „არ ავიწყდებათ“.

ასე, რომ ეს უსახელო მოლაშქრეები დიდ გავლენას ახდენენ ბრძოლის შედეგებზე. თამაშის დროს ისინი ხომ ერთ ადგილზე არ დგანან: ხან წინ მიდიან, ხანაც უკან რჩებიან, და ფრონტის ზურგს ამაგრებენ, ბევრი იღუპება კიდეც. ყოველ პარტიაში დაფაზე პაიკების სხვადასხვაგვარი კონფიგურაცია წარმოიქმნება.

გავეცნოთ პაიკების განლაგების თავისებურებებს:



ამ დიაგრამაზე შავი პაიკები a7 და a6 გაორებულია. ასე ეძახიან ორი ფერის პაიკებს, როცა ისინი ერთ ვერტიკალზეა განლაგებული. მოცემულ შემთხვევაში მათ a5 პაიკი აკავებს. გაორებული პაიკი პოზიციის ნაკლად ითვლება. მარჯვენა ფლანგზე პაიკი h5 მეტოქის ორ პაიკს უკეტავს გზას, ეს იმიტომ, რომ პაიკი g7 ჩამორჩენილია. (ტერმინი განმარტებას არ საჭიროებს). d6 და e6 გადაბმული პაიკებია. ამ შავ პაიკებს ერთმანეთის დახმარება შეუძლიათ. ოთხივე თეთრი პაიკი იზოლირებულია. ასე იმიტომ ჰქვია, რომ მეზობელი პაიკები არ ჰყავთ.

როდესაც ქვეითებს შეტევაზე აგზავნით, ყურადღება მიაქციეთ მათი განლაგების ღირსება-ნაკლოვანებებს. ეცადეთ მიიღოთ გამსვლელი პაიკი, მაგრამ მოწინააღმდეგეს ამის საშუალებას ნუ მისცემთ. მოერიდეთ თქვენი პაიკების ჯაჭვის დასუსტებას, იზოლირებული ან ჩამორჩენილი პაიკების წარმოქმნას.

ამ დიაგრამიდან, რომელსაც ჭადრაკის თამაშის სახელმძღვანელოებში ხშირად შეხვდებით, კარგად ჩანს, ამ უჩინო არსებებს რა თავგანწირვის ფასად უჯდებათ „მაღალ საზოგადოებაში“ შესვლა, ანუ ლაზიერად გარდაქმნა. ამ ტიპიური მაგალითის გაცნობა პრაქტიკული თამაშის დროს გამოგადგებათ.



1. b6 cb (1. ... ab 2. c6 bc 3. a6) 2. a6 ba 3. c6 და პაიკის „გადედოფლობას“ წინ არაფერი უდგას.

ზემოთ პაიკების ჯაჭვი ვახსენეთ. ასე ჰქვია ერთი ფერის პაიკებს, რომლებიც დიაგონალზეა გაჭიმული და ერთმანეთს იცავენ. მოძრავი პაიკების ჯაჭვი მასზე ეფექტური შეტევის საშუალებაა. პოზიციური შეტევის შედეგად აი, როგორ გაწყდა ჯაჭვის ერთი რგოლი ნ. კმოხი — ა. ნიმცოვიჩის (ნინდორფი, 1927) შეხვედრაში, რომელსაც თეთრების სრული კატასტროფა მოჰყვა.



50. ... ეb4 51. cb (იძულებითია. სხვანაირად 51. ... ეa4 და ა.შ.) a4 52. b5+ მფ:b5 53. კa3 c3 54. ეb1 მფc4 55. f4 მფ:d4 56. მფf2 მფc4 57. მფe1 d4

რა შეაკავებს პაიკების ამ ნიაღვარს! თეთრები დანებდნენ.

ცნობილია, რომ გამსვლელ პაიკებზე, ან მათზე, გამსვლელებად რომ შეიძლება იქცნენ, მუდმივად ფხიზლად თვალის მიდევნებაა საჭირო, რეიმ (თეთრები) ი. ზაიცევთან შეხვედრაში (სოჭი, 1976) ეს წესი დაივიწყა და დაისაჯა კიდეც.



შავებმა ითამაშეს. 1. ... h4 2. gh კb4! 3. e6

ან 3. კ:b4 g3 4. e6 gf! 5. e7 f1ლ 6. e8ლ ლg2+! 7. მფh6 f2 და დაფაზე მეორე შავი ლაზიერიც გამოჩნდება.

3. ... g3 4. e7 კ:e7 5. fg კb4! 6. კf2 კc5 7. კe1 f2 8. კ:f2 კ:f2

თეთრები დანებდნენ.

ხდება, როცა ბოლო ჰორიზონტალისკენ რამდენიმე პაიკი მიიჩქარის. ასეთ შემთხვევაში შემტევი მხარე, პაიკების ფალანგა რომ შექმნას, არანაირ მსხვერპლს არ ერიდება. 1975 წელს, სსრკ პირველობაზე უმაღლეს სასწავლებლებს შორის პაიკების საოცარი გარღვევა განახორციელა ჩუმაკმა (შავებით) ჩერემისთან შეხვედრაში.

შავი პაიკები ლაზიერის ფრთაზე ძალიან წინ წავიდნენ. ეს კი სახიფათოა.

1. .... cb! 2. ე:c6 ba 3. მd2 მc5 4. ე:a6 მ:a6 5. მb3 მc5 6. მ:c5 კ:c5 7. კf1 b3 8. კc4 ლd4!!

იმდენად ძლიერია შავების გამსვლელი პაიკები, რომ ლაზიერიც კი აღარაფრად მიაჩნიათ.

9. ... კ:b3 a1ლ 10. ე:a1 ლ:a1+ 11. მფg2 ეb8 12. კ:h6 კ:f2 13. კf4 ლg1+ 14. მფh3 ე:b3 15. ლg5 ეg3+! თეთრები დანებდნენ.

ამის შემდეგ კიდევ იტყვით, რომ პაიკები ჭადრაკის სული არ არის?!

შევკრათ წრე და კვლავ ფილიდორს მივუბრუნდეთ. მისი შემოქმედების სიმწიფის პერიოდის პარტიები არ შემონახულა. შემორჩენილია 70-მდე პარტია, რომელიც ფილიდორის ცხოვრების ბოლო პერიოდს ეკუთვნის.

გთავაზობთ ერთდროული თამაშის სეანსში ბრიელთან მისი შეხვედრის ფინალს.(ლონდონი, 1783). მართალია, მაესტრო სამ მოჭადრაკეს ეთამაშება, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ: შავებით და თანაც დაფაზე დაუხედავად!



38. ... მf4 39. კ:f4 ეf3 40. მფg2 ე:f4 41. ე:d5 ეf3 42. ეd8 ეd3 43. d5 f4 44. d6 ეd2 45. მფf1 მფf7 46. h5 e3 47. h6 f3

თეთრები დანებდნენ.

◎ ჩვენი კალენდარი

დაბადების დღეს გილოცავთ, ქალბატონო ნინო!

ნინო გურიელის სახელთან ჭადრაკის მოყვარულებს სათუთი და სასიამოვნო მოგონებები აკავშირებს. ზოგს, ალბათ, ის ახსოვს, რომ ოცდათორმეტი წლის წინ ერთდროული თამაშის სეანსში ნონა გაფრინდაშვილი რვა უძლიერეს მოჭადრაკე გოგონას რომ შეხვდა. მათ შორის ნინო გურიელიც იყო. თორმეტი წლის მოსწავლემ ნონასთან წააგო, თვალებზე ცრემლი მოერია, მაგრამ გული არ გაიტეხა. იქვე, ტელემაყურებლებს შეპირდა, რომ მომავალში (სეანსის ტრანსლაცია საქართველოს ტელევიზიით მიმდინარეობდა) თამაშის კლასს აიმაღლებდა და უფრო უკეთ ითამაშებდა.

ჭადრაკის მოყვარულები იმასაც უთუოდ გაიხსენებენ, რა ჩქარა დადგა „უფრო უკეთ თამაშის დრო“. სამი წლის შემდეგ საბჭოთა კავშირის პირველობაზე 15 წლის ნინომ ზედიზედ დაამარცხა ნინა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია და ირინა ლევიტინა, ანუ მაშინდელი საბჭოთა კავშირის უძლეველი ოლიმპიური ნაკრები.

იუბილარის სხვა ქომაგები კი დიდებული მოჭადრაკის სხვა სპორტულ მიღწევებს გაიხსენებენ, რომელიც ცოტა როდია საერთაშორისო დიდოსტატის შემოქმედებით ბიოგრაფიაში.

ნინო გურიელი მრავალი რესპუბლიკური, საკავშირო თუ საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულია. ნატიფი, მახვილგონივრული შეწირვები, მოულოდნელი ტაქტიკური გართულებები, დაბოლოს, მისი მთავარი იარაღი — შეტევა, ასეთია ნინო გურულის საჭადრაკო ხელწერა.

დიაგრამაზე შექმნილი მდგომარეობა ნინო გურიელსა და ტატიანა ჩეხოვას პარტიაში (1979, ფრუნზე) შავების 21-ე სვლის შემდეგ შეიქმნა.

ახლა ნახეთ შეტევა ქართველი მოჭადრაკის რა დიდი მეგობარია!

22. მ:f7 ე:f7 23. fe კe8 24. ე:d4 ლb6 25. ეd6 ლc7 26. ეd7! ლb6 27. ეd:f7 მe6+ 28. ე7f2 კf7 29. მფh1 მf4 30. e6 და შავების საქმე განწირულია.

ითამაშეთ ჭადრაკი!

შეგლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს რკინიგზა"

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

2005 წ. "28" 11 № - 535/გ ქ. თბილისი

სამგზავრო საფირმო მატარებლით მგზავრთა გადაყვანაზე სეზონური ტარიფის შემოღების შესახებ.

შპს „საქართველოს რკინიგზის" დირექტორთა საბჭოს 2005 წლის 16 ნოემბრის № 1/82 დადგენილების თანახმად ა/წ 12 დეკემბრიდან 2006 წლის 31 მაისამდე სამგზავრო-საფირმო მატარებელზე სეზონური ტარიფის შემოღების მიზნით

ვბრძანებ:

2005 წლის 12 დეკემბრიდან 2006 წლის 31 მაისამდე შემოღებული იქნას საფირმო-სამგზავრო მატარებლით მგზავრთა გადაყვანის ტარიფი თანდართული ცხრილის მიხედვით (ცხრილი № 4).

გენერალური დირექტორი ი. ეზუბბაია

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ :

შპს „საქართველოს რკინიგზის"

კორპორაციული მართვის დირექტორი ნ. აბუაშვილი

2005 წლის „ " №————



განმარტება: 12 დეკემბრიდან 31 მაისამდე თბილისი-ბათუმის საფირმო-სამგზავრო მატარებლით მგზავრობის ფასი შეადგენს

I კლასი – 19,50, II კლასი – 12,50, III კლასი – 7,50

* ტარიფს ემატება მოსაკრებელი 0.50 ლარი

*** ტარიფში გათვალისწინებულია თეთრეულის საფასური 2 ლარი

****ტარიფში გათვალისწინებულია დამატებული ღირებულების გადასახადი

ფილიალ „მგზავრთა გადაყვანის" დირექტორი **თ. ბულია**

საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსი **გ. ბეჟანიშვილი**

◎ ჯანმრთელობა

ინსულტის განკურნვა შეიძლება

შრომისუნარიანობის დაქვეითება, შეშფოთებისა და შიშის გრძნობა, არტერიული წნევისა და პულსის თამაში, მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა, კუნთების შეტოკებანი, მეხსიერების გაუარესება, ხშირი და ძლიერი თავის ტკივილები, მხედველობის დასუსტება — ყველაფერი ეს ნერვული სისტემის დაავადებათა სიმპტომებია.

ეგებ თქვათ — სასიკვდილო ნიშნები ხომ არ არისო და არც კი დაფიქრდეთ იმ შედეგებზე, რომლებიც გაუფრთხილებლობას სდევს და ტანჯვას ჰგვრიან დაავადებულსა და მის ახლობლებს.

ექიმი როცა ვერდიქტს გამოიტანს, ვაითუ ძალიან გვიან იყოს...

რუსეთელმა მეცნიერებმა 300-ზე მეტი გამოკვლევა ჩაატარეს, რათა ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის ისეთ სერიოზულ დაავადებათა მოგერიების ხერხი მოეძებნათ, როგორიცაა გაფანტული სკლეროზი; ასაკობრივი გონებანაკლულობა; პარკინსონის სენი; ალცჰაიმერის სენი; შაკიკი.

ასევე დამტკიცებულია, რომ ეფექტიანი შეიძლება იყოს მკურნალობა თავის ტვინის სისხლძარღვთა ათეროსკლეროზისას და პოსტინსულტური მდგომარეობების დროს.

დაბოლოს, შეიქმნა უნიკალური კომპლექსი „ვიტასინაპტინი", რომელმაც უმალვე მოიპოვა პოპულარობა ევროპასა და რუსეთში. პრეპარატი შეიცავს ნერვული უჯრედებისა და თავის ტვინის სისხლძარღვთა ფუნქციების აღდგენისათვის ხელისშემწყობ კომპონენტებს.

როგორ ვიცხოვროთ დიაბეტით?

ამ დაავადებაში ყველაზე საშინელია არა იმდენად სისხლში შაქრის მაღალი დონე, როგორც ბევრს ჰგონია, რამდენადაც ადამიანის ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის დარღვევის შედეგები.

ბოლო დროს ასეთი სერიოზული ავადმყოფობის პროფილაქტიკაში მიღწეულია დიდი წარმატებები. შესაძლოა, მალე დიაბეტის სრული განკურნების ეფექტიანი ხერხიც მოიძებნოს.

სადღეისოდ, ინსულინის კომპლექსის შემუშავების წყალობით, სენის გართულებებით გატანჯულ მრავალ დიაბეტიკს შეუძლია პრაქტიკულად ნორმალური ცხოვრებით ცხოვრება. ისინი ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რაიმე პრობლემების გარეშე შედიან სიბერეში.

ინსულინის კომპლექსი სისხლში შაქრის დონის ყველაზე მძლავრ რეგულატორად ითვლება დღეისათვის ცნობილ ყველა პრეპარატს შორის. იმისი მთავარი თავისებურება გახლავთ ადამიანის ყველა დაზიანებულ შინაგან ორგანოზე სამკურნალო ზემოქმედება და შრომისუნარიანობის აღდგენა.

კომპლექსი ინსულინი აბსოლუტურად უხიფათოა და დიაბეტის სრულ კომპენსირებასა და კონტროლირებაზე მიმართულ საკურსო მკურნალობაში გამოიყენება.

ძირთიადი მაჩვენებლები:

სისხლში შაქრის დონის კონტროლი და სტაბილიზაცია;

ადამიანის ორგანიზმში შემოსული ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების ათვისება;

მთელი ორგანიზმისათვის დამცველი ბარიერის შექმნა დიაბეტის გართულებებისგან.

მოწევა და სტრესებია დამნაშავე?

ამბობენ, რომ 30 წლის შემდეგ ქალებს ეზრდებათ მიომის განვითარების რისკი. განმარტებით, მიომა არის კუნთოვანი ქსოვილის კეთილთვისებიანი სიმსივნე, რომელიც ხშირად ჩნდება საშვილოსნოში. ის ჰომონებზეა დამოკიდებული და ჰორმონული შეფერხების გამომწვევი სხვადასხვა მდგომარეობის ფონზე წარმოიქმნება ხოლმე. ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ ესტროგენების (საკვერცხეების მიერ გამომუშავებული ქალის სასქესო ჰორმონების) აწეული დონე.

ამიტომაც მიომა იშვიათად აღმოცენდება სქესობრივ მომწიფებამდე და მენოპაუზის შემდეგ, როცა საკვერცხეები ნაკლებ ჰორმონებს გამოიმუშავებენ. ორსულობის დროს მიომის ზრდა შეიძლება დაჩქარდეს — ჰორმონების აწეული დონის გამო. კლიმაქსის შემდეგ კი მიომის კვანძები ეგებ დამოუკიდებლადაც გაქრნენ.

მიომა ნებისმიერ ქალს შეიძლება გაუჩნდეს. სიტუაციას აღრმავებენ სტრესები, მოწევა, აბორტები, არასწორად შერჩეული ჰორმონული თერაპია. შეიძლება მთელი სიცოცხლის ისე გალევაც, რომ არც კი იცოდე მისი ქონა, თუმცა ბევრი უსიამოვნების მოყენებაც შეუძლია: სისხლდენები, ტკივილები, უშვილობა...

MercyCorps

მერსი ქორის საქართველოს წარმომადგენლობა ახორციელებს სათემო განვითარების პროექტებს ქვემო ქართლში, რომელიც ფინანსირდება BTC/SC მიერ.

ამჟამად მერსი ქორი გეგმავს ქ. რუსთავში მე-19 მიკრორაიონში საცხოვრებელ კორპუსებთან გზის რეაბილიტაციას, კერძოდ ასფალტის დაგებას 1 510 კვადრატულ მეტრის ფართობზე.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დოკუმენტაციის მისაღებად და ადგილის დასათვალიერებლად უნდა დაუკავშირდნენ მერსი ქორის თბილისის ოფისს შემდეგ ტელეფონებზე არა უგვიანეს **2005 წლის 8 დეკემბრისა (17:00)**

ტელ: 25-24-71; 25-24-72; 25-24-73. მობ: 899 33-05-53

საკონტაქტო პირი: მიხეილ სარალიშვილი უფროსი შესყიდვების ოფისერი.

მოთხოვნა: ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს შესაბამისი ლიცენზია.

სააქციო საზოგადოება „ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატი" 2006 წლის 17 იანვარს ატარებს აქციონერთა საერთო კრებას. ზუგდიდის რაიონი, სოფ. ინგირში

დღის წესრიგი:

1. სააქციო საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

2. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის არჩევნები.

სააქციო საზოგადოების წევრების დასწრება სავალდებულოა.

◎ ჩვენებურები

გულო, ჩადექ საგულესა!

როგორ იხსნა ცნობილმა დასტაქარმა ანზორ ხუბუტიამ ერთი დაღუპულით ოთხი სიცოცხლე

ეს უნიკალური ოპერაცია მოსკოვში ჩატარდა: ავტოკატასტროფაში დაღუპული ადამიანის გული ერთ პაციენტს გადაუნერგეს, რომელიც თითქმის უიმედო მდგომარეობაში იყო, ამავე დაღუპულის ღვიძლი — მეორე ავადმყოფს, რომელსაც ღვიძლის ცეროზი ჰქონდა, ხოლო თითო-თითო თირკმლით კიდევ ორ ავადმყოფს შეუნარჩუნეს სიცოცხლე. ასე რომ, ერთი დაღუპულით ოთხი სიცოცხლე იხსნეს. ამ უპრეცედენტო შემთხვევასთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ გულის გადანერგვა რუსეთში პირველად მოხდა. ეს ურთულესი ოპერაცია მსოფლიოში აღიარებულ კლინიკაში რომ არ ჩატარებულიყო, ადვილი შესაძლებელია, ესოდენ დიდი ეფექტი არ ჰქონოდა, ანუ ოთხივე ოპერაცია წარმატებულადაც ვერანაირად ვერ დამთავრდებოდა. ეს ის „ტრანსპლანტაციისა და ხელოვნურ ორგანოთა ინსტიტუტია“ მოსკოვში, სადაც ანზორ ხუბუტიას აკადემიკოს ვალერი შუმაკოვის მარჯვენად მიიჩნევენ და სავსებით სამართლიანადაც. იგი იქ ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მივიდა და, აგერ უკვე 32 წელია, დიდი წარმატებით მოღვაწეობს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ესოდენ რთული ოპერაცია, ანუ გულის გადანერგვა რუსეთის სინამდვილეში პირველად მოხდა და „კლინიკური სურათი“, ოთხივე პაციენტის მძიმე დიაგნოზის გამო, არცთუ ისე საიმედო იყო, რადგან გადანერგილი გულით პაციენტი ერთი კვირა ხელოვნური პარკუჭით ჰყავდათ. მისი სიცოცხლე „ბეწვზე ეკიდა“. ამ რისკის საშუალებას კი მხოლოდ ამ კლინიკის პირობები იძლევა, ანუ ის, რომ ხელოვნური პარკუჭით ავადმყოფი რეანიმაციაში ჰყავდეთ, მხოლოდ ამ კლინიკის პირობებშია შესაძლებელი.

გადანერგილი გული მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ ჩაირთო და პაციენტის გადარჩენაც უკვე ფაქტი იყო... ცხადია, არც სხვა პაციენტებისთვის ყოფილა იოლი და მარტივი ორგანოთა გადანერგვა, მაგრამ მაინც გულზე ვარჩიე საუბარი, რადგან როცა გულზე წერ, კალამი ემოციურად გაგირბის, გულით უნდა მოუთხრო მკითხველს მომხდარი, მთელი გულისყურით ცდილობ, მაგრამ მაინც ისე ვერ აგიძეერდება გული, როგორც იმ კარდიოქირურგს, რომელიც ოპერაციაზე შედის.

აი, რას ამბობს ჩვენი ღირსეული თანამემამულე, პროფესორი, რუსეთის ფედერაციის დამსახურებული ექიმი. მთავრობის პრემიის ლაურეატი, ხელოვნურ ორგანოთა და ტრანსპლანტაციის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო-კლინიკურ მუშაობის დარგში ანზორ ხუბუტია:

— უპირველესად უნდა გეჯერდეს საკუთარი თავისა და სიკვდილზე გამარჯვებისა. თუ დარწმუნებული არა ხარ, სხვაგვარად უფლება არა გაქვს, შეხვიდე საოპერაციოში. მოირგო საოპერაციო ხელთათმანები და სკალპელი აიღო... სხვის სიცოცხლეზე ექსპერიმენტების უფლებას არც საკუთარი სინდისი მოგცემს, არც პროფესიული პასუხისმგებლობა და არც ის პატარა სამლოცველო, ინსტიტუტის შემოსასვლელში რომ შემოგეგებათ... ექიმობა სულიერი მდგომარეობაა, შინაგანი მოწოდებაა. თუ მოწოდებით ექიმი არა ხარ, შეუძლებელია სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლის ასპარეზზე რაიმე ღირებულება შექმნა.

როგორც ბატონ ანზორ ხუბუტიასთან საუბარში იკვეთება, საკუთარ თავში დარწმუნებამდე მძიმე გზაა გასავლელი, ესაა როგორც პრაქტიკული, ისე სამეცნიერო-აკადემიური მუშაობა, მორიგეობის მძიმე უძილო ღამეები, ცოცხალ მაგალითებზე აგებული დისერტაციები, უამრავი რთული ოპერაციის შედეგად საკუთარი ავტორობით შექმნილი სამედიცინო სახელმძღვანელოები, რომლებიც დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წაროადგენდნენ. მაგალითისთვის მხოლოდ ერთი-ორს დავასახელებ: „გადანერგილი გულის კორონალური დაავადებები“, „გადანერგილი გულის მიუღებლობა, უარყოფა“ და სხვა.

მედიცინაში პრაქტიკულ და სამეცნიერო დარგში ავტორიტეტულ პიროვნებებს ხშირად უხდებათ სხვათა დისერტაციებზე ოპონირება, რაც არანაკლებ სერიოზული და საპასუხისმგებლო სამუშაოა. და კიდევ ბატონ ანზორ ხუბუტიას ხშირად უწევს მსოფლიო სიმპოზიუმებსა და საერთაშორისო სამეცნიერო თავყრილობებზე უცხოელი კოლეგების წინაშე ლექციების წაკითხვა და თვალსაჩინოებისათვის იმ სურათის დახატვა, რა მდგომარეობაა დღეს რუსეთში ორგანოთა გადანერგვის დარგში. ბატონ ანზორ ხუბუტიას თავისი მოღვაწეობის უდიდეს ფუნქციად მიაჩნია სტუდენტი ახალგაზრდობის და ახალგაზრდა მედიკების პროფესიული დაოსტატება, მათთან ლექცია-საუბრების ჩატარება.

ანზორ ხუბუტიას მეუღლეც, ქალბატონი ზოია მედიკოსია, მოსკოვში ერთ-ერთი დიდი რაიონის ბავშვთა პოლიკლინიკის მთავარი ექიმი. მათ ორი ქალიშვილი და ოთხი შვილიშვილი ჰყავთ, მაგრამ არც ერთი მათგანისთვის არ დაუძალებიათ, პროფესიად სამედიცინო დარგი აერჩიათ. მათი ღრმა რწმენით, სწავლის პროცესიც და შრომის პროცესიც საკმაოდ რთულია. თუ ამ რთულ გზას საკუთარი ნებით არ „შეუდექი“, ძნელია მისი დაძლევა.

ბატონი ანზორი სასტიკი წინააღმდეგია საქართველოში ესოდენ მომრავლებული ფასიანი სამედიცინო სასწავლებლებისა და კოლეჯებისა, რომელთა უმრავლესობაც სტუდენტ ახალგაზრდობას ვერ აძლევს კვალიფიციურ შესაბამის განათლებას. ამის თქმის უფლებას მას არაერთი სავალალო მაგალითი აძლევს. მასთან ორდინატურაში სამუშაოდ (რომელიც დღეს უკვე ფასიანია) არაერთი კურსდამთავრებული მოუყვანიათ, რომელმაც მის მიერ დასმულ ელემენტარულ შეკითხვაზეც ვერ გასცა პასუხი. ის კი არა, კედელზე ჩამოკიდებულ საჩვენებელ გულის გამომხატველ ტრაფარეტზე აორტაც ვერ მონიშნა...

ცნობილი დასტაქრის ოცნებაა, თავის მშობლიურ ქვეყანაში, საქართველოში, სადაც ბევრი ნიჭიერი ექიმი და ღირსეული კოლეგა ეგულება, კლინიკები აღჭურვილი იყოს იმ საჭირო თანამედროვე სამედიცინო მედტექნიკითა და უახლესი აპარატურით, რომლებიც აუცილებელია რთული ოპერაციების წარმატებით ჩასატარებლად. ქართველი დასტაქრები და მკურალები თავიანთი ნიჭიერებითა და მაღალპროფესიული ცოდნით არაერთგზის წარმოჩენილან მსოფლიო ასპარეზზე ამა თუ იმ სიმპოზიუმსა თუ საერთაშორისო შეხვედრებზე. — ღრმად ვარ დარწმუნებული, — ამბობს პროფესორი ანზორ ხუბუტია, — ჩვენი ახალგაზრდა მედიკოსები ღირსეულად გააგრძელებენ დიდი კორიფეების გზას, რომლებიც ქართული მედიცინის, და არა მარტო ქართული მედიცინის, თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ და არიან, და დღესაც მათ მემკვიდრედ მიიჩნევს თავს.

ეს კი უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს. თუ არა თავდაუზოგავი შრომა, ღრმა აკადემიური განათლება და ყოველდღიური ინფორმაცია, თუ რა ხდება დღეს მსოფლიო მედიცინაში, ავადმყოფისადმი ღვთისნიერი დამოკიდებულება (ეს არის მისი კრედო), რუსეთის სინამდვილეში თავს ვერც გამოიჩენ და ვერც დაიმკვიდრებ.

და ბოლოს, იგი მეუბნება ჩვენთვის ცნობილ ფრაზას, იცინის და მადლიერია, რომ მოსკოვში მოვინახულეთ. ეს ფრაზა გახლავთ — „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“.

მე კი, ჩემი მხრივ, ერთსღა დავსძენდი: სანამ ასეთი ხელმადლიანი და ღვთის მიერ დაჯილდოებული ნიჭიერებით გამორჩეული დასტაქრები არსებობენ და იღვწიან, მომავალს იმედიანად შეიძლება ვუცქიროთ.

ასე რომ, გულო, ჩადექ საგულესა!..

დოდო იორდანიშვილი,
„სრ“ სპეც. კორ.

◎ ღვაწლი

დოცენტი ნანული არევაძე იუბილარია

დაბადებიდან 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის 45 წელი შეუსრულდა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის წამყვან მეცნიერ-თანამშრომელს ნანული არევაძეს.

მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთელი კოლექტივი გულთბილად მიესალმება იუბილარ მეცნიერს, პედაგოგსა და მოქალაქეს და ულოცავს მას ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

შინაარსიანი და ნაყოფიერია ქალბატონ ნანულის განვლილი გზა. მან ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის დროს გამოიჩინა თავი, როგორც წარჩინებულმა სტუდენტმა და სტუდენტური სამეცნიერო ცხოვრების ნიჭიერმა ორგანიზატორმა. ის ინსტიტუტში უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მოვიდა და აქტიურად ჩაება სამეცნიერო-კვლევით და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ამ ხნის მანძილზე მან გამოაქვეყნა 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი (მათ შორის სამი მონოგრაფია), მიძღვნილი არაერთი ეკონომიკური პრობლემისადმი, რომელთაც სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოების ყურადღება მიიქციეს და სათანადო მოწონებაც დაიმსახურეს.

სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად ქალბატონი ნანული ეწევა წარმატებულ პედაგოგიურ მუშაობს — სტუდენტ ახალგაზრდობას ასწავლის წარმოების ეკონომიკისა და მენეჯმენტის სალექციო კურსებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალბატონი ნანულის მოღვაწეობა პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში, სადაც თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერმა მკვლევარმა, ერუდირებულმა, ბუნებით მშვიდმა, ყველასადმი ყურადღებიანმა, უპრეტენზიო და კეთილშობილმა პიროვნებამ. ჩვენთვის დიდად გასახარია, რომ ის დღესაც სრული შემართებითა და ახალგაზრდული ენერგიით აგრძელებს თავის საქმეს.

ერთხელ კიდევ ვულოცავთ ამაგდარ მეცნიერს და პედაგოგს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და ვუსურვებთ შემდგომ ნაყოფიერ საქმიანობას, ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ ბედნიერ სიცოცხლეს.

გ. წერეთელი,
ინსტიტუტის დირექტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

რ. აბესაძე,
ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

შაბათი, 3 დეკემბერი

1

08.00 "მთავარი" **08.15** მომავლის ცირკი **08.55** ანიმ. ფილმი "ზღარბ სონიქის თავგადასავალი" **09.20** საბავშვო სერ. "მერი ქეითი და ეშლი ბრძოლაში" **09.45** საბ. სერიალი "**სკოლის შემდეგ**" **10.00** დოკ.ფ. "მითხარი როგორ" **10.30** სერიალი "**დინოტოპია**" **11.30** დოკ. ფილმი "ჯანსაღი კვების სტილი" **12.00** "მთავარი" **12.20** სპექტაკლი "**დიდოსტატის მარჯვენა**" **15.00** დოკ. ფილმი "ფატალური ყვავილები" **16.00** დოკ. ფილმი "ადგილები, რომლებიც უნდა გვახსოვდეს" **17.00** "ახალი პროექტი" – ეთნიკური უმცირესობები საქართველოში **18.00** "მთავარი" **18.10** მუსიკა - ჯო კოკერი **19.00** სერიალი "**სტუდენტები**" **20.00** "მთავარი" -საინფ. პროგრამა **20.30** ბიოგრაფიული პორტრეტები-ლორა ბუში, კიმ ჩენ ირი. **21.30** ქართ. ფილმი "**რაჭა, ჩემო სიყვარულო**" **23.10** დოკ. ფილმი "სიჩქარე" **23.40** მხ. ფილმი "**სიცოცხლე საჩუქრად**" (U) **1**-ლი ს. **01.10** საინფორმაციო გამოშვება

2

19.00 ტელეზღაპარი **19.15** მულტსერიალი "ჩოგბურთის აკადემია" **19.40** კონცერტი **20.50** კინოსეანსი "**ცეცხლთან თამაში**" **1**-ლი ს.

08.00 კლასიკა **09.00** კურიერი **09.30** "ჯეტიქსი" **11.00** საბავშვო ფილმი **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00** კურიერი **12.20** გაიღიმეთ ფარული კამერაა **12.50** მხ. ფილმი "**ჩერჩილი**" **15.20** მხ. ფილმი "**სერიული მკვლელობები**" (U) **17.00** სერიალი "**ანდრომედა**" **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.20** მხ. ფილმი "**ორნი ზღვასთან**" (U) (ს. ბალოკი) **22.00** შაბათის ღამის შოუ **23.00** "ჯეობარი" **00.00** მხ. ფილმი "**ვედმაკი**" (18) **02.00** კურიერი

09.00, **13.00**, **15.00**, **17.00** ქრონიკა **09.10 12** პლუსი **10.30** უცხო სუნელი **11.00** ჩვენი ეზოს ამბები **11.20** "რაორაო?" **11.30** "დილის ფოსტა" **12.20** "იმედითა შენითა" **12.40**, **16.15** **ტვ-მარკეტი** **13.20** მხ. ფილმი "**დედამ და მამამ სამყარო გადაარჩინეს**" (U) (ტ. ჰარი) **15.15** "დეკო-რაციო" **15.45** დოკ. სერიალი "წყალქვეშა ნავები" **16.30** უცნობი საქართველო **17.10** სერიალი "**მოჯადოება**" **18.00** "ეტალონი" **19.00**, **20.00**, **23.00** ქრონიკა **19.05** სერიალი "**მოჯადოება**" **20.30** "ნაცნობი საქართველო" **21.00** სერიალი "**საპონი**" **22.00** "ალავერდი" **23.30** მხ. ფილმი "**მკვლელის სული**" (15) (ს. ულრიხი) **01.45** მხ. ფილმი "**მიზანში მსროლელი**" (18) (კ. ლამბერტი) **03.25** იმედის მელოდიები

09.00 მუსიკა **09.30** ანიმაცია **11.00** ტელემეტრი (განმ.) **11.30** სერიალი "**კარაბინერები**" **12.30** მხ. ფ."**სხვისი შვილები**" **14.00** მზერა **14.15** მხ. ფ. "**ბიმბოს ტოპი**" **16.00** კონცერტი **16.45** მზერა **17.00** **ფეხბურთი**. **19.00** **ფეხბურთი**. **20.00** მზერა **20.20** მხ. ფილმი **23.00** სერიალი "**კარაბინერები**" **00.00** მხ. ფილმი "**თეატრი**" (18)

10.00 "ტვ-შოპი" **11.00**, **13.00**, **21.00** Style-TV **12.45** მხ. ფილმი "**გაქცევა გულაგიდან**" **19.00**, **20.30**, **00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.30** გადაცემა "საწინდარი" **21.30** მხ. ფ. "**39 საფეხური**" (რობერტ დონატი) **00.30** "ტვ-შოპი"

08.00 "შესანიშნავი შვიდეული" **08.30** "ახალი ამბები" **08.45** მულტფილმი **10.20** "ჭიტა-ჭიტა" **10.35** კომედია "**ფელინდა და ფელინდა**" **12.20** იუმორისტული ნოველები "ვიცინოთ ერთად" **12.40** ფანტასტიკა "**სასიკვდილო გამოწვევა**" **14.30** თეატრი **17.30** "ახალი ამბები" **17.50** ბოევიკი "**რონინი**" **20.00** "შესანიშნავი შვიდეული" **20.30** "ახალი ამბები" **21.00** "ფერისცვალება" **21.20** დრამა "**ელაპარაკე მას**" **00.00** "ახალი ამბები" **00.15** თრილერი "**ველური ილბალი**"

შპს „პრემიერკომპანის“ (რეგისტრაციის № 06/4-976) პარტნიორის გადაწყვეტილებით მიმდინარეობს საზოგადოების ლიკვიდაცია. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ლიკვიდატორს ნიკოლოზ ყანდიაშვილს. მის: **ქ. თბილისი, ქიაჩელის ქ. № 4; ტელ: 999433.**

◎ ნატურიდან

კუკური გაუშვეს... ინგლისში

ციცო როდესაც საძინებელ ოთახში შევიდა, კუკური ისევ ლოგინში იწვა.

— იწექი, იწექი, არ ადგე, ძილი არ დაგაკლდეს, აგერ ტანიასთან გავედი ზეთზე და უცხოეთიდან ქმრის გამოგზავნილი ორი ტკიცინა ასდოლარიანი მიართვეს, აბა!... შენ იწექი და არაფერზე იფიქრო... მალე, შეიძლება, შიმშილით დავიხოცოთ!..

— **კუკურა, რაო, მიტინგზე დაზარალდი?**

— **არა, კაცო, ცოლმა მცემა...**

კუკური გადმობრუნდა.

— რა ვქნა, ქალო, ხომ ხედავ, დღე და ღამე დავწოწიალობ და სამუშაოს ვეძებ.

— მერე! ჭკუა უნდა დაატანო!... შენზე ნაკლები ბიჭია იუზა? ხომ ხედავ, ინგლისში წავიდა სამუშაოდ და იქიდან კვებავს ოჯახს!

— ციცო, ინგლისში, ჯერ ერთი, ვინ გამიშვებს ან ვისთან წავიდე, თანაც, მშენებლობაზე ვიყო მუშად ეკონომისტი კაცი?!

— ეკონომისტი, თორემ შენც კახა ბენდუქიძე მყავხარ! როცა გიჭირს, ყველაფერს უნდა ეცადო... როდის იყო შრომა საჩოთირო?

— კი მაგრამ, შენ ვაჟიშვილს ლეოს რატომ არ თხოვ, სადმე იმუშაოს, მიდგეს-მოდგეს. მე რომ მაგხელა ვიყავი, შვეიცარად ვმუშაობდი სასტუმროში.

— რაღა დროს შვეიცარობაა? არცკი იცი, სასტუმროს კარი, მიუახლოვდები თუ არა, ავტომატურად რომ იღება?

— აბა, რომ მეუბნები, უცხოეთში წადიო, ნინიას ბაღი ხომ არ გგონია ინგლისი? როგორ უნდა წავიდე? მაგას ხლაფორთი უნდა, ვიზა, იქიდან მოწვევა. ამასთან ვინც მიგიწვევს, თუ ავად გავხდები, ავადმყოფობის ფული უნდა გადამიხადოს, ბინის ქირა და ასე შემდეგ...

— კაცო, იუზასთან დავრეკავ, მე ვთხოვ ტანიას, გამოგიგზავნის ვიზას, თან იმ პირობებით, რაც საელჩოში სჭირდებათ.

— კი მაგრამ, ამ დარეკვას ხომ უნდა ფული.

— მაგის ფულს მე ვიშოვი!

— ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მგზავრობის ფული ხომ მინდა?

— გავყიდოთ შენი საწოლი, მამაშენის დანატოვარი ძველებური საწერი მაგიდა და გზის ფულად გეყოფა.

— კი მაგრამ, ეს საწოლი რომ გავყიდოთ, მერე სად დავწვე?

— აგერ არ არის ტახტი?

— ამ ტახტზე ხომ დამემტვრა ნეკნები.

— არაფერი მოგივა, ჯანმრთელი ხარ, შენ იღლიას თერმომეტრი არ უნახავს.

— შენ რა გგონია, ასე ადვილია ვიზის გამოგზავნა და ჩემი იქ წასვლა?

ბოლოს და ბოლოს ციცომ თავისი გაიტანა, მერე ქმარი მაგიდასთან დასვა და დარიგებები დაუწყო.

— ახლა იცოდე, თამბაქოს მოწევას თავი უნდა დაანებო! ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სიგარეტი ძალიან ძვირია. ამავე დროს წვერი უნდა მოუშვა, ზედმეტი ფული რომ არ დაგეხარჯოს პარსვასა და „ოდეკოლონებში“.

— კი მაგრამ, ქალო, შენ მონასტერში მიშვებ თუ ინგლისში? მიფრთხილდები არა? მეტი რომ გამოვაგზავნო ოჯახში!

ორი თვე მოუნდა კუკური, ყველაფერი რომ მოეწესრიგებინა და მოეგვარებინა. ორი თვის თავზე დიდი იმედებითა და სურვილებით გაამგზავრეს დიდ ბრიტანეთში.

— გზა მშვიდობისა, კუკური ბატონო!

გურამ გომართელი

◎ კოლეგები

ჩვენი სტუდიის სტილისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“

საქართველო ერთადერთი ქვეყანაა:

სადაც ძლიერნი ამა ქვეყნისანი იმას კი არ ცდილობენ, ქვეყანას როგორ გამოადგნენ, არამედ ქვეყანა როგორ გამოიყენონ.

სადაც სიმართლეზე უფრო სიცრუე საღდება.

სადაც ადამიანს ფულით და თანამდებობით აფასებენ.

სადაც პატრიოტიზმი ქვეყნის სამსახურს კი არ გულისხმობს, არამედ განწყობის ამაღლების საშუალებაა.

სადაც ღირსეულს ჯერ კლავენ, მერე ადიდებენ.

სადაც ყოველგვარი კონტაქტი კონფლიქტის მიზეზი ხდება.

სადაც შვილი საკუთარი დედის შეგინებით თავს „იწონებს“.

სადაც იმას კი არ ცდილობენ, კანონს როგორ მოერგონ, არამედ კანონი როგორ მოირგონ.

სადაც შიმშილობის აქციებს აღარ აწყობენ, რადგანაც იგი თავისთავად მიმდინარეობს.

სადაც დანაშაულს ყველა სხვაში ამჩნევს და არა საკუთარ თავში.

სადაც უკანონობას კანონების მიღებით ებრძვიან.

სადაც ქურდობა და მექრთამეობა ცხოვრების ნორმაა.

სადაც საპენსიო ასაკი სიკვდილის ტოლფასია.

სადაც ბიზნესს კორუფციით და შავი ფულით ქმნიან.

ალმანზორ თავაძე



— კახა ავტანდილოვიჩ! ია, ტებე დამ სტო მილიონ დოლაროვ, ტოლკო პაგუბი ეკონომიკუ გრუზიი!

— ვოტ ტებე იზ ტრიოხ ადინ პალეც!

ნახატი მალხაზ კუხაშვილისა

◎ გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებიდან

საგურამოში ილიასთან სტუმრად იყვნენ პროფესორი ალ. ხახანაშვილი, არტურ ლაისტი, ნიკო ხიზანიშვილი მეუღლით, მსახიობი ელისაბედ ჩერქეზიშვილი და სხვები. ერთი ჯგუფი სტუმრებისა ილიასთან და მის მეუღლესთან ერთად აივანზე ისხდნენ და საუბრობდნენ.

უცებ ილიამ მიმოიხედა და იქ მყოფთა შორის ზოგიერთი მოისაკლისა.

— ლაისტი სადღაა? — ჰკითხა მან მეუღლეს.

ოლღა სმენადაქვეითებული იყო. მას ეგონა ილია თამბაქოს კითხულობსო და მშვიდად უპასუხა:

— შკაფშია შენახული.

ილიამ არაფერი შეიმჩნია, ადგა და ოთახში შევიდა.

— თვითონვე შეინახა და დაავიწყდა, — ღიმილით გადაულაპარაკა ოლღამ გვერდით მჯდომ ელისაბედ ჩერქეზიშვილს.

* * *

ერთი პოეტი გადაჰკიდებია, თურმე, გალაკტიონს და ყოველი შეხვედრისას ეკითხებოდა:

— მართალი მითხარი, ხომ ვარ ილია ჭავჭავაძე, ხომ ვარ?

რომ აღარ მოეშვა, გალაკტიონმა თავიდან მოსაშორებლად თავი დაუკრა თანხმობის ნიშნად.

— ახლა ის მითხარი, მაინც რა მაკლია ილიამდე?

გალაკტიონმა ვეღარ მოითმინა და შესძახა:

— ტყვია შუბლში!...

* * *

შოტლანდიელი პოეტი რობერტ ბერნსი სანაპიროზე სეირნობის დროს მოწმე გახდა ერთი სოვდაგრის გადარჩენისა, რომელიც მდინარეში ჩავარდნილიყო. **ვიღაც ღარიბმა კაცმა საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო და განწირული ნაპირზე გამოიყვანა. მან კი ჯილდოდ მხოლოდ ერთი გროში გაიმეტა.**

შემთხვევის ადგილას შეგროვილი ხალხი აღშფოთდა სოვდაგრის უმადურობით და მისი უკანვე, წყალში გადაგდება მოინდომა, მაგრამ საქმეში ბერნსი ჩაერია:

— გაუშვით, — თქვა მან, თვითონ უკეთ იცის თავისი ფასი.

დღეს ჩვენი ახალი უფროსის დაბადების დღეა, ეს „სოსკა“ მივუტანოთ!

◎ ანეკდოტები...

აქვითინებულმა ახალგაზრდა ქალმა დედასთან მიირბინა:

— წუხელ ქმარმა მცემა.

— როგორ? ის ხომ გუშინ მივლინებაში წავიდა!

— მეც ასე მეგონა.

* * *

ორი ლოთი ქუჩაში მიდის. **ერთი, რომელმაც მათკენ მომავალი პოლიციელები შენიშნა, მეორეს ეუბნება:**

— აი, ცისფერები გვიახლოვდებიან!

— რა იცი, რომ ცისფერები არიან?

— აბა, ვინ არიან. ნახე, გარშემო რამდენი ლამაზი გოგოა, ესენი კი მაინცადამაინც ჩვენ დაგვეძგერებიან!

* * *

ტიპმა ბარში კათხა ლუდი შეუკვეთა. **იჯდა ათი წუთი. მერე იმ კათხით ტუალეტში შევიდა და ლუდი უნიტაზში ჩააქცია. დაბრუნდა, კვლავ შეუკვეთა კათხა ლუდი, ისევ წავიდა ტუალეტში და უნიტაზში ჩაასხა. დაბრუნებულმა კვლავ იგივე შეუკვეთა.**

— კი, მაგრამ რად შვრებით ამას? — ვერაფერი გაუგია გაკვირვებულ ბარმენს.

— იცით, რა, მომწყინდა შუამავლობა.

* * *

ჩვენი ხალხი იმდენად ღარიბია, **რომ მეტროში ტაქსით არ დადის.**

რუსები ხვდებიან, რომ ცუდი დრო დაუდგათ

მართალია კრემლის ვარსკვლავი ისევ ანათებს, მაგრამ რუსული ინტერესები პოსტ-საბჭოთა სივრცეზე იმ ვარსკვლავს ემსგავსება, დიდი ხნის წინათ რომ ჩაქრა და მხოლოდ მოკლე-მოკლე გამონათებებით გვახსენებს თავს.

მოსკოვში ხვდებიან, რომ უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ესევიან. ივანეზე ეშმაკი კეთილი ბიძია სემი აღმოჩნდა, ახალი, დამოუკიდებელი ქვეყნების სუვერენიტეტს იგი გაცილებით ძვირად აფასებს. ვაჭრობაში მონაწილეობისათვის ვანია ბიძიას მხოლოდ რეპუტაცია შელახული მუშტი აღარ ყოფნის. რუსები ვეღარავის აშინებენ. პირიქით, „ჩვენ შეიძლება მცირე წონის, მაგრამ ის დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ, რომელიც ჩრდილოეთის მზის ორბიტიდან გამოვიდა და იქ მხოლოდ მაშინ შევა, როცა ცალკე კონტინენტად მიგვიჩნევენ, რომელსაც თავისი მზე და თავისი ორბიტა აქვს“, — ამბობდა ზურაბ ჟვანია.

ამ ფონზე რუსეთის იმპერიული ვნებები — „ჩემი ჩემია, შენიც ჩემია“, მცირედ, მაგრამ მაინც ჩამცხრალი ჩანს.

— ბატონო ექიმო, ჯიბე ვერ გიპოვეთ და პატივი როგორ გცეთ?

— რას იკლავ თავს შე კაცო, პირდაპირ ხელში მომეცი!

ნახატი და თემა
დავით თოთიბაძისა

სოფლის თორმეტი საოცრება!

თეთრხელებიანი გლეხი,
ცხენის უნალო ფეხი,
ქალაქს ნაყიდი ძეხვი,
ოქროდ ქცეული ნეხვი!
აოხრებული ზვარი,
ბაღის მაგივრად ნარი,
დაჟანგებული ბარი,
გამოკეტილი კარი.
გაუქმებული ჭური,
სანთლით საძებნი ფური,
ქარხნის ყველი და პური,
გლეხი — ქალაქის მდგმური.

ნიკოლოზ იოსებიძე.

◎ ქველმოქმედება

პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გიწვევთ პრემიერაზე

11 დეკემბერი

ХЭПЧЕПЕ ЭЕРЕДИ

რეკვიემი

ასრულებენ მსოფლიოში აღიარებული ქართველი სოლისტები:

მაყვალა ქასრაშვილი

ნატო ჭყონია

ბადრი მაისურაძე

პაატა ბურჭულაძე

ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიური ორკესტრი და გუნდი

დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი

დასაწყისი 19 სთ-ზე

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში

კონცერტის მთლიანი შემოსავალი გადაირიცხება

მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ფონდში

ერთად გადავარჩინოთ მომავალი!

◎ სხარტულა

ჯეოსელგარელები



ბესო:
მე ვარ ბესო, არ დაგიწუებთ ბევრსო, დღეს იკმარეთ ესო...



ნატა:
მე ვარ ნატა, მამაკაცთა ნატვრა, საპრიზედ ვინც ატუდა...

დიტო:
მე ვარ დიტო, სხვები უნდა ვღლიტო, ჯილდო მსურს და მიტომ...

ტატო:
მე ვარ ტატო, ყველას მმობას ვნატრობ, მიკვირს, აქ ვარ რატომ...

მარი:
მე ვარ მარი, მივატოვე ბარი, შევირიგე ქმარი...

თამაზ ილმელი







ბანკი „რესპუბლიკა“ თანაუგრძნობს თემურ დიასამიძეს დედის

მელიტა იოსელიანის

გარდაცვალების გამო.

ტუსა დიასამიძე ოჯახით თანაუგრძნობს ძმისწულს თემურ ნიაზის ძე დიასამიძეს და მის ოჯახს დედის

მელიტა იოსელიანის

გარდაცვალების გამო.

ეს გაერთიანებული ნომერი 24-გვერდიანია.

მორიგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 6 დეკემბერს.

◎ გვემრავლოს!

„ორიონში“ მოსამშობიარებლად მეორედ, მესამედაც მოდიან

„მე მოვედი!“ — „ორიონში“ ჩვილის პირველი ტირილით ქვეყნისთვის ამის უწყება, ვინ იცის, მერამდენედ გაისმა. პატარის ასეთ შეხმიანებას მოყვება ხოლმე სამშობიარო სახლის ტრადიცია: იხსნება შამპანური, ისმის ფოტოაპარატის გაჩხაკუნება და იქმნება ახალმოვლენილ მოქალაქეზე პირველი ფოტოდოკუმენტი.

ასე იყო ამჯერადაც, როცა აქ ანსამბლ „ფორტეს“ მომღერალს ნინო ახობაძეს ბიჭი, გიორგი შეეძინა, — ამის შესახებ გვაცნობა უფროსმა მედდამ ნანული დამენიამ. მოსაცდელში ბიჭის მამას ჯაბა ჯაიანს შვილის შეძენა სამედიცინო პერსონალმაც მიულოცა.

„ორიონში“ მშობიარენი კეთილმოსურნე ვითარებაში ხვდებიან. იქ დედა-შვილისთვის მყუდრო გარემო და სათანადო ჰიგიენური პირობებია შექმნილი. სამშობიარო სახლიდან ისიც გვაცნობეს, რომ ერთხელ მომშობიარებული მეორე და მესამე შვილზეც მოსალოგინებლად აქ მოდის. „ორიონი“ კი ერთ-ერთი პირველი სამშობიარო სახლია, რომელმაც ამიერკავკასიაში „ბავშვებისადმი კეთილგანწყობილი ჰოსპიტლის“ ტიტული დაიმსახურა და ეს იუნისეფმა ძუძუთა კვების პროგრამის წარმატებული განხორციელებისთვის მიანიჭა. სამშობიარო სახლთან ორსულთა კონსულტაციაც მუშაობს. 9 თვის განმავლობაში თითოეულ ორსულ ქალზე აქ თავს იყრის საჭირო ინფორმაცია, ორსული კი სათანადო რჩევებს იღებს. ალბათ ყოველივე ამან განაპირობა ისიც, რომ ნოემბერში აქ 137 ბავშვი დაიბადა, ამ დღეებში კი გიორგი ჯაიანიც მიემატა.

ვულოცავთ!

ნათელა ფაილოძე

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

გახსენება

კახა წერეთელი

ძალიან ძნელია, სიტყვებს თავი მოუყარო და გაიხსენო პიროვნება, რომელიც თავად სიტყვის დიდოსტატი, ყველას გულშემატკივარი და კაცთმოყვარე ადამიანი იყო.

ზოგჯერ სიტყვას ძალა ეკარგება, ფიქრი იფანტება, როდესაც ძვირფასი მეგობრის გახსენება და მასზე წარსულ დროში საუბარი გიწევს.

ცხოვრების წესად გამორჩეული აქტიურობა, ადამიანებზე ფიქრი და მათზე ზრუნვა ჰქონდა დაწესებული.

ყველა საუკეთესო ჩანაფიქრი უნივერსიტეტში სწავლის დროს მას ეკუთვნოდა, რაც განპირობებული იყო მოვლენათა უჩვეულო შორსჭვრეტითა და წინასწარხედვით.

ეს იყო ალბათ მიზეზი იმისა, რომ თბილისში დაბადებული, თბილისში გაზრდილი ერთი პატარა ჩანთის ამარა მესხეთის ცხოვრებას შეერია, რამეთუ თავად აინტერესებდა ყველა პრობლემა, რომელიც ამ ძირძველი კუთხის მკვიდრთა ყოფასთან იყო დაკავშირებული.

მეცნიერული შეხედულებებისა და აზროვნების მატარებელი პიროვნება, რომელსაც სახელმწიფოს მოწყობა, მართვა, ადამიანის უფლებები მხოლოდ თეორიულ ასპექტში უნდა განეხილა, პრაქტიკულად შეეჭიდა მათ განხორციელებას.

ყველასათვის სტიმულის მომცემი და ფაქტობრივად გადამდები იყო მისი ჩქარი ცხოვრების რიტმი, არაორდინარული აზროვნება, ლამაზი სიტყვა, ქართული გვარი და მისი შესაბამისი ქცევა.

ადამიანის ფენომენი, მისი გონება და მოქმედება ყოველთვის გამორჩეულად აინტერესებდა. ამიტომ მისი მეგობრების რიცხვი ულევი, ასაკით შეუზღუდავი და მრავალფეროვანი იყო. ყველაფრის ამის საფუძველი კი უბრალოდ ადამიანური ურთიერთობა და მგრძნობიარე გული გახლდათ.

აკი გულმა უმტყუნა...

თან კი უბადლო იუმორი წაიღო, რომელიც დღესაც მის მეგობრებს არც გვაჯერებს მწარე სინამდვილეს.

ჩვენც ხშირად მივმართავთ ერთმანეთს მისთვის ჩვეული ღიმილით და მაშინ ვრწმუნდებით, რომ ის ჩვენთან არის და ჩვენთან ერთად ცოცხლობს.

ღირსეული ოჯახის შვილი, ჩინებული მამა, მოსიყვარულე მეუღლე და მეგობრების გულისდარი — ასეთი იყო კახა წერეთელი.

უბრალოებაში დიდი სიბრძნე, დიდი გული და დიდი ნიჭი იმალება. ასეთი მოძღვარი ენატრებათ დღეს სტუდენტებს, რამეთუ ბოლო სემინარი მას ჩაუტარებელი დარჩა. ვერც ბოლო სიტყვის თქმა და დამშვიდობება მოასწრო.

ჩვენ უჩვეულოს არაფერს ვაკეთებთ, უბრალოდ ერთ მის დანაბარებს ვასრულებთ — მე რომ მოვკვდები, აუცილებლად დაწერეთ ჩემზე და გამიხსენეთო.

შენ ბევრი კარგი სიტყვა გეკუთვნის, მაგრამ მწარე სინამდვილე თურმე უტყვი და მდუმარეა.

შენი ღირსეული პიროვნებით მხოლოდ შენი ლამაზი სამი შვილი იამაყებს.

შენი მეგობრები

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს არქიტექტურის, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის ყოფილი თავმჯდომარე

ბადრი ჩიტაია

70-ათიანი წლების უნივერსიტეტელებს კარგად ახსოვთ ახალგაზრდა კაცი გამორჩეული გარეგნობითა და ინტელექტით. განათლებით ისტორიკოსი, ყოველთვის სიამაყით საუბრობდა სახელოვან წინაპარზე, სასიქადულო მეცნიერსა და მამულიშვილზე, ბატონ გიორგი ჩიტაიაზე.

სწორედ ოჯახიდან მოსდევდა განსაკუთრებული ხიბლი, ხასიათის რომანტიულობა მის გარეგნობასა და ჩაცმულობაშიც აშკარად ჩანდა.

სამწუხაროდ, საქართველოზე, ხალხზე უსაზღვროდ შეყვარებული ისე წავიდა, რომ ბოლომდე ვერ დაიხარჯა ამ სიყვარულში.

კოლეგებს, მეგობრებს, ქალაქს კიდევ ერთი რაინდული ბუნების კაცი უდროოდ დაეკლდა.



საქართველოს არქიტექტურის, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დარგის ყოფილი თავმჯდომარე

ბადრი გიორგის ძე ჩიტაია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

აკად. ავლიპი ზურაბაშვილის სახელობის საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოება, მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის კათედრა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის კათედრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ფსიქიატრისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს ავლიპი ზურაბაშვილის მეუღლე

ელენე ვლადიმერის ასული ზურაბაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ტურაგელიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილე: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.